

უძველესი ადამიანის საქმიანობა და
გარემო პირობები-საქართველოს
ადრე ბრინჯაოს ხანის ძეგლების
პალეონოლოგიური მონაცემები

ელისო ყვავაძე, ინგა მარტყოფლიშვილი, მარია ჭიჭინაძე



თბილისი 2020

უძველესიადამიანისსაქმიანობადაგარემოპირობები-საქართველოს ადრებრინჯაოსხანისძეგლებისპალინოლოგიურიმონაცემები

ავტორები: ელისო ყვავაძე, ინგა მარტყოფლიშვილი, მაია ჭიჭინაძე

Authors: Eliso Kvavadze, Inga Martkoplshvili, Maia Chichinadze

ქართული ტექსტის რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მინდია ჯალაბაძე

Editor of Georgian text: Doctor of historical sciences, Professor Mindia Jalabadze

ინგლისური ტექსტის რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დარეჯან კაჭარავა

Editor of Georgian text: Doctor of historical sciences, Professor Darejan Kacharava

რეცენზენტი: საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი,

აკადემიკოსი დავით ლორთქიფანიძე

Reviewer: Director General of Georgian National Museum, Academic David Lordkipanidze

თარგმანი: რუსუდან კაჭარავა

Translation: Rusudan Kacharava

დაკაბადონება: რუსუდან გერგიშვილი

Layout: Rusudan Gergishvili

ღარიბაიშვილის სახელობის
CEZANNE
PRINTING HOUSE

თბილისი 2020

ISBN 978-9941-9681-3-6

შინაარსი

წინასიტყვაობა	5
PREFACE	96
მადლობა.....	6
ACKNOWLEDGEMENTS.....	6
შესავალი.....	7
INTRODUCTION	98
თავი პირველი.....	9
მასალა და მეთოდი	
CHAPTER ONE	100
MATERIALS AND METHODS	
თავი მეორე	12
არქეოლოგიური ძეგლებიდან მოპოვებული ორგანული ნაშთების პალინოლოგიური დახასიათება	
CHAPTER TWO	103
THE PALYNOLOGICAL CHARACTERISATION OF THE ORGANIC REMAINS OBTAINED FROM THE ARCHAEOLOGICAL SITES	
მძკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები:	12
THE SITES OF THE KURA-ARAXES CULTURE.....	103
ადრეყორღანული კულტურის ძეგლები:	48
EARLY KURGAN CULTURE SITES	141
ბედენური კულტურის ძეგლები:	58
THE BARROWS OF THE BEDENI CULTURE	151
თავი მესამე	71
საქართველოს ადრე ბრინჯაოს პერიოდის პალეოეკოლოგიური პირობები	
CHAPTER THREE	164
THE PALAEOECOLOGICAL CONDITIONS IN GEORGIA IN THE EARLY BRONZE AGE	
თავი მეოთხე	77
ადამიანის სამეურნეო საქმიანობა ადრე ბრინჯაოს ეპოქაში	
CHAPTER FOUR	170
FARMING ACTIVITIES OF HUMANS IN THE EARLY BRONZE AGE	

თავი მესამე	80
ადამიანის ყოფის გოგირთი თავისებურებანი	
CHAPTER FOUR	173
SOME PECULIARITIES OF HUMANS' LIFESTYLE	
დასკვნები	93
CONCLUSIONS	185

წინასიტყვაობა

წინამდებარე მონოგრაფიაში განხილულია ადრე ბრინჯაოს დროის ის ძეგლები, რომლებიც გამოკვლეულია პალეონოლოგიური მეთოდით. ასეთი ძეგლი ოცია და ისინი ძირითადად სამცხე-მესხეთ-ჯავახეთში, ქვემო და შიდა ქართლში მდებარეობს. მათგან მხოლოდ ერთია ალაზნის ველის ჩრდილოეთ ნაწილში. ნაშრომი/გამოცემა მომზადდა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის პროექტის დაფინანსებით (გრანტი № FR 217120).

არქეოლოგიური ძეგლების შესახებ მასალა განხილულია ქრონოლოგიურად. ჯერ მოცემულია მტკვარ-არაქსის კულტურის დროის თერთმეტი ძეგლი-ნამოსახლარი: თისელის სერი, ჭობარეთი, ტყემლარას ველი, ნაჭივჭავების უბანი, ძეძვები, გუდაბერტყა, ნაცარგორა, არადეთის ორგორა (დედოფლის გორა), ქვაცხელები, გრაკლიანი გორა და დოღლაურის სამაროვანი.

შემდეგ ქვეთავში მოცემულია ადრეყორღანული კულტურის ეპოქის სამარხები და განხილულია სამი ძეგლის პალეონოლოგიური შედეგები. ესენია: კოდიანის ყორღანი, ფარავნისა და თოფიოლას ყორღანები. მესამე ნაწილში კი მოყვანილია ბედენური კულტურით დათარიღებული ექვსი ყორღანის ორგანული ნაშთის პალეონოლოგიური კვლევა. მათ სიაშია: ნამოსახლარი ბერიკლდეები, ბედენის ყორღანი №2, ბედენის ყორღანი №5, ბედენის ყორღანი №10, თეთრიწყაროს (ნადარბაზევი) ყორღანი №2, ანანაურის ყორღანი №3.

შესწავლილ ძეგლებზე გამოკვლეულია არა მარტო კულტურული ფენები და ჭურჭლის შიგთავსი, არამედ არტეფაქტებზე არსებული ნებისმიერი ორგანული ნაშთი. მაგალითად, ბედენის №5 ყორღანის მიცვალებულის სარეცელზე, ხის კოლოფებზე, კალათებსა და წნულებზე დარჩენილმა ორგანულმა ნაშთებმა შუქი მოჰფინა დაკრძალვის ტრადიციების თუ რიტუალის არაერთ მხარეს. დიდ სიახლეს წარმოადგენს სამარხების კვლევის ახალი და დახვეწილი მეთოდი, რომლის მეშვეობითაც, ჭურჭლისა და სხვა არტეფაქტების გარდა, ორგანული ნაშთები შეისწავლება მიცვალებულის ჩონჩხის ძვლებზე. სწორედ ასეთმა მიდგომამ გამოავლინა ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის პერიოდში ზოგჯერ მიცვალებული თაფლით იყო ბალზამირებული და საქართველოს ტერიტორიაზე ეს ტრადიცია

გრძელდებოდა ბედენური კულტურის დრომდე. ნაშთების არაპალეონოლოგიურმა კვლევამ დიდი დახმარება გაგვიწია ისეთი დასკვნების გამოტანაში, რომლებიც ეხება ადრებრინჯაოს პერიოდის სამოსის ქსოვილის ტიპის დადგენას, მიცვალებულის დაკრძალვის სეზონის განსაზღვრას, ადამიანის კვების რაციონის გამოვლენას, მისი დაავადებისა და სხვა უამრავი საკითხების კვლევას. განხილული ოცი ძეგლის შესახებ მასალის ანალიზისა და სინთეზის შედეგები მოყვანილია ბოლო სამ თავში. მესამე თავში - „საქართველოს ადრე ბრინჯაოს პერიოდის პალეოეკოლოგიური პირობები“, ნაჩვენებია, რომ მთელი ადრე ბრინჯაოს პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე კლიმატური პირობები გაცილებით უფრო თბილი და ნოტიო იყო, ვიდრე დღეს არის. სწორედ ასეთმა კლიმატმა შეუწყო ხელი მიწათმოქმედების მძლავრ განვითარებას როგორც ბარში, ისე სამცხე-მესხეთ-ჯავახეთის მთის რეგიონებში. მიმდინარეობდა მოსახლეობის მიგრაცია მთისკენ. გარდა მიწათმოქმედებისა, ადრე ბრინჯაოს ხანის ადამიანის სამეურნეო საქმიანობაში წამყვანი დარგი ხდება მეფუტკრეობა, რასაც ადასტურებს შვიდი ძეგლის ორგანულ მასალაში აღმოჩენილი თაფლისა და თაფლის პროდუქტის ნაშთები. ეს საკითხი დეტალურადაა განხილული მეოთხე თავში - „ადამიანის სამეურნეო საქმიანობა ადრე ბრინჯაოს ეპოქაში“. ბოლო, მეხუთე თავი ეძღვნება ადამიანის ყოფის თავისებურებებს. პალეონოლოგიურმა კვლევამ აგრეთვე გამოავლინა ადრე ბრინჯაოს ხანის ეთნოფარმაკოლოგიის განვითარების ეტაპები. იგი უფრო მძლავრი უნდა გამხდარიყო ბედენური კულტურის დროს, როდესაც მიცვალებულს სამარხში ატანდნენ პირველადი დახმარების აფთიაქებს. დადგენილია იმ სამკურნალო მცენარეთა სია, რომლებსაც ადრე ბრინჯაოს ხანაში ადამიანი ინტენსიურად მოიხმარდა, მაგრამ დღევანდელ ეთნოფარმაკოლოგიაში მათზე მონაცემები არ არსებობს. ესენია, მაგალითად, ძელქვა, ლაფანი, უხრავი, გვიმრა კრიპტოგრაფა.

სამკურნალო მცენარეების თვისებებიდან გამომდინარე, განხილულ პერიოდში ყველაზე გავრცელებული დაავადება ყოფილა კუჭ-ნაწლავის ინფექციები, რევმატიზმი და ჰელმინთოზი.

მადლობა

კვლევა მიმდინარეობდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი № FR 217120).

დიდ მადლობას ვუხდით საქართველოს ეროვნული მუზეუმის ადმინისტრაციისა და საფინანსო განყოფილების თანამშრომლებს მხარში დგომისა და დახმარებისთვის. მადლიერებას გამოვხატავთ აგრეთვე იმ არქეოლოგების მიმართ, რომლებმაც ადრე ბრინჯაოს ძეგლების საანალიზო მასალა გადმოგვცეს და კონსულტაციები გაგვიწიეს. ესენია არიან: კახა კახიანი, გიორგი გოგოჭური, ირინა ლამბაშიძე, გოგი მინდიაშვილი, იულონ გაგოშიძე, ელენა როვა, სარიტა პასი, გურამ კვიციანი, ჯუანშერ (ბახო) ამირანაშვილი, ირაკლი ქორიძე, მინდია ჯალაბაძე, გიორგი ბედიაშვილი.

განსაკუთრებული მადლობა წიგნის რეცენზენტს, დავით ლორთქიფანიძეს დადებითი შეფასებისთვის. წიგნის ქართული ვერსიის რედაქტირებისა და ხელნაწერ ტექსტზე გაწეული დიდი შრომისთვის მადლობას ვუხდით მინდია ჯალაბაძეს. განსაკუთრებული მადლობა აგრეთვე რუსუდან კატარავას ქართული ტექსტის ინგლისურად თარგმნისთვის, დარეჯან კატარავას - ინგლისური ტექსტის რედაქტირებისთვის.

ტექნიკური საკითხების გადაწყვეტაში დიდი დახმარება გაგვიწიეს ჩვენი ინსტიტუტის ასისტენტ-ლაბორანტებმა: ნინო გოდერძიშვილმა, თამარ ხახუტაშვილმა და თამარ მჭედლიძემ.

მადლიერების გრძნობით უნდა მოვიხსენიოთ აწ გარდაცვლილი ავსტრალიელი არქეოლოგი ანტონიო საგონა, რომელმაც დახმარება აღმოგვიჩინა არქეოლოგიური ძეგლებიდან მოპოვებული არტეფაქტების რადიოკარბონულ დათარიღებაში.

ACKNOWLEDGEMENTS

This work was supported by the Shota Rustaveli National Scientific Foundation (SRNSF) (Grant № FR 217120).

Special thanks are due to the employees of the administration and the financial department of the Georgian National Museum for their support and backing. We would like to express our gratitude to those archaeologists who handed us the samples obtained at the Early Bronze Age sites for palynological researches and rendered their consultations about these sites. Among them are: Kakha Kakhiani, Giorgi Gogochuri, Irina Ghambashidze, Gogi Mindiashvili, Iulon Gagoshidze, Elena Rova, Sarita Pass, Guram Kvirvelia, Juansher (Bakho) Amiranashvili, Irakli Koridze, Mindia Jalabadze and Giorgi Bedianashvili.

We greatly appreciate positive estimation of the presented book by its reviewer David Lordkipanidze. We are thankful to Mindia Jalabadze who edited the book and the Georgian text of manuscript. Special thanks to Rusudan Kacharava for translation of the Georgian text into English. Also we are grateful to Darejan Kacharava to who edited the English text of manuscript.

The authors are indebted to the laboratory assistants of the institute Nino Goderdzishvili, Tamar Khakhutashvili and Tamar Mchedlidze for giving hand in solving technical issues.

We are warmly grateful to late Australian archaeologist Antonio Sagona who assisted us in radiocarbon dating of the artefacts obtained from the archaeological sites.

შესავალი

პალინოლოგიური ანალიზის დანერგვა არქეოლოგიაში დაიწყო გასული საუკუნის მეორე ნახევარში და დასაწყისში მას არ ჰქონდა ფართო გამოყენება. მაგრამ შემდგომ პალინოლოგია თანდათანობით დამკვიდრდა არქეოლოგიურ კვლევებში და ჩამოყალიბდა როგორც ცალკე დისციპლინა - „არქეოლოგიური პალინოლოგია“ (Bryant and Holloway 1983). ადრე, და ზოგჯერ ახლაც, არქეოლოგები პალინოლოგიას იყენებდნენ ძირითადად გარემო პირობების რეკონსტრუქციისთვის. რაც შეეხება არტეფაქტებში არსებულ ორგანულ ნაშთებს, ამას პირველად ყურადღება მიაქცევს ამერიკელმა პალინოლოგებმა (Bohrer 1968; Bryant and Holloway 1983; Hevly 1970). მაგალითად, ჭურჭლის შიგთავის პალინოლოგიური კვლევები გამოყენებულ იქნა პალეოდიეტის საკითხების გამოსავლენად. უფრო მოგვიანებით კი აღნიშნული საკითხის დასადგენად პალინოლოგიური კვლევა გარდა სამხარეული ჭურჭლისა, ტარდებოდა ჩონჩხის კბილის ნაღებზე, ჩონჩხის მუცლის არეზე დარჩენილ საკვების ორგანული ნაშთებზე, ხელსაფეხვაკვებისა და სანაყების მიკროსკოპიულ ნაშთებზე (Bortenschlager, Oeggi 2000; Kvavadze and Narimanishvili 2010; Moe and Deggel 2013; Kvavadze et al. 2015).

საქართველოში ყველაზე ადრინდელი პალინოლოგიური კვლევები ჩატარდა ქვის ხანის ისეთ არქეოლოგიურ ძეგლებზე, როგორცაა: ცუცხვათის გამოქვაბული, ახალქალაქი (ბავრა) და დმანისი (Mamatsashvili 1978; Maruashvili et al. 1978; Tsereteli et al. 1982; Tsereteli et al. 1982; Klopotovskaya et al. 1989; Vekua et al. 1990; Kvavadze and Vekua 1993; Kvavadze 1997). აღნიშნულ პუბლიკაციებში ძირითადად ყურადღება ექცეოდა პალეოლითის დროის მცენარეული საფარისა და კლიმატის ცვლილებების ისტორიას.

პალინოლოგიური ანალიზი არქეოლოგიაში საშუალებას იძლევა გაირკვეს აგრეთვე ადამიანის სოციალური მდგომარეობა, მისი სამეურნეო საქმიანობისა და ყოფის უამრავი დეტალი. მაგალითად, დავით

გარეჯის უდაბნოს დღევანდელ უკაცრიელ ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების ნაომარი გორა 1 და ნაომარი გორა 2-ის კულტურული ფენების პალინოლოგიური კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ გვიანი ბრინჯაოს და რკინის ხანაში ეს ადგილები მჭიდროდ იყო დასახლებული და მისი მოსახლეობა მძლავრ მიწათმოქმედებას მისდევდა (Kvavadze and Todria 1991, 1992). მეტალურგიაც კარგად იყო განვითარებული, რადგან ამ რეგიონში ტყეც იზრდებოდა (Pitskhelauri and Kvavadze 1997).

სამარხების პალინოლოგიური მონაცემები შეიცავს სულ სხვა სახის ინფორმაციას. ცნობილია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაოსა და ანტიკურ ხანაში მიცვალებულს საიქიო ცხოვრებისთვის ატანდნენ სხვადასხვა დანიშნულების არაერთ საგანს და პროდუქტს. მათი მიკროსკოპიული ნაშთები საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ კონკრეტულად რა სახის საჭმელი ან რომელი სამკურნალო მცენარე იყო ჩატანებული ამა თუ იმ ჭურჭელსა თუ კალათაში (Chichinadze and Kvavadze 2013; Kvavadze et al. 2015; Chichinadze et al. 2017; 2019; Kvavadze and Martkoplshvili 2018). ამგვარი პალინოლოგიური მონაცემების მიხედვით ვლინდება არა მარტო იმდროინდელი დაკრძალვის რიტუალი და სხვა ტრადიციები, არამედ შესაძლებელი ხდება დაკრძალვის სეზონის აღდგენაც. ამასთანავე, სამკურნალო მცენარეთა კომპლექსი მიუთითებს, თუ რა დაავადებები ვრცელდებოდა ამა თუ იმ არქეოლოგიურ პერიოდში.

პალეოდაავადებების გამოვლენასა და დადგენას ხელს უწყობს აგრეთვე არაპალინოლოგიური ხასიათის ნაშთები, კერძოდ, პარაზიტული ჭიების კვერცხების აღმოჩენა და მათი იდენტიფიკაცია (Araújo et al. 1981; van Geel et al. 1983; Brinkkemper and Haaster 2012; Kvavadze 2016). ცნობილი ხდება, რომ ასკარიდოზით პირველყოფილი ადამიანი ჯერ კიდევ 30 000 წლის წინ დაავადდა. ამ აღმოჩენის ადგილია საფრანგეთი, სადაც იმ დროს ნეანდერტალელები ცხოვრობდნენ

(Carvalho Gonçalves et al. 2003). საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე ადრინდელი მრგვალი პარაზიტული ჭიის (*Trichuris trichiura*) კვერცხები ნაპოვნია საწურბლიას გამოქვაბულის მეზოლითურ ფენებში და ნეოლითური დროის ძეგლებზე, გადაჭრილ გორაზე (Kvavadze et al. 2012b; 2014).

არაპალინოლოგიური ხასიათის ნაშთების კომპლექსის საშუალებით ძუძუნას გამოქვაბულში დადგინდა, რომ 30 000 წლის წინ აქ ზედაპალეოლითელი ადამიანი ველურ სელს ამუშავებდა და მისგან ძაფს ართავდა. ეს ფაქტი დასტურდება კულტურულ ფენებში ნაპოვნი სელის ბოჭკოს ნაშთებითა და ვიწროყელიანი ძვლის ნემსით (Kvavadze et al. 2009; 2010a; 2012a; Bar-Osef et al. 2011). იგი შალის ძაფსაც ართავდა, რადგან აქვე აღმოჩენილია დართული შალის ბოჭკოც. ამ დროს ძუძუნას გამოქვაბულში ტყავსაც ამუშავებდნენ. ტყავის სამოსის არსებობა კი დასტურდება ხოჭო ტყავიჭამიას ლარვული ფორმის ბუსუსებით. გამოქვაბულში ტყავისა და მისი ბეწვის, ანუ შალის არსებობას კი ჩრჩილის მატლის ბუსუსები ადასტურებს (Kvavadze et al. 2009).

პალინოლოგიური და არაპალინოლოგიური ნაშთების იდენტიფიკაცია მნიშვნელოვანია იმის გამოსავლენად, თუ რას ინახავდა იმდროინდელი ადამიანი ამა თუ იმ პერიოდის სამეურნეო ორმოებში - ხორბლეულს, სილოსს თუ ეს ორმო უკვე სანაგვე დანიშნულების იყო. ამის დადგენაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ფიტოლიტების ანალიზს, რომლებსაც მცენარეთა სილიკა ჩონჩხს ეძახიან და მთავარ როლს ასრულებს მათი ფორმის შენარჩუნებაში (Piperno 2006). მარცვლოვნების სხვადასხვა ნაწილი განსხვავებული ტიპის ფიტოლიტებს გამოიმუშავებს და სწორედ ამიტომ ეს არაპალინოლოგიური ნაშთები მნიშვნელოვანია არქეოლოგიური მასალის კვლევებისთვის. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ სამეურნეო ორმოს მარცვლეულის შესანახი ფუნქცია ჰქონდა, არაპალინოლოგიური პალინომორფების სპექტრში ჭარბობს ხორბლის კილების ფიტოლიტები, მაშინ როცა სილოსის შესანახად გამოყენებულ ორმოში მხოლოდ მარცვლეულის ლეროსა და ფოთლის ფიტოლიტები გვხვდება (Piperno 2006; Messenger et al. 2015).

პალინოლოგიური და არაპალინოლოგიური ნაშთების კვლევა დიდ როლს თამაშობს მეზოლითური და, განსაკუთრებით კი, ნეოლითური ხანის არქეოლოგიური საკითხების დადგენისას. საქართველოს ტერიტორიაზე ნეოლითური დროიდან ადამიანი იწყებს მძლავრ სამეურნეო აქტივობას, რადგან უამრავ მცენარესა თუ ცხოველს იშინაურებს და მთლად აღარაა დამოკიდებული ნადირობასა და შემგროვებლურ პროცესებზე. სწორედ ამ დროს გადაჭრილი გორისა და შულავერის გორის მოსახლეობას მოჰყავს რამდენიმე ჯიშის ხორბალი, აშინაურებს კაკალს, თხილს, სელს, ველურ ვაზს და ღვინოსაც წურავს (Kvavadze et al. 2014). პალინოლოგიური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ქვემო ქართლის ტერიტორიაზე 8000 წლის წინ მცხოვრებმა მოსახლეობამ მსოფლიოში პირველებმა განავითარეს როგორც მევენახეობა, ისე მეღვინეობა. მოგვიანებით, ნეოლითური ღვინის ჭურჭლის ქიმიურმა ანალიზმა დაადასტურა, რომ გადაჭრილი გორისა და შულავერის გორის მოსახლეობა ჭურჭელში მართლაც ღვინოს ინახავდა (Magradze et al. 2016; McGovern et al. 2017a, b).

პალინოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა აგრეთვე, რომ საქართველოს ტერიტორიაზე 8000 წლის წინ, ანუ ნეოლითურ ეპოქაში ვითარდება მეფუტკრეობა. ეს ფაქტი, გარდა ჭურჭელში ნაპოვნი თაფლოვანი მცენარის მტვრისა, დასტურდება აგრეთვე შიგთავსში ნაპოვნი უძველესი ფუტკრის ბუსუსებით, მისი კლანჭისებური ტერფებითა და ეპიდერმისის ნაშთებით (Kvavadze et al. 2014).

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ, თუ როგორი იყო კლიმატური პირობები, რას წარმოადგენდა იმდროინდელი ველური და კულტურული ლანდშაფტები საქართველოს ტერიტორიაზე ადრე ბრინჯაოს ხანაში, რომელიც საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა (ძვ.წ. XXX-XXI საუკუნეები). ასევე, როგორი იყო ადამიანის სამეურნეო საქმიანობა და აგრეთვე მისი ყოფის თავისებურებანი. არქეოლოგიური მასალის პალინოლოგიური კვლევის საფუძველზე ყურადღება გამახვილდება ადრე ბრინჯაოს ხანის ადამიანის დიეტაზე, დაავადებებსა და იმდროინდელ სამკურნალო საშუალებებზე.

თავი პირველი

მასალა და მეთოდი

სამცხე-მესხეთ-ჯავახეთში და კოდიანის მთაზე (სოფ. საკირე, ბორჯომის მუნიციპალიტეტი) პალინოლოგიურად შესწავლილია ხუთი ძეგლი: კოდიანისა და ფარავნის ყორღნები, თოფიოლას ყორღანი, ჭობარეთისა და თისელის სერის ნამოსახლარები (სურ. 1, ცხრილი 1). ჩამოთვლილი ძეგლების უმეტესობა მდებარეობს მცირე კავკასიონის მთის მაღალ კალთებზე.

მაღალმთიან ადგილებზე მდებარეობს აგრეთვე ქვემო ქართლში გამოკვლეული არქეოლოგიური ძეგლები: ბედენის პლატოს სამი ყორღანი, თეთრიწყაროსა და ტყემლარას გორა სამარხები, ნაჭივჭავების ბავშვის სამარხი, ნაჭივჭავების სამეურნეო ორმოები და ძეძვების სამარხი №1. ამრიგად, სულ შესწავლილია რვა ძეგლი.

შიდა ქართლის ტერიტორიაზე გამოკვლეულია შემდეგი ნამოსახლარები: არადეთის ორგორა, გუდაბერტყა, გრაკლიანი გორა, ქვაცხელები, ნაცარგორა, ბერიკლდეები. შესწავლილია აგრეთვე დოღლაურის სამაროვნის სამარხები. ამრიგად, პალინოლოგიური მეთოდით სულ შვიდი ძეგლის ორგანული ნაშთებია გამოკვლეული. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული მეთოდით შესწავლილია ანანაურის №3 ყორღანი (ლაგოდების მუნიციპალიტეტი).

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალიდან პალინოლოგიური კვლევისთვის ნიმუშების აღების სხვადასხვა ხერხი არსებობს. ეს დამოკიდებულია არქეოლოგიური მასალის რაობაზე. მაგალითად, თუ ნიმუშები ასაღებია კულტურული ფენებიდან, ამ შემთხვევაში კეთდება ჭრილი, სადაც ყოველ 5 ან 10 სანტიმეტრში ვილებთ ნიმუშებს. იმავე ხერხით ხდება ნიმუშების აღება სამეურნეო ორმოდანაც.

ჭურჭლის მასალის შემთხვევაში ნიმუშების აღება ხდება სამი ადგილიდან: ჭურჭლის შიგთავსის ზედა და შუა ფენებიდან, აგრეთვე ჭურჭლის ძირიდან.

რაც შეეხება სამარხებს, აქ ნიმუშების აღება ხდება ჩონჩხის თავის ქალას ქვეშ, კისრის მალეებთან, ბარძაყისა და კიდურების ძვლების ქვეშ, მუცლის არეში, ფეხებისა და გავის ძვლების ქვეშ. გარდა ამისა, საჭიროა ნიმუშების აღება სამარხის იატაკზე არსებული ყველა მუქი ლაქიდან, რადგან, როგორც წესი, ეს ლაქები განამარხებული ორგანული ნაშთებია.

პალინოლოგიურ ლაბორატორიაში მასალა მუშავდებოდა რამოდენიმე ქიმიური მეთოდით.

პირველი ეტაპი. თითოეული ნიმუშის 50-100 გრამის თავსდებოდა ფაიფურის 1000-გრამიან ჭიქაში და 3-5 წუთის განმავლობაში დუღდება მწვავე კალიუმის (ან ნატრიუმის) ტუტის 10%-იან ხსნარში. შემდეგ მიღებულ მასა წყლით ზავდება და ტარდება 0,25 მმ დანაყოფებიან საცერში. მოდუღებული და საცერში გატარებული ნიმუში თავსდება ქიმიურ ჭიქაში და ჩერდება 24 საათის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე, რათა ორგანული და არაორგანული ნაშთები დაილექოს.

იმ შემთხვევაში, თუ ხელსაფქვავი ან სანაყი დამზადებულია ვულკანური წარმოშობის ქანისგან, რომელსაც აქვს ორგანული ნაშთებით გაცხებული უამრავი ფორა, მათ გამოტანას ვახდენთ შემდეგნაირად: ხელსაფქვავს ან სანაყს ვათავსებთ დიდი ზომის ჭურჭელში, ვავსებთ კალიუმის ტუტის 10%-იანი ხსნარით და ვადუღებთ არანაკლებ 10-15 წუთი. ამ დროს ფორებიდან გამოთავისუფლებული ორგანული ნაშთები იხსნება და გადადის კალიუმის ტუტის ხსნარში, რომელსაც ვაცენტრიფუგირებთ და შემდგომ ჩვეულებრივი სტანდარტული წესით ვამუშავებთ.

მეორე ეტაპი. ნიმუშიდან ცენტრიფუგით გამოყოფილი ორგანული და არაორგანული ნაშთების ნალექი რამდენჯერმე ირეცხება დისტილირებული წყლით, მანამ, სანამ განარეცხი წყალი გამჭვირვალე არ გახდება. დაგროვილ დანალექ-

ცხრილი 1. პალინოლოგიური მეთოდით შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლები და მათი მდებარეობა

ძეგლი	რეგიონი	კულტურა-პერიოდი	სიმაღლე. მ
თისელის სერი	სამცხე-ჯავახეთი	მტკვარ-არაქსის კულტურა	H: 1890
ჭობარეთის ნამოსახლარი	სამცხე-ჯავახეთი	მტკვარ-არაქსის კულტურა	H: 1615
ტყემლარას ველი	ქვემო ქართლი	მტკვარ-არაქსის კულტურა	H: 1140
ნაჭიჭავები	ქვემო ქართლი	მტკვარ-არაქსის კულტურა	H: 1155
ძეძვები	ქვემო ქართლი	მტკვარ-არაქსის კულტურა	H: 890
გუდაბერტყა	შიდა ქართლი	მტკვარ-არაქსის კულტურა	H: 631
ნაცარგორა	შიდა ქართლი	მტკვარ-არაქსის კულტურა	H: 760
არადეთის ორგორა	შიდა ქართლი	მტკვარ-არაქსის კულტურა	H: 670
ქვაცხელები	შიდა ქართლი	მტკვარ-არაქსის კულტურა	H: 665
გრაკლიანი გორა	შიდა ქართლი	მტკვარ-არაქსის კულტურა	H: 664
დოღლაურის სამაროვანი	შიდა ქართლი	მტკვარ-არაქსის კულტურა	H: 675
კოლიანის ყორღანი	სამცხე-ჯავახეთი	ადრე ყორღანული პერიოდი	H: 2289
ფარავნის ყორღანი	სამცხე-ჯავახეთი	ადრე ყორღანული პერიოდი	H: 2100
თოფიოლას ყორღანი	სამცხე-ჯავახეთი	ადრე ყორღანული პერიოდი	H: 2000
ბერი კლდეები	შიდა ქართლი	ბედენური კულტურა	H: 645
ბედენის ყორღანი 2	ქვემო ქართლი	ბედენური კულტურა	H: 1800
ბედენის ყორღანი 5	ქვემო ქართლი	ბედენური კულტურა	H: 1750
ბედენის ყორღანი 10	ქვემო ქართლი	ბედენური კულტურა	H: 1790
თეთრიწყაროს ყორღანი 2	ქვემო ქართლი	ბედენური კულტურა	H: 1140
ანანაური 3 ყორღანი	კახეთი	ბედენური კულტურა	H: 238

ზე იხსმება 2.2 კუთრი წონის კადმიუმის მძიმე სითხე, რომელშიც, 20-25 წუთის განმავლობაში მორევისა და ამოხელების საშუალებით, იხსნება დაგროვილი მასა. ამის შემდეგ 20 წუთი ამ გახსნილ მასას ვაცენტრიფუგირებთ, რათა ნიადაგი ან სხვა მინერალები განცალკევდეს მცენარეთა მტვრის მარცვლებისა და სხვა სახის ორგანული ნაშთებისგან. მძიმე სითხის მეშვეობით ნიადაგის ნაწილაკები უფრო მძიმდება და ჭიქის ძირში ილექება, უფრო მსუბუქი მტვრის მარცვლები და

არაპალინოლოგიური პალინომორფები კი ზემოთ ამოტივტივდება.

ამოტივტივებული ორგანული მასა გადაგვაქვს ქიმიურ ჭიქაში. ვაზავებთ გამოხდილი წყლით და ვაჩერებთ 24 საათი ორგანული ნაშთების დალექვის მიზნით.

მესამე ეტაპი. ამ ეტაპზე მიღებული ნალექი ცენტრიფუგირების მეშვეობით გროვდება 10 გ მინის სინჯარებში. დაგროვილი მასა მრავალჯერ ირეც-

ხება კადმიუმის მოსაშორებლად და შემდეგ, ძმარმჟავის საშუალებით მიმდინარეობს მასალის გაშრობა.

დაგროვებული ნალექის გარეცხვის შემდეგ აუცილებელია მასალის აცეტოლიზი, ანუ შეღებვა, რომლისთვისაც მზადდება სპეციალური ხსნარი. მის შემადგენლობაში შედის 9 წილი ძმრის ან-ჰიდრიდი და ერთი წილი მარილმჟავა. აცეტოლიზის ხსნარში მოთავსებული ნიმუშის სინჯარები თავსდება ცხელ წყალში 2-3 წუთით. ამ დროს წყლის ტემპერატურა უნდა იყოს არანაკლებ 90°C.

შემდეგ ეტაპზე მასალას კვლავ ვაცენტრიფუგირებთ 5 წუთის განმავლობაში და ვაშრობთ ძმარმჟავის საშუალებით. ბოლოს ნიმუშები ისევ ირეცხება გამობდილი წყლით, შრება და კვლევისთვის გლიცერინში ზავდება.

მასალის დათვლა, იდენტიფიკაცია და ფოტოგადაღება ხდება სინათლის მიკროსკოპით Olympus BX43. თითოეული ნიმუშიდან ითვლე-

ბოდა არანაკლებ 250-300 მტვრის მარცვალი და უფრო მეტი სხვა სახის პალინომორფი. ბოლო ეტაპზე პალინოლოგიური პროგრამა Tilia-ს საშუალებით (Grimm, 2004) აღრიცხული მტვრის მარცვლები და სხვა ტიპის პალინომორფები სტატისტიკურად მუშავდებოდა და ავტომატურად ხდებოდა დიაგრამების აგება.

მცენარეთა მტვრის მარცვლებისა და არაპალინოლოგიური ნაშთების იდენტიფიკაციისთვის გამოვიყენეთ როგორც საქართველოს ეროვნულ მუზეუმში არსებული თანამედროვე, ეტალონური პრეპარატები, ისე დღევანდელი პალინოლოგიური და არაპალინოლოგიური ნაშთების ატლასები (Edtman 1956; Kuprianova and Aleshina 1972; 1978; Bobrov et al. 1983; Moore et al. 1991; Reille 1992; 1995; 1998; van Geel 1998; Tonkov 2003; Beug 2004; Chernova and Tselikova 2004; Richter et al. 2004; Fujuki et al. 2005; Toshiyuky et al. 2005; 2018; Piperno 2006; Torrence and Barton 2006; Shatilova et. al. 2016).

თავი მეორე

არქეოლოგიური ძეგლებიდან მოპოვებული ორგანული ნაშთების პალინოლოგიური დახასიათება

მეცვარ-არაქსის კულტურის ძეგლები

უახლესი რადიოკარბონული დათარიღებების თანახმად საქართველოს ტერიტორიაზე მეცვარ-არაქსის კულტურა არსებობდა ძვ.წ. 3350 წლიდან ძვ.წ. 2600 წლამდე (Sagona 2014; 2018; Kakhiani et al. 2013; Passerini et al. 2016). ეს კი ის პერიოდია, როდესაც თითქმის მთელ ევრაზიის კონტინენტზე გავრცელებული იყო ჰოლოცენის მაქსიმალური გლობალური დათბობა სახელად „ატლანტიკური ოპტიმუმი“ (Roberts 1998; Wick et al. 2003). აღნიშნული დათბობა საქართველოს ტერიტორიაზე ნათლად ჩანს გეოლოგიური ჭრილების პალინოლოგიურ მასალაში. აქ, როგორც შავი ზღვის შელფის დანალექებში, ისე ტბიური და ალუვიალური ქანების ჭრილებში, ატლანტიკური ოპტიმუმი მკვეთრად გამოხატულია ისეთ სითბომოყვარულ მცენარეთა მტვრის რაოდენობის ზრდით, როგორცაა წაბლი, ძელქვა, მუხა, ლაფანი (Kvavadze and Rukhadze 1989; Kvavadze and Connor 2005; Connor 2011). ამ დროს მთებში წიწვოვნების სარტყელი უფრო ვიწროვდება, მაგრამ ფართოვდება ფოთლოვანი ტყის გავრცელება. აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთაში ტყის გავრცელების ზედა ზოლი დღევანდელთან შედარებით თითქმის 500-600 მეტრით ზემოთ იყო აწეული (Kvavadze and Connor 2005; Connor 2011; Messenger et al. 2013). მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, ზღვიური და ტბიური ნალექების პალინოლოგიური სპექტრები, რომლებშიც კარგად აისახება ირგვლივ არსებული რეგიონალური მცენარეულობა, სუსტად არის დაფიქსირებული კულტურული ლანდშაფტები, ანუ ადამიანის საქმიანობის კვალი. გეოლოგიური ჭრილების ამ ნეგატიურ მხარეს ავსებს არქეოლოგიური პალინოლოგია, რომელიც ბოლო წლებში საქართველოში საკმაოდ კარგად განვითარდა (Kvavadze and Gagoshidze 2008; Kvavadze

and Kakhiani 2010; Kvavadze and Narimanishvili 2010; Chichinadze and Kvavadze 2013; Kvavadze et al. 2015; 2019; Martkoplshvili and Kvavadze 2017; Kvavadze and Martkoplshvili 2018; Chichinadze et al. 2019).

ნამოსახლარი თისელის სერი. აღნიშნული ძეგლი მდებარეობს მესხეთში, ზღვის დონიდან 1800-1890 მეტრზე. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ნამოსახლარი მეცვარ-არაქსის კულტურის პერიოდში (ძვ.წ. III ათასწლეული) არსებობდა. პალინოლოგიური მეთოდით გამოკვლეულია როგორც შენობების ფენები, ისე სამარხები, ჭურჭლის შიგთავსი და სხვა სახის არტეფაქტებზე შერჩენილი ორგანული ნაშთები. ამ ნამოსახლარზე სულ მოპოვებული და შესწავლილია 32 ნიმუში. აქედან უფრო მდიდრული აღმოჩნდა 15 სინჯის პალინოლოგიური სპექტრი (სურ. 2,3) განსაკუთრებით საინტერესოა №1 ნაგებობაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ცული. მის ყუაში, ანუ გაყრილი ტარის ადგილზე, ჩარჩენილი იყო შავი ფერის ორგანული მასა. ამ ორგანული ნაშთის პალინოლოგიურმა ანალიზმა გამოავლინა უაღრესად საინტერესო და მდიდარი მცენარეთა მტვრის სპექტრი. სულ დათვლილია 445 მტვრის მარცვალი და სპორა. მათი დაცულობა ძალზე კარგია. უხვია ფიჭვის მერქნის პარენქიმული უჯრედების რაოდენობა (სურ. 4), რაც იმის მაჩვენებელია, რომ ცულის ტარი ფიჭვის ხისა უნდა ყოფილიყო. ბევრია აქ თავად ფიჭვის მტვრის მარცვლებიც, რასაც სპექტრის 30% უკავია. ნაძვის შემადგენლობა არის 8%, სოჭის კი მხოლოდ 4% (სურ. 5). ცულის ტარის შიგთავსის სინჯში ხემცენარეთა ჯგუფში, გარდა წიწვოვნებისა, აღმოჩენილია მუხის (*Quercus*), მურყნის (*Alnus*) და ღვიის (*Juniperus*) მტვრის მარცვლები. კარგადაა წარმოდგენილი ტყის გვიმრების სპორები. ნაპოვნია მარგალი-

ტას (*Botrichium lunaria*), კილამურას (*Polypodium vulgare*), გველის ენის (*Ophioglossum vulgatum*), ეწრის გვიმრისა (*Pteridium tauricum*) და გვიმრუჭას (*Asplenium*) სპორები. ჩამოთვლილი გვიმრების უმეტესობა ნესტის და სითბოს მოყვარულია და დღეს მხოლოდ მთის ქვედა ზოლის ტყეში იზრდება. ბალახოვნების პალინოლოგიური სპექტრი ასევე მრავალფეროვანია. ბრინჯაოს ჟანგმა აქაც კარგად შეინახა მტვრის მარცვლები. არის ხორბლის, ჭვავის და ქერის მტვერი. დაფიქსირდა მარცვლეულის სარეველებიც. ესენია ხვართქლა (*Convolvulus*) და მათიტელა (*Polygonum*). აღმოჩენილია ადამიანის საცხოვრებლის რუდერალები: მრავალძარღვა (*Plantago*), ციხორიუმი (Cichorioideae), ფარსმანდუკი (*Achillea*), ავშანი (*Artemisia*). ცოტაა, მაგრამ მაინც დაფიქსირდა საძოვრების არსებობის მაჩვენებლებიც, მაგალითად, ბაია (*Ranunculus*), ნაცარქათამა (Chenopodiaceae) და სხვა (სურ. 3). ზოგიერთ მტვრის მარცვლებს ცეცხლის კვალი ეტყობა. ნიმუშში აღინიშნება აგრეთვე ნაშირის მიკრონაშთები. ნაპოვნია სელის ბოჭკოც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარდა ფიჭვისა გვხვდება სხვა მცენარეთა მერქნის პარენქიმული უჯრედები.

ჭრილი G-2 კვადრატში. ეს ჭრილი გაკეთებულია ნავთობსადენის ბაქო-თბილისი-ჯეიხანის დერეფნის სამხრეთ კედელში. აქ შესწავლილია ყოველ 10 სმ-ში აღებული 16 სინჯი. ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურული ფენა მოიცავს 1-1.60 მ სიღრმეებს. განხილული ფენის პალინოლოგიური სპექტრები მკეთრად განსხვავდება ზედა ფენებისგან იმით, რომ აქ ბევრია ადამიანის საცხოვრებელი ეზოების, გზისპირა და სანაგვეების სარეველები. განსაკუთრებით კი ბევრია მრავალძარღვა (*Plantago lanceolata*, *Plantago media/major*). 130-140 სმ სიღრმეზე კარგადაა წარმოდგენილი მევენახეობისა და მებაღეობის ელემენტები. აღმოჩენილია კულტურული ვაზის (*Vitis vinifera*) და თხილის (*Corylus*) მტვრის მარცვლები (სურ. 6,7). განხილულ შრეში ნაპოვნია მიწათმოქმედების ბევრი სხვა ელემენტი; მაგალითად, ხორბლის ნათესების სარეველები: მათიტელა (*Polygonum*), ღიღილო (*Centaurea*), ნარშავი (*Carduus*) და სხვ. ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ადრე ბრინჯაოს დროის

ფენაში, დღევანდელ სპექტრთან შედარებით, მეტია სითბომოყვარული ფართოფოთლოვანი ტყის კომპონენტების მტვრის მარცვლების რაოდენობა. ამ ჯგუფში დომინირებს მუხის (*Quercus*) მტვერი, არის აგრეთვე წიფელი (*Fagus orientalis*), რცხილა (*Carpinus betulus*), მურყანი (*Alnus*). რაც შეეხება სიცივის მოყვარულ ისეთ ელემენტს, როგორცაა ნაძვი (*Piceae orientalis*), მტკვარ-არაქსული კულტურის დროის ფენაში მისი მტვრის რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე დღევანდელ სპექტრში. თუ დღეს ეს მაჩვენებელი 18-19%-ია, ქვედა ფენაში ნაძვის პროცენტული შემადგენლობა პალინოლოგიურ სპექტრში 5-7%-ს არ აღემატება. ნაკლებია სოჭის (*Abies nordmanniana*) მნიშვნელობაც. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზედაპირულ სპექტრში სითბომოყვარული ფართოფოთლოვნები საერთოდ არ აღინიშნება.

ჭრილი B-2 კვადრატში. ეს ჭრილი მდებარეობს დერეფნის იმავე სამხრეთ კედელში და 160 სმ სისქისაა. მტკვარ-არაქსის კულტურის ფენა აქ დაფიქსირდა 80 სმ სიღრმიდან. პალინოლოგიურ სპექტრში ერთდროულად გამოჩნდა მრავალძარღვას (*Plantago*), კულტურული ვაზის (*Vitis vinifera*), კაკლის (*Juglans regia*) და თხილის (*Corylus*) მტვრის მარცვლები. ეს ელემენტები კი მებაღეობა-მევენახეობის არსებობის დასტურია. გარდა ამისა, სპექტრებში დაფიქსირდა ხორბლის, ქერის და მისი ნათესების სარეველები. რაც შეეხება ტყის ელემენტებს, აქაც, როგორც პირველ ჭრილში, მატულობს ისეთი სითბომოყვარული ხემცენარეები, როგორცაა მუხა (*Quercus*) და წიფელი (*Fagus*). არაპალინოლოგიური ხასიათის ნამარხებიდან ადრე ბრინჯაოს კულტურულ ფენაში აღმოჩენილია ფიჭვის მერქნის პარენქიმული უჯრედები, სოკოს სპორები, მარცვლოვნების ეპიდერმული უჯრედები და ტექსტილის ბოჭკოები. ბევრია სელის ბოჭკო.

ზემოაღნიშნული ჭრილების გარდა განსაკუთრებულად საინტერესო აღმოჩნდა *მეორე ნაკვობიდან (კვადრატი F-3, სიღრმე 567 სმ.)* აღებული სინჯის პალინოლოგიური სპექტრი. ანთროპოგენურ ინდიკატორებს შორის უხვადაა წარმოდგენილი ხორბლის მტვერი და მისი ნათესებისთვის დამახასიათებელი სარეველები. ამ სპექტრში არის

აგრეთვე მრავალძარღვა (*Plantago*), ფარსმანდუკი (*Achillea*), ირმისმხალა (*Serratula*), რომლებიც ადამიანის საცხოვრებლის მახლობლად ვრცელდება. ხემცენარეთა ჯგუფში ჭარბობს მუხის (*Quercus*) მტვრის მარცვლები. საინტერესოა აგრეთვე არაპალინოლოგიური ხასიათის ნამარხი მიკროსკოპიული ნაშთები. ესენია: მარცვლოვნების ეპიდერმული უჯრედები, მარცვლოვნების თავთავების ეპიდერმისი, ფიჭვის მერქნის პარენქიმული უჯრედები და სელის ტექსტილის ბოჭკოები.

სამარხი №1, ტურჭელი 2. ამ თიხის ქოთნის შიგთავსის პალინოლოგიურ სპექტრში უხვადაა წარმოდგენილი ადამიანის საცხოვრებლის ირგვლივ არსებული სარეველების მტვერი. როგორც უკვე აღინიშნა, ესენია: მრავალძარღვა, ფარსმანდუკი, ავშანი და სხვ. არის ნათესების სარეველების მტვრის მარცვლები. კარგადაა წარმოდგენილი მებაღეობის ელემენტები. არის კაკლისა (*Juglans regia*) და თხილის (*Corylus*) მტვერი.

ხემცენარეთა ჯგუფში, როგორც ჭრილების კულტურულ ფენებში, დაფიქსირდა მუხის, რცხილისა და წიფლის მტვრის მარცვლები. არის გვიმრა კილამურას (*Polypodium vulgare*) სპორები (სურ. 7). ეს გვიმრა სითბომოყვარულია და მხოლოდ ტყის ქვედა ზოლში იზრდება. რაც შეეხება არაპალინოლოგიურ ნაშთებს, აქ ბევრია წყალმცენარე *Dinoflagellates*-ს ფოსილიები. ნაპოვნი სოკოს სპორები, ნიადაგის ტკიპა, შალისა და სელის ქსოვილის ბოჭკოები (სურ. 8,9). არის აგრეთვე მუხისა და ფიჭვის მერქნის პარენქიმული უჯრედები. თუ რა იყო მოთავსებული განხილულ ქოთანში, ამის თქმა ძნელია, მაგრამ მტკნარი წყლის წყალმცენარეთა ნაშთები გვაფიქრებინებს, რომ მიცვალებულს წყალი ჩაატანეს, მაგრამ შემდგომ იქ განამარხებული მიწა ჩავარდა და სპექტრი მეტწილად ამ განამარხებული ნიადაგის ბოტანიკურ ნაშთებს ასახავს.

სამარხი №8, მიცვალებულის მუცლის არე. განხილულ სამარხში მოზარდი იყო დამარხული. მუცლის არედან აღებულ სინჯში მტვრის მარცვლების დიდი რაოდენობა გამოვლინდა. კარგია მათი დაცულობა და ეს თვისება დამახასიათებელია ნებისმიერი ცხოველის კოპროლიტების-

თვის (Araújo et. al. 1981; Brinkkemper and Haaster 2012; Kvavadze 2016). კულტურულ მცენარეთაგან აქ ხორბლის (*Triticum*) მტვერი აღმოჩნდა. არის აგრეთვე ველური წიწიბურას (*Fagopyrum*) მტვრის მარცვლები. ეს ორი კომპონენტი ალბათ საკვების ნაშთია (ფაფეულობისა და პურის). ძალზე საინტერესოა, ის ფაქტი რომ პალინოლოგიურ სპექტრში ბევრია სამკურნალო მცენარეთა მტვრის მარცვლები და განსაკუთრებით კი გვიმრების სპორები. ესენია: გვიმრა გველის ენა (*Ophioglossum vulgatum*), გვიმრუჭა (*Asplenium*), სამეფო გვიმრა (*Osmunda regalis*), კილამურა (*Polypodium vulgare*), ეწრის გვიმრა (*Pteridium aquilinum*) და სხვ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მუცლის არეში აღებული სინჯის სპექტრში აღმოჩნდა პარაზიტული ჭიის, ღორის სოლიტერის კვერცხები (*Taenia solium*). სწორედ გვიმრების ნაყენია დღესაც უებარი წამალი ჰელმინთოზის დაავადებათა სამკურნალოდ (Duke et al. 2002; Said et al. 2002; Quattrocch 2012). ადრე ბრინჯაოს პერიოდში ღორის სოლიტერი პრობლემა უნდა ყოფილიყო სამხრეთ საქართველოს მოსახლეობისთვის. გარდა ამისა, აღმოჩენილი დაავადების დასტურიცაა, რომ განხილულ რეგიონში ამ დროს მეღორეობა უკვე იყო განვითარებული, ღორის ხორცი კი ადამიანისთვის კარგი საკვები უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, ზემოთ მოყვანილმა მასალამ აჩვენა, რომ მიუხედავად მაღალი სიმალისა, თისელის სერზე ადრე ბრინჯაოს პერიოდში ადამიანი მიწათმოქმედებას მისდევდა. ითესებოდა ხორბალი, ქერი და ტვავიც. თბილი კლიმატური პირობები მებაღეობასა და მევენახეობას ხელს უწყობდა. ადამიანი მოსწორებულ ადგილებს მიწათმოქმედებისთვის ინტენსიურად ითვისებდა.

ახლომდებარე მთები შემოსილი იყო ფართოფოთლოვანი და შერეული ტყეებით, სადაც მუხა ჭარბობდა. იქვე იზრდებოდა წიფელი, რცხილა, მურყანი, თხილი. წიწვოვნების ტყე, რომელიც აქ დღეს იზრდება, გავრცელებული უნდა ყოფილიყო მთის უფრო მაღალ ფერდობებზე.

თისელის სერზე ადრე ბრინჯაოს დროის ადამიანი მეცხოველეობასაც მისდევდა, ღორსა და ცხვარს ამრავლებდა. მეღორეობის არსებობა-

ზე მიუთითებს ღორის სოლიტერიტ დავადებულ მიცვალებული. ცხვრის ყოლას კი ამტკიცებს კულტურულ ფენებში აღმოჩენილი მატყლის ტექსტილის ნაშთები. იმდროინდელი ადამიანი შალის ნაქსოვის გარდა სელის ტექსტილსაც ხმარობდა. ფერადი ძაფების არსებობა კი ფეიქრობაზე მიგვანიშნებს. უფრო მეტია ღია წითელი ფერის ბოჭკოები. არის აგრეთვე ღია შაბიამნის-ფერი სელის ბოჭკოც.

ადრე ბრინჯაოს პერიოდის მოსახლეობამ ბევრი სამკურნალო მცენარის გამოყენება იცოდა. იგი ჭიის დაავადების საწინააღმდეგო საშუალებასაც ხმარობდა, რასაც ადასტურებს №8 სამარხში დაკრძალული მიცვალებულის მუცლის არეში აღმოჩენილი უამრავი სამკურნალო გვიმრის სპორა.

ამრიგად, პალინოლოგიური კვლევა ადასტურებს, რომ თისელის სერზე იმდროინდელი კლიმატური პირობები მკვეთრად განსხვავდებოდა დღევანდელისგან. იგი გაცილებით თბილი და ნესტიანი უნდა ყოფილიყო, რასაც შესწავლილი მცენარეულობის კომპლექსი ადასტურებს. თბილი კლიმატური პირობები კი ხელს უწყობდა მიწათმოქმედების განვითარებას, განსაკუთრებით კი - მევენახეობასა და მებაღეობას.

ნამოსახლარი ჭობარეთი. ჭობარეთის ნამოსახლარი მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, ისტორიულ სამცხე-ჯავახეთში, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭობარეთის ჩრდილოეთით, 900 მეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 1610 მ სიმაღლეზე (41°34.926'N, 43°8.918'E). განლაგებულია ტერასულად ორ ბუნებრივ ბორცვზე. ძველი, რომლის საერთო სიგრძე 700 მეტრამდეა, აღმოჩნდა შემთხვევით, ახალშენებლობის დროს, მაგისტრალური გაზსადენის სამშენებლო დერეფანში. გადარჩენილი სამუშაოები ჩატარდა 2009 წელს (Kakhiani et al. 2013). არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა 11 ნაგებობა, 18 სამეურნეო დანიშნულების ორმო და 10 სამარხი (Kakhiani et al. 2013; Sagona 2014; 2018). მოპოვებულ არტეფაქტებს შორის გვხვდება სხვადასხვა დანიშნულებისა და ფორმის თიხის ჭურჭელი, მათ შორის დიდი ზომის დერეგებიც. საკმაო რაოდენობითაა ნაპოვნი ხელსაფქვავეები, რომლებიც

ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც ქვის სახეობებით, ისე ფორმითა და ზომით (Kakhiani et al. 2013; Sagona 2014, 2018).

ავსტრალიასა და საფრანგეთში რადიოკარბონული მეთოდით დათარიღდა ჭობარეთის ნამოსახლარის სხვადასხვა კულტურული ფენიდან და სამარხიდან მოპოვებული ორგანული ნაშთები. დათარიღებები ადასტურებს, რომ ჭობარეთის ნამოსახლარი არ იყო დროებითი და ის არსებობდა ძვ.წ. 3350 წლიდან ძვ.წ. 2900 წლამდე (Kakhiani et al. 2013; Sagona 2014; 2018).

პალინოლოგიური ანალიზის მეთოდით ნამოსახლარიდან მოპოვებული და გამოკვლეულია 100-დე ნიმუში. ეს არის სამარხების, სამეურნეო ორმოების, ხელსაფქვავეებისა და ჭურჭლის შიგთავსის მასალა, რომელიც უაღრესად მდიდარი აღმოჩნდა. თითოეულ ნიმუშში ზოგჯერ ითვლებოდა 560-800 პალინომორფი. ჩამოთვლილი სამი ტიპის მასალის პალინოლოგიურ სპექტრებს ბევრი საერთო ნიშანი აქვს, მაგრამ მკვეთრად შეიმჩნევა აგრეთვე განსხვავებული დეტალებიც.

შესწავლილია სამი სამარხის მასალა. ესენია: სამარხი №4, სამარხი №1, სამარხი №8.

სამარხი №4. აქ ნიმუში №1 აღებულია ჩონჩხის ქვედა კიდურებთან, ნიმუში №2 - მუცლის არე-დან და ნიმუში №3 - მენჯის ძვლის ქვეშ. სამივე სინჯის პალინოლოგიურ სპექტრისთვის დამახასიათებელია წიწვოვნების მტვრის, განსაკუთრებით, ფიჭვის მტვრის მარცვლების სიუხვე (სურ. 10). ბევრია აგრეთვე სოჭის მტვერი, ნაძვის მტვრის შემცველობა კი ნაკლებია. სხვა ხემცენარეებიდან აღინიშნება მურყნის, წიფლის, არყის, მუხის, რცხილის, ხეჭრელის მტვრის მარცვლები. რაც შეეხება ბალახოვნებს, ეს ჯგუფი სამივე ნიმუშში უფრო კარგადაა წარმოდგენილი, ვიდრე ხემცენარეთა მტვერი. ტარბობს ნაცარქათამას, მათიტელასა და ვარდკაჭაჭას მტვრის რაოდენობა. ნაცარქათამას მტვერი განსაკუთრებით უხვადაა ნაპოვნი მუცლის არეში (ნიმუში №2). აქ ბევრია აგრეთვე ხორბლის მტვრის მარცვლები. არის შვრიისა და სხვა სათესი მარცვლეულის მტვერი. მხოლოდ მუცლის არეში გვხვდება ფარსმანდუკის, ღიღილოს და მრავალძარღვას

მტვრის მარცვლები. ცნობილია, რომ ჩამოთვლილი მცენარეები სამკურნალოა (Duke et al. 2002; Said et al. 2002; Quattrocch 2012). მედიცინაში გამოიყენება აგრეთვე არყის ყვავილის ნაყენი (Miller et al. 2005; Papp et al 2014). არყის მტვრის მარცვლები ასევე მხოლოდ მუცლის არეში არის დაფიქსირებული. მხოლოდ მუცლის არეშია ნაპოვნი ნემსიწვერას, ბოსტნის წალიკას, ჯინჭრის, ხვართქლას მტვერი. ამ მცენარეთა ფოთლები ბევრ ვიტამინს შეიცავს და ადამიანი მათ საკვებად იყენებს (Grosgeim 1946). იჭმება ნემსიწვერას ფესვები, როგორც გემრიელი ბოსტნეული (Grosgeim 1946). მეორე ნიმუშში უხვადაა წარმოდგენილი სხვადასხვა გვიმრის სპორები (სურ. 10).

არაპალინოლოგიური ნაშთებიდან დომინირებს ფიჭვის მერქნის უჯრედები, განსაკუთრებით კი სამარხის ძირიდან აღებულ ნიმუშში. ეს ფაქტი კი იმაზე მეტყველებს, რომ მიცვალებული სარეცელზე იყო დასვენებული (სურ. 11).

მეორე ნიმუშში, რომელიც მუცლის არედანაა აღებული, უხვადაა სათესი მარცვლოვნების, სხვა საკვები ბალახოვნების მტვერი და ფიტოლიტები, რაც ყოველთვის ახლავს მცენარეულ საკვებს (პური, მხალეული, მწვანელი).

მენჯის ძვლის ქვეშ აღებულ სინჯში ბევრია სელის ბოჭკო, რომელიც ტანსაცმლის ან სუდარის ნაშთი უნდა იყოს. აღინიშნება ნაცრისფერი სელის ბოჭკოც. მცირე რაოდენობით სელის ბოჭკოები ნაპოვნი ასევე პირველ და მეორე ნიმუშებში. ცოტაა მცენარეთა ეპიდერმისი. აღინიშნება მწერების ბუსუსები, მათი კლანჭისებური ტერფები და ზოოლოგიური ეპიდერმისი. მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი ტკიპებისა და სხვა ფეხსახსრიანების მიკრონაშთები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მიცვალებული დაიკრძალა გვიან შემოდგომაზე, ან ადრე გაზაფხულზე, როცა სიცივის გამო მწერებსა და ტკიპებს აქტიური ფაზა არ უნდა ჰქონოდათ.

სამარხი №1. ამ სამარხიდან სამი ნიმუში აღებულია მიცვალებულის მუცლის არის სხვადასხვა ნაწილიდან (ნიმ. №4,5,6) და ერთი კი (ნიმ. №7) მიცვალებულის ქვედა კიდურებთან (ტერფებთან). პალინოლოგიური სპექტრი უაღრესად

მდიდარია. მეოთხე ნიმუშში დათვლილია 842, და მეხუთეში კი 875 პალინომორფი. №6 სინჯში ნაპოვნია 699 პალინომორფი. აქაც ხემცენარეთა შორის ბევრია წიწვოვნების მტვრის მარცვლები. დომინირებს ფიჭვი, თუმცა პალინოლოგიურ სპექტრში აღინიშნება უამრავი სხვა ხემცენარის მტვერი. ესენია: ღვია, ეფედრა, არყი, კაკალი, წიფელი, რცხილა, ჯაგრცხილა, მუხა, ცაცხვი, ძელქვა, მურყანი და თხილი. ტარბობს თხილისა და ცაცხვის მტვრის მარცვლები. რაც შეეხება ბალახოვნებს, დომინირებს ხორბლის და მათიტელას მტვერი. ნაცარქათამას მტვრის მარცვლების როლი ამ სამარხში აღარ არის მნიშვნელოვანი. არც ვარდკაჭაჭას მტვერია ისე ბევრი, როგორც მეოთხე სამარხში. ფარსმანდუკის, ღიღილოს, გვირა-გველის ენისა და სხვა სამკურნალო მცენარის მტვერი და სპორები აქაც მხოლოდ მუცლის არეში გვხვდება. აღინიშნება უამრავი საკვები მცენარის მტვრის მარცვლები. ესენია: კაკალი, თხილი, ბალბა, ჭვავი, ხორბალი, ტინჯარი, ნემსიწვერა, ბოსტნის წალიკა და სხვ. ცაცხვის, არყის, ღვის, ეფედრის, ძელქვისა და ნეკერჩხლის არსებობა მუცლის არეში აღებულ ორგანულ ნაშთებში შეიძლება იმით აიხსნას, რომ მიცვალებული მკურნალობდა ჩამოთვლილი მცენარეების ფოთლის, ყვავილის ან თესლების ნაყენით (Mahdihassan 1986; Tashev and Tsakov 2008; Demiray 2009; Adams et al. 2012; Quattrocch 2012; Hayta et al. 2014; Alarcon et al. 2015).

არაპალინოლოგიური ნაშთების კომპლექსი სულ სხვა თვისებებს ატარებს. თითქმის არ აღინიშნება ფიჭვის მერქნის ტრაქეალური უჯრედები. დომინირებს ტკიპების მიკრონაშთები. ესენია მათი ჯაგარი, კლანჭისებური ტერფები და მარწუხები. მხოლოდ მეხუთე ნიმუშშია აღმოჩენილი ფუტკრის ბუსუსები, რაც ყოველთვის თან ახლავს თაფლს ან მის პროდუქტებს, რომლებიც, სავარაუდოდ, მიცვალებულის დიეტაში შედიოდა და რითაც, სავარაუდოდ, იგი გარდაცვალებამდე იკვებებოდა. აღინიშნება მცენარეთა ეპიდერმისი და ფიტოლიტები. მცირე რაოდენობით ფიქსირდება სოკოს სპორები. ნაპოვნია სელის ტექსტილის რამდენიმე ბოჭკო, მათ შორის ვარდისფერი, ლურჯი და ნაცრისფერი. მეხუთე და მეშვიდე

სინჯში ნაპოვნია პარაზიტული ჭიის კვერცხები, რომლებიც კვლევის ამ ეპატზე უფრო დეტალურად არ არის განსაზღვრული.

სამარხი №8. ამ სამარხში აღმოჩენილი №1 ჭუჭლის შიგთავსიდან აღებულია ერთი სინჯი. მისი პალინოლოგიური სპექტრი არ არის ისეთი მდიდარი, როგორც ზემოთ აღნიშნული სპექტრები. ხემცენარეთაგან ჭურჭელში ნაპოვნია მხოლოდ წიწვოვნებისა და ცაცხვის მტვრის მარცვლები. ბალახოვნებიდან ბევრია ხორბლის მტვერი და სხვა კულტურული მარცვლოვნები, რომელთა მტვერი, ცუდი დაცულობის გამო, გვარამდე ვერ განისაზღვრა. კარგადაა წარმოდგენილი მათიტელა, ჩვეულებრივი მათიტელა, ველური მარცვლოვნები, ნარშავი, რომლებიც ყოველთვის ახლავს ხორბლეულობას. არის აგრეთვე ნაცარქათამას, ვარდკაჭაჭას, ბალბას, წიწიბურას, ნემსიწვერასა და ფარსმანდუკის მტვერი.

არაპალინოლოგიური ფოსილიების ჯგუფში ბევრია მარცვლოვნების ფიტოლიტები და განუსაზღვრელი ხის მერქნის დამწვარი ტრაქეალური უჯრედები. აღნიშნება წყალმცენარე დინოფლაგელატას ნაშთები. ამიტომ, სავარაუდოდ, ჭურჭელი სამზარეულო დანიშნულების უნდა იყოს, და, როგორც ჩანს, მიცვალებულს ხორბლეულის ფაფეული ჩაატანეს. არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ნაპოვნია აგრეთვე მცენარეთა ეპიდერმისი, აგრეთვე - სელის ტექსტილისა და შალის ბოჭკოები, არის ნაცრისფერი სელის ბოჭკოც.

სამეურნეო ორმოები. აღნიშნულ ნამოსახლარზე პალინოლოგიურად შესწავლილია 8 სამეურნეო ორმოდან აღებული 21 ნიმუში. სამეურნეო ორმოების პალინოლოგიური სპექტრები დატანილია დიაგრამაზე (სურ. 12,13). როგორც ვხედავთ, სპექტრებისთვის დამახასიათებელია ხორბლის (*Triticum*) მტვრისა და სხვა სათესი მარცვლოვნების (*Cerealia*) სიტარბე (სურ. 14,15). ორმოებში, ხორბლის გარდა, ნაპოვნია ქერის (*Hordeum*), ფეტვისა (*Panicum*) და შვრიის (*Avena*) მტვრის მარცვლები. კარგადაა წარმოდგენილი ხორბლის ნათესების სარეველა მცენარეების მტვერი. ესენია: მათიტელა (*Polygonum, Polygonum aviculare*), ნაცარქათამა (*Chenopodium album*), ნარშავი (*Carduus*),

ხვართელა (*Convolvulus*), ღიღილო (*Centaurea*), წიწიბურა (*Fagopyrum*). არაპალინოლოგიურ პალინომორფებს შორის ბევრია მწერებისა და ტკიპების მიკროსკოპიული ნაშთები, მარცვლოვნების ფიტოლიტები (სურ. 13). აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა სამეურნეო ორმოს ძირში ბევრია სელის ქსოვილის ბოჭკო. უხვადაა წარმოდგენილი სოკო გლომუსის სპორები. ორმოების პალინოლოგიური სპექტრების უფრო დეტალური მონაცემები მოყვანილია ჩვენს ადრინდელ პუბლიკაციებში (Bitadze et al. 2011; Messenger et al. 2015).

სამეურნეო ორმო №15. განხილული ორმოს პალინოლოგიურ სპექტრებში ბევრია ხორბლისა და სხვა კულტურული მარცვლოვნების მტვერი და იგი ზემოთ მოყვანილი ორმოს ძირში აღებული ნიმუშის სპექტრების ანალოგიურია. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს ორმო სამეურნეო დანიშნულებისაა და შიგ ხორბლეულობა ინახებოდა. ხორბლის მტვრის შემადგენლობა სპექტრში მაღალია. არის აგრეთვე ქერის, ჭვავისა და სხვა კულტურული მარცვლოვნების მტვერი. ბევრია ხორბლის ნათესების სარეველები. არაპალინოლოგიურ ჯგუფში დომინირებს მარცვლოვნების ფიტოლიტები, რომლებიც ხორბალში ჩარჩენილ ბზის მიკრონაშთებზე მიუთითებს. საკმაოდ დიდი რაოდენობითაა მწერებისა და სხვა ტიპის ზოომასალის ნაშთები. შესაძლოა, ეს არის ხორბლის მავნებელი ხოჭოს - ცხვირგრძელას და სხვა ფეხსახსრიანთა ნაშთები, რომლებიც ხორბალს ამიანებენ. ორმო №15-ში აღებულ სინჯში აღმოჩენილია სელისა და შალის ბოჭკოები, ფიჭვისა და სხვა მერქნის პარენქიმული უჯრედები. აქვე ნაპოვნია ფრინველის ბუმბულის ნაშთიც.

სამეურნეო ორმო №3. ეს ორმო მეტერთმეტე ობიექტზეა გათხრილი და მისი ზედა სინჯის (№6) პალინოლოგიური სპექტრები ემსგავსება ორმო №15 სპექტრებს. აქაც ბევრია ხორბლისა და სხვა კულტურული ხორბლეულის მტვერი, მაგრამ ორმოს ქვედა ნაწილი სხვა ტიპის სპექტრებით ხასიათდება, რადგან ცუდად არის შემონახული მტვრის მარცვლები. ამიტომაც აქ ხორბლის მტვერი არცთუ ისე ბევრია. რაც შეეხება ხორბლის ყანების სარეველათა მტვერს, ისინი პალინოლოგიურ სპექტრში კარგადაა წარმოდ-

გენილი. არაპალინოლოგიური ნაშთების კომპლექსიც ისეთია, როგორც სამეურნეო ორმოში, სადაც ხორბალი ინახებოდა. დომინირებს მარცვლოვნების ფიტოლიტების რაოდენობა, არ არის სოკო გლომუსის სიუხვე. ცოტაა აგრეთვე ნაკელის სოკოს - სორდარიას სპორების რაოდენობა. აღინიშნება ზოოლოგიური მასალაც.

სამეურნეო ორმო №12. იგი ხასიათდება შემდეგი თვისებებით: ხორბლეულის და მათთან არსებული სარეველების მტვერი აქ ბევრი არ არის, თუმცა აღინიშნება იმ სარეველათა მტვრის მარცვლები, რომლებიც იზრდება ეზოებსა და სანაგვეებზე. ესენია ღორის ბირკა, ვარდკაჭაჭა, ფარსმანდუკი, მრავალძარღვა, ნაცარქათამა. იმას, რომ ეს ორმო სანაგვე უნდა ყოფილიყო, ადასტურებს სოკო გლომუსის სპორების დიდი რაოდენობაც. ბევრია აქ სელის და განუსაზღვრელი ტექსტილის ბოჭკო, რომელებიც ასევე ნაგავთან ერთად იქნა ჩაყრილი ორმოში. აქვე აღინიშნება სოკო ხაეტომიუმის სპორები, რომელიც იზრდება ტექსტილზე და შლის მას.

სამეურნეო ორმო №4. ეს ორმოც განლაგებულია მეთერთმეტე ობიექტზე. პალინოლოგიურ სპექტრებში დომინირებს ხორბლეულის მტვერი. ბევრია ხორბლის სარეველათა მტვრის მარცვლები. სოკო გლომუსის სპორები საერთოდ არ აღინიშნება. მწერების ნაშთები კარგადაა წარმოდგენილი. ნათლად ჩანს, რომ ეს ორმო ფუნქციონირებდა და მასში ხორბალი ინახებოდა.

სამეურნეო ორმო №17. იგი გათხრილია მეჩვიდმეტე ობიექტზე და საანალიზო ნიმუში, ორგანული მტვრის გარდა, ნახშირსაც შეიცავს. პალინოლოგიურ სპექტრში ბევრია წიწვოვნების მტვრის მარცვლები. დომინირებს ფიჭვი და სოჭი. არის აგრეთვე ფიჭვის მერქნის ტრაქეალური უჯრედები. ბევრია მარცვლოვნების ფიტოლიტები. აქ ნაპოვნია ხორბლის მტვრის მარცვლები. არის ხორბლის ნათესების სარეველებიც. სოკო გლომუსის სპორები არ აღინიშნება. ამიტომაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორმო №12-ში ხორბალი ინახებოდა.

ჭურჭლის მასალისა და ხელსაფეკავის ორგანული ნაშთების პალინოლოგიური სპექტრები. წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება იმ ხუთი ჭურჭლის შიგთავსი, რომლებშიც ყველაზე

კარგად დაცული მასალა აღმოჩნდა. მოყვანილი იქნება აგრეთვე ხუთი ხელსაფეკავის ორგანული ნაშთები. მასალა ვარგისი აღმოჩნდა. განვიხილოთ ყველა ჭურჭლის მასალის სხვადასხვა სპექტრის თავისებურებები (სურ. 16,17,18).

დერგი №1. ეს დერგი აღმოჩენილია მეოთხე სათავსში. პალინოლოგიურ სპექტრში ჭარბობს წიწვოვანთა მტვერი. განსაკუთრებით ბევრია ფიჭვისა და სოჭის მტვერი. ნაძვის მტვრის რაოდენობა ნაკლებია. ნაპოვნია აგრეთვე წიფლის ერთი მტვრის მარცვალი. ბალახოვნებში დომინირებს სათესი მარცვლოვნები. ხორბლის მტვერი მეტია, ვიდრე ჭვავის. კარგადაა წარმოდგენილი მარცვლოვნების ყანის სარეველები. არაპალინოლოგიური ხასიათის ნაშთებიდან უხვადაა მარცვლოვნების ფიტოლიტები, სახამებელი და მცენარეთა ეპიდერმისი (სურ. 19,20). სოკოებიდან მცირე რაოდენობით აღინიშნება გლომუსი (სურ. 21), ჰაეტომიუმი, ნაკელის სოკო სორდარია და განუსაზღვრელი სოკოს სპორები. ნაპოვნია წყალმცენარეთა (დინოფლაგელატა) ნაშთები. დაფიქსირდა სელის ტექსტილის ბოჭკოც. ზოოლოგიური მასალა კარგადაა წარმოდგენილი. აღინიშნება მწერებისა და ტკიპების ჯაგარი, კლანჭისებური ტერფები, ეპიდერმისი (სურ. 22,23).

ჭურჭელი №3. ეს ცალყურა ხელადა ნაპოვნია მეათე და მეთერთმეტე უბნების მიჯნაზე. პალინოლოგიური სპექტრები არცთუ ისე მდიდარია. ხემცენარეებს შორის აქაც დომინირებს წიწვოვნების მტვრის მარცვლები, განსაკუთრებით - ფიჭვის. თანაბარი რაოდენობით აღინიშნება სოჭისა და ნაძვის მტვერი. ბალახოვნებში ბევრია მარცვლოვნები, როგორც ველური, ისე კულტურული. არის ხორბლის, ქერისა და შვრიის მტვერი. ჭარბობს ხორბალი და მის ნათესებისთვის დამახასიათებელი სარეველები. არაპალინოლოგიური ნაშთებიდან ბევრია ხის მერქნის უჯრედები და მარცვლოვნების ფიტოლიტები. ცოტაა სოკო გლომუსის სპორები და ზოოლოგიური მიკრონაშთები. არის სელის ტექსტილის ბოჭკოები.

სამეურნეო ორმოში აღმოჩენილი მცირე ზომის ჭურჭელი. ამ ჭურჭლის პალინოლოგიურ სპექტრებში დომინირებს კულტურული მარცვლოვ-

ნები. ბევრია ხორბლის მტვრის რაოდენობა. არის აგრეთვე, შვრიის, ქერისა და სხვა სათესი მარცვლოვნების მტვერი. კარგადაა წარმოდგენილი ხორბლის ნათესების სარეველები. აღინიშნება კილამურას, მარგალიტას და სხვადასხვა განუსაზღვრელი გვიმრის სპორები. ხემცენარეთა ჯგუფში ჭარბობს წიწვოვანთა მტვერი. აქაც პირველი დომინანტი ფიტცია, მეორე კი - სოჭი. ნაძვის, ღვიის, ცაცხვის მტვრის მარცვლები ცოტაა. თხილის მტვერი ჩამოთვლილ მცენარეთა მტვრის მარცვლებზე მეტია.

არაპალინოლოგიური ნაშთების ჯგუფში ბევრია მარცვლოვანთა ფიტოლიტები. არის მათი ღეროების უჯრედები, აღინიშნება მცენარეთა ეპიდერმისი. კარგადაა წარმოდგენილი ხის მერქნის, მათ შორის ფიტცის უჯრედები. სოკოს სპორები და ზოოლოგიური ნაშთები ცოტაა. შედარებით მეტია სელის ტექსტილის ბოჭკოები.

ჭურჭელი №4. მეათე და მეთერთმეტე ობიექტებს შორის მდებარე ორმო №4-ში ნაპოვნია თიხის ჭურჭელი №4. ამ ჭურჭლის შიგთავსში პალინოლოგიური სპექტრები კულტურული მარცვლოვნების სიუხვით გამოირჩევა. ბევრია ხორბალი, შვრია და ქერი. გვხვდება აგრეთვე ფეტვისა და სხვა სათესი მარცვლოვნების მტვერი. უნდა აღინიშნოს, რომ გამოიყოფა ხორბლის რამდენიმე სახეობა. კარგადაა წარმოდგენილი ხორბლის ყანების სარეველებიც. გარდა ამისა, ბევრია გვიმრების - გველის ენის, კილამურას, მარგალიტას სპორები. ხემცენარეთა შორის დომინირებს ფიტცია და სოჭი. ცოტაა ნაძვის, მუხის, ცაცხვის მტვრის მარცვლები. თხილის მტვრის რაოდენობა ოდნავ მეტია.

არაპალინოლოგიური ხასიათის ნაშთებიც კარგადაა წარმოდგენილი. ჭარბობს მარცვლოვნების ფიტოლიტები და ხის მერქნის უჯრედები. აღინიშნება წყალმცენარეები. აქ ნაპოვნია სოკო მიკორუსის სპორები, რომლებიც ნესტიან პირობებში ხორბლეულს უჩნდება და აზიანებს მას.

სელის ტექსტილის ბოჭკოები არცთუ ისე ბევრია. მწერებისა და ტკიპების მიკრონაშთები კი უკეთესადაა წარმოდგენილი. ნაპოვნია ფრინველის ბუმბულის ნაშთიც.

ჭურჭელი №2. იგი აღმოჩენილია მეთერთმეტე ობიექტის სამეურნეო ორმოში და მისი შიგთავსის პალინოლოგიური სპექტრები თითქმის ისეთივეა, როგორც ზემოთ განხილული სხვა ჭურჭლებისა. ბევრია ხორბლის მტვერი და აქაც შეიმჩნევა ხორბლის რამდენიმე ჯიშის არსებობა. ნაპოვნია აგრეთვე შვრიის მტვრის მარცვლები. კარგადაა წარმოდგენილი ხორბლის ნათესებისთვის დამახასიათებელი სარეველების მტვერი. განსაკუთრებით დიდია მათიტელას მტვრის მარცვლების რაოდენობა. აღინიშნება ტყის გვიმრების სპორები. ესენია: გველის ენა, კილამურა, მარგალიტა. ბევრია განუსაზღვრელი გვიმრების სპორები. ხემცენარეთა ჯგუფი წარმოდგენილია წიწვოვნებისა და თხილის მტვრის მარცვლებით. დომინირებს ფიტცია და სოჭი.

არაპალინოლოგიურ ნაშთებში ბევრია ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები და მარცვლოვნების ფიტოლიტები. კარგადაა წარმოდგენილი ზოოლოგიური მიკრონაშთები, განსაკუთრებით კი მწერების ჯაგარი და კლანჭისებური ტერფები. ნაპოვნია აგრეთვე ჩრჩილის პეპლის ფრთის ეპიდერმისი. სოკოს სპორები (გლომუსი) და ტექსტილის ბოჭკო ცოტაა.

ხელსაფეკავების პალინოლოგიური სპექტრების დახასიათება. პალინოლოგიური ანალიზი ჩატარდა ექვსი ხელსაფეკავიდან მოპოვებულ მასალაზე. ნიმუში №1,2,3,4,6 წარმოადგენს იმ ხელსაფეკავების ორგანულ ნაშთს, რომლებიც მოპოვებული იყო მეოთხე სტრუქტურის ტერიტორიაზე. მაგრამ ის ხელსაფეკავი, საიდანაც აღებულია ნიმუში 5, აღმოჩნდა სტრუქტურა №5-ზე (სურ. 24). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოთხი ნიმუში აღებულია პატარა ზომის ხელსაფეკავებიდან და ნიმუშები 5,6 მოპოვებულია დიდი ზომის ხელსაფეკავებიდან. ანალიზმა აჩვენა, რომ მტვრის მარცვლების დიდი რაოდენობა ნაპოვნია იმ ხელსაფეკავების ორგანულ ნაშთებში, რომლებიც ანდებიტის ქანისგანაა დამზადებული (ნიმ. №1,2,5,6). ამ ვულკანური წარმოშობის ქვას გააჩნია უამრავი ღრმა ფორი, რომლებშიც ჩარჩა ის მცენარეული ნაშთები, რაც ხელსაფეკავზე ხვდებოდა და მუშავდებოდა. როგორც პალინოლოგიური დიაგრამა აჩვენებს, ხემცენარეთა შო-

რის ჭარბობს წიწვოვნების მტვრის მარცვლების რაოდენობა, განსაკუთრებით კი ფიჭვისა (*Pinus*). მეორე დომინანტი კაკალია (ნიმ. №5,6). კაკლის (*Juglans regia*) გარდა, ფართოფოთლოვნებიდან, რომლებიც თბილ კლიმატურ პირობებში იზრდება, აღინიშნება: რცხილა (*Carpinus betulus*), ცაცხვი (*Tilia*), ძელქვა (*Zelkova*), მუხა (*Quercus*), უხრავე (*Ostrya*), ლაფანი (*Pterocarya fraxinifolia*) (სურ. 25,28). მცირე რაოდენობითაა წიფელი (*Fagus orientalis*), არყი (*Betula*), ეფედრა (*Ephedra procera*), თელა (*Ulmus*), იფანი (*Fraxinus*), ტირიფი (*Salix*). ბუჩქნარებიდან აღინიშნება თხილის (*Corylus*), კვიდოს (*Ligustrum*), ხეტრელის (*Rhamnus*) მტვრის მარცვლები. დიდ ინტერესს წარმოადგენს აგრეთვე ოთხი ხელსაფქვავის მასალაში ნაპოვნი ჩვეულებრივი ვაზის (*Vitis vinifera*) მტვერი (სურ. 29). რაც შეეხება ბალახოვნებს, ეს ჯგუფი უაღრესად მდიდარია და მასში განისაზღვრა 60-დე ტაქსონი (სურ. 26). ზოგადად ჭარბობს ხორბლისა და სხვა სათესი მარცვლოვნების მტვრის რაოდენობა. ხორბლის გარდა გვარამდე განისაზღვრა ქერისა (*Hordeum*) და შვრიის (*Avena*) მტვრის მარცვლები, რაც სავსებით ბუნებრივია. კარგადაა წარმოდგენილი აგრეთვე ხორბლის ნათესების სარეველათა მტვერი. ბევრია სამკურნალო ბალახოვნების მტვრის მარცვლები. ესენია: ავშანი (*Artemisia*), ფარსმანდუკი (*Achillea*), ლილილო (*Centaurea*), ირმისმხალა (*Serratula*), კატაბალახა (*Valeriana*), ჭინჭარი (*Urtica*), ყაყაჩო (*Papaver*) და სხვ. უამრავია იმ გვიმრების სპორები, რომლებსაც ასევე აქვს სამკურნალო თვისებები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელსაფქვავზე იხეხებოდა როგორც საკვები პროდუქტები, ისე უამრავი სამკურნალო მცენარეების თესლი, ნაყოფი თუ მათი გამხმარი ფოთლები და ფესვები.

პალინოლოგიურ სპექტრში ბევრია არაპალინოლოგიური ხასიათის ნაშთები. ჭარბობს ხორბლეულის ფიტოლიტები და სახამებელი. კარგადაა წარმოდგენილი სოკოს სპორები, განსაკუთრებით კი - სოკო გლომუსის. ბევრია აგრეთვე ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები, მწერებისა და ტკიპების მიკროსკოპიული ნაშთები (სურ. 27). მცირე რაოდენობითაა ნაკელის

სოკოს სპორები, წყალმცენარეები და სელის, კანაფისა და შალის ქსოვილის ბოჭკო. ცოტაა ვულკანური ფერფლის ნაშთები.

მაშასადამე, მონაცემთა სამივე ჯგუფმა, რომლებშიც შედის ჭობარეთის ნამოსახლარის სათავსოების სამეურნეო ორმოები, ჭურჭლის შიგთავსი, ხელსაფქვავების ორგანული ნაშთები და სამარხების პალინოლოგიური მასალა, აჩვენა, რომ მათი სპექტრების ტიპი ერთნაირია, იმიტომ რომ ისინი ასახავს ერთი დროის პალეოეკოლოგიურ პირობებს. ყველა შესწავლილი ნიმუშის ხემცენარეთა ჯგუფში დომინირებს წიწვოვნები, განსაკუთრებით კი ფიჭვი და სოჭი. ეს იმას ნიშნავს, რომ განხილული რეგიონის მაღალი მთები, სადაც დღეს სუბალპური და ალპური მდელოებია, ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში წიწვოვნების ტყით იყო დაფარული. ამ ტყეში შენარევის სახით წიფელიც იზრდებოდა. მაღალმთის ტყეში გვიმრა მარგალიტაც იყო გავრცელებული. უფრო დაბალ ადგილებზე, ღრმა კანიონებსა და ხეობებში, სადაც ქარი და სიცივე ვერ აღწევდა, გავრცელებული იყო ფართოფოთლოვნები და სხვა სითბომოყვარული ჯიშები. ესენია: რცხილა, ჯაგრცხილა, ცაცხვი, მუხა, მურყანი, უხრავე, კაკალი და ძელქვაც კი. ქვეტყეში თხილიც უნდა ყოფილიყო. ჩამოთვლილი მცენარეების მტვერი ნაპოვნი ყველა ტიპის ორგანულ ნაშთებში (სათავსო, სამარხები, ჭურჭელი, ხელსაფქვავი) და ჭობარეთის მიდამოებში ფართოფოთლოვანთა ზუსტად ასეთი ტყე იზრდებოდა.

სითბომოყვარული ტყის ჯიშების არსებობას ადასტურებს ისეთი გვიმრები, როგორცაა გველის ენა და კილამურა. როგორც უკვე აღინიშნა, ეს ორი გვიმრა დღეს იზრდება მხოლოდ მთის წინა და შუა კალთების ფართოფოთლოვან ტყეებში. ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში სოჭის ტყის მნიშვნელოვანი ფართობები ნოტიო კლიმატის არსებობის დასტურია. დღეს სამცხე-ჯავახეთში სოჭი ფართოდ არაა გავრცელებული, რადგან ჰავა მშრალი და კონტინენტალურია. აქ ნაძვი და ფიჭვი უფრო ხარობს.

ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განხილული დროის მონაკვეთში მესხეთ-ჯავა-

ხეთშიც, დღევანდელთან შედარებით, გაცილებით თბილი და ნოტიო კლიმატი იყო.

სწორედ ხელსაყრელი კლიმატური პირობების გამო მიწათმოქმედება აქ საკმაოდ მძლავრი იყო. ამაზე მეტყველებს არა მარტო სამეურნეო ორმოებისა და ჭურჭლის სიმრავლე, არამედ შემორჩენილი მასალა. თითქმის ყველა ჭურჭელსა და სამეურნეო ორმოებში ხორბალი იყო მოთავსებული. ის ფაქტი, რომ მიცვალებულსაც კი ჭურჭლით ხორბალი ჩაატანეს, მიუთითებს იმდროინდელი მოსახლეობის ტრადიციაზე, რომელიც მათი სამეურნეო საქმიანობის ხასიათს ასახავდა. გამოკვლევულმა მასალამ გვიჩვენა, რომ განხილულ ტერიტორიაზე ითესებოდა ხორბლის რამდენიმე ჯიში. მოჰყავდათ შვრია, ფეტვი, ქერი და სხვა კულტურული მარცვლოვნები. არ არის გამორიცხული, მებაღეობასაც მისდევდნენ. კაკალსა და თხილს, შესაძლოა, ტყის გარდა საკუთარ ბაღებშიც აგროვებდნენ. ხელსაფეკავის ორგანულ ნაშთებში ნაპოვნი კულტურული ვაზის მტვერი რეგიონში მევენახეობის არსებობის არგუმენტადაც გამოდგება.

არაპალინოლოგიური ნაშთების შესწავლის საფუძველზე გამოირკვა, რომ მხოლოდ სამარხი №1-ის (ობიექტი №8) მიცვალებული დაიკრძალა ზაფხულში, რადგან აქ ძალზე ბევრია ტკიპების მიკრონაშთები, რომელთა აქტიური ფაზა სწორედ ზაფხულშია. ტკიპები სამარხში უნდა ჩაჰყოლოდა იმ საგნებს, რომლებიც მიცვალებულს ჩაატანეს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ტკიპები და მათი ნაშთები ჩვენ მიერ ნაპოვნი თანამედროვე ადამიანის სამოსსა და თმაში (Bitadze et al. 2011).

№1 სამარხის მიცვალებულის ზაფხულში დაკრძალვას ადასტურებს აგრეთვე პალინოლოგიურ სპექტრში იმ მცენარეთა მტვრის არსებობა, რომლებიც ზაფხულში ყვავის. სხვა სამარხების მიხედვით, მიცვალებული წლის ცივ სეზონში უნდა დაეკრძალათ, რადგან მათ სპექტრებში არ არის აღმოჩენილი იმ მცენარეთა მტვერი, რომლებიც ზაფხულში ყვავილობს და, რაც მთავარია, ცოტაა ტკიპების ნაშთები.

№4 სამარხის იატაკზე აღმოჩენილი უამრავი ფიჭვის ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები მოწმობს, რომ მიცვალებული სარეცელზე იყო მოთავსებული.

სამარხებში ნაპოვნი სელის ტექსტილის ბოჭკოების საკმაოდ დიდი რაოდენობა მეტყველებს, რომ მიცვალებულს ჩაცმულს მარხავდნენ. სელის ბოჭკოების უმეტესობა უფერულია, მაგრამ აღინიშნება ფერადი ბოჭკოებიც, ჭარბობს ნაცრისფერი. ნაპოვნი ლურჯი და ვარდისფერი ბოჭკოებიც. მხოლოდ სამარხ №8-ში არის აღმოჩენილი შალის ბოჭკო.

რაც შეეხება მასალაში ნაპოვნი სოკოს სპორებს, ინფორმაციული გამოდგა სოკო გლომუსის რაოდენობის მაჩვენებელი. იმ ორმოებში, სადაც ხორბლეული ინახებოდა, ბევრია სოკო გლომუსის სპორები. სამეურნეო ორმოებში მისი სპორების მატება მიანიშნებს იმ მომენტზე, როცა ეს ორმო სანაგვე ორმოდ გადაიქცა და მასში მხოლოდ ნაგავი და განათხარი მიწა იყრებოდა.

სოკო მუკორისის დიდი რაოდენობა აღინიშნება იმ ჭურჭელში ან სამეურნეო ორმოში, რომელშიც ხორბლეულობა ინახება. ეს სოკო ობის სახით უჩნდება ხორბალს და მის ხარისხს აუარესებს. უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს მხოლოდ ნესტიან კლიმატურ პირობებში. ამრიგად, სოკო მუკორისის სპორების დიდი რაოდენობა ნოტიო კლიმატის არსებობის კიდევ ერთი კარგი არგუმენტია. მიწათმოქმედების არსებობის კარგი მარკერია ნიმუშებში მარცვლოვნების ფიტოლიტების, მათი ღეროებისა და ფოთლების ეპიდერმისის დიდი რაოდენობა.

განამარხებული პალინოლოგიური სპექტრების სწორი და ზუსტი ინტერპრეტაციის კონტროლის მიზნით, აუცილებელია განხილული რეგიონის თანამედროვე ნიადაგის, ხავსებისა და სხვა სახის დანალექების ნიმუშების შესწავლა ჭობარეთის ნამოსახლარის ტერიტორიაზე იმის დასადგენად, თუ როგორ აისახება თანამედროვე პალინოლოგიურ სპექტრებში იქ არსებული დღევანდელი ველური და კულტურული ლანდშაფტების მცენარეულობა. ამ მიზნით, შესწავლილია ნიადაგის 5, ხავსის 2 და ძროხის 1 ნაკელის ნიმუში.

რაც შეეხება ხავსებს, მათში აღმოჩნდა მტვრის ყველაზე დიდი რაოდენობა. მათ პალინოლოგიურ სპექტრში ჭარბობს ბალახოვნები. ბევრია ველური მარცვლოვნების, ქოლგოსნების, მათი-

ტელას, ფოლიოს, ვარსკვლავას და ტყის გვიმრების სპორები. ხავსებში აღმოჩენილია საძოვრებზე არსებულ სარეველა მცენარეთა მტვერი, მაგალითად, დიყი, მრავალძარღვა, ნარი და მუაუნა.

ხავსების სპექტრის ხემცენარეთა ჯგუფში ბევრია ფიჭვისა და ნაძვის მტვერი. ასევე კარგადაა წარმოდგენილი მუხის, არყისა და თხილის მტვრის მარცვლები. პალინოლოგიურ სპექტრში ნაკლები მნიშვნელობა აქვს სოჭის, მურყნის, კაკლის, წიფლის, მტვრის მარცვლების რაოდენობას.

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ჭარბობს ხავსის მიკროსკოპული ნაშთები. ბევრია აგრეთვე ტკიპებისა და მწერების ბუსუსები, კლანჭისებური ტერფები და მარწუხები. აღინიშნება ჩრჩილის პეპლის ქერცლი. არცთუ ისე ცოტაა ნაკელისა და სხვა სოკოს სპორები. მცირე რაოდენობითაა ხის მერქნის უჯრედები, წყალმცენარეები და ტესტატური ამების ცისტები. განსაზღვრულია ასულინა და არცელა.

როგორც უკვე აღინიშნა, ჭობარეთის ნამოსახლარზე აღებულია თანამედროვე ნიადაგის ხუთი სინჯი, რომელთა შორის აგრეთვე ჭარბობს ბალახოვნების მტვერი. ბევრია როგორც ველური, ისე კულტურული მარცვლოვნები და ნათესების სარეველა მცენარეები. აღინიშნება ისლიანები, სელი, ავშანი, ასტრა, ღორის ბირკა, ფარსმანდუკი, ნარი, ღიღილო, სამყურა, ნაცარქათამა, ჭარხლოსანი, მათიტელა, ტუჩოსნები, ვარდოსნები, ფურისულა და სხვ. ნიადაგის პალინოლოგიურ სპექტრებში ასევე ბევრია ტყის გვიმრები, განისაზღვრა კილამურა, ვენერას თმა, გვიმრუჭა, გველის ენა, მარგალიტა, ჩადუნა, მთის ჩადუნა, ეწრის გვიმრა. როგორც უკვე აღინიშნა, ჭობარეთის ნამოსახლარზე აღებული და გამოკვლეულია ძროხის ნაკელის ნიმუში. მის პალინოლოგიურ სპექტრში ჭარბობს ასევე ბალახოვნები, დომინირებს ავშნისა და ველური მარცვლოვნების მტვერი. ბევრია აგრეთვე მიხაკისნაირები, ფოლიო, მათიტელა, ჩვეულებრივი მათიტელა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ნაკელში თითქმის არ არის აღმოჩენილი ტყის გვიმრების სპორები. ხემცენარეთა შორის აქაც ბევრია ფიჭვისა და ნაძვის მტვრის მარცვლები, კარგადაა წარ-

მოდგენილი მუხისა და თხილის მტვრის რაოდენობა. არყისა და რცხილის მტვერს არცთუ ისე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

მაშასადამე, თანამედროვე პალინოლოგიურმა სპექტრებმა აჩვენა, რომ მათში კარგად აისახა ის მცენარეულობა, რომელიც დღეს გავრცელებულია ჭობარეთის მიდამოებში და ზოგადად მესხეთში. აქ ჭარბობს წიწვოვნების ტყე, სადაც დომინირებს ფიჭვი, მასში, როგორც მინარევი, ნაძვი და სოჭი იზრდება. არსებული სურათი ზუსტად აისახა როგორც ხავსების, ისე ნიადაგის სპექტრებში. მესხეთის ტყის მასივებში მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ იზრდება მაღალი მთის მუხა, თელა, წიფელი, არყის ხე, მურყანი. ჩამოთვლილი ყველა ხის მტვრის მარცვლები ნაპოვნია შესწავლილ თანამედროვე პალინოლოგიურ სპექტრებში.

ნიადაგის არაპალინოლოგიური სპექტრები მკვეთრად განსხვავდება ხავსის სპექტრებისგან. ნიადაგებში ჭარბობს სოკოს სპორები, მათ შორის ბევრია ნაკელის სოკოები. აღინიშნება აგრეთვე სოკო გლომუსი და სოკო ალტერნარია. ასევე კარგადაა წარმოდგენილი ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები, მცენარეთა ეპიდერმისი და მარცვლოვნების ფიტოლიტები. რაც შეეხება ბოლოლოგიურ მასალას, ნიადაგის პალინოლოგიურ სპექტრში მათი რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ხავსებში. მცირე რაოდენობით გვხვდება სელისა და ბამბის ქსოვილის ბოჭკო, როგორც უფერული, ისე შეღებილი. ცოტაა აგრეთვე ტესტატური ამების ცისტები, მაგრამ საერთოდ არ არის ნაპოვნი ტესტატური ამება ასულინა. რაც შეეხება ადამიანის დღევანდელ სამეურნეო საქმიანობას, იგი მისდევს როგორც მესაქონლეობას, ისე მიწათმოქმედებას. პალინოლოგიური მეთოდით შესწავლილი მასალის საფუძველზე, სადაც სპექტრში ხორბლეულის მტვრის რაოდენობა ძალიან მცირეა, გამოიკვეთა, რომ დღესაც მებორბლეობა ნაკლებად მნიშვნელოვანია, რაც სრულად შეესაბამება სინამდვილეს. აქ ითესება კარტოფილი, კომბოსტო და სხვა ბოსტნეული.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, ნამოსახლარის ადგილას, მის ქვედა ტერასებზე, გასული საუკუნის მეორე

ნახევარში ითესებოდა სელი. ეს კარგად აისახა ნიადაგის პალინოლოგიურ სპექტრში, რომელშიც სელის ღეროს გარდა ნაპოვნია მისი მტვრის მარცვლები. სპექტრებში აისახა აგრეთვე იქ არსებული მებაღეობა. დღეს ჭობარეთისა და ზველის ბაღებში ძირითადად კაკალი და თხილი ხარობს. მათი მტვერი ქარმა მიიტანა და დალექა ნამოსახლარის ტერასების თანამედროვე ნიადაგებში. და ამიტომაც მებაღეობის კვალი კარგად დაფიქსირდა შესწავლილ პალინოლოგიურ სპექტრებში.

ნამოსახლარი ტყემლარას ველი, ყორღანი №16. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ეს ყორღანი დათარიღებულია III ათასწლეულის პირველი ნახევრით. პალინოლოგიური მეთოდით შევისწავლეთ №1 და №5 ჭურჭლებიდან ამოღებული მიწა, თითოეულიდან ორ-ორი ნიმუში - ერთი ჭურჭლის პირიდან, მეორე კი ჭურჭლის ძირიდან. საჭიროა ამ სპექტრების დეტალური განხილვა.

№1 ჭურჭლის ზედა ნაწილის მიწის სპექტრში ტყის ელემენტები გაცილებით ნაკლებია (29,2%), ვიდრე ძირში აღებულ ნიმუშში (55,7%). ხემცენარეთა ჯგუფი ქოთნის ძირში აღებულ ნიმუშში გაცილებით მდიდარია. დომინირებს წაბლის მტვერი. ფოთლოვანთაგან აღინიშნება ცაცხვი, რცხილა, წიფელი, მუხა, კაკალი, ტყემალი, მურყანი. წიწვოვნები წარმოდგენილია სოჭის, ფიჭვის, ნაძვისა და ღვიის მტვრის მარცვლებით. ბუჩქნარებს შორის ნაპოვნია სურო, თხილი, ხეჭრელი და ეფედრა.

ბალახოვანთა ჯგუფის ორივე ნიმუშში დომინირებს ნათესების სარეველა მცენარეთა მტვრის მარცვლების რაოდენობა. არცთუ ისე დაბალია ხორბლისა და სხვა სათესი მარცვლოვნების როლი. ამ ჯგუფში მაინც ჭარბობს ხორბალი. პალინოლოგიურ სპექტრებში აღინიშნება აგრეთვე საძოვრების არსებობის ინდიკატორები. ცოტაა ეზოს და სანაგვეების სარეველათა მტვრის მარცვლები. ესენია: ჭინჭარი, სამყურა, ავშანი, ლანცეტა მრავალძარღვა.

სპოროვანთაგან ორივე ნიმუშში უხვადაა წარმოდგენილი გვიმრა გველის ენის სპორები. აღინიშნება აგრეთვე სხვა გვიმრანაირების სპორები, განსაკუთრებით კილამურა, გვიმრუჭა, ვენერას თმა. დაფიქსირებულია ხავსების სპორებიც.

ყორღანის №5 ჭურჭლიდან ამოღებულ მიწაშიც ანალოგიური კანონზომიერება შეიმჩნევა. ძირში აღებულ ნიმუშში ტყის ელემენტები მეტია (44%), ვიდრე ზედა ნაწილში (29%). ძირის სპექტრში ბევრია წაბლის მტვერი, ზედა ნაწილში კი იგი საერთოდ არ აღინიშნება. წაბლის გარდა ძირში ნაპოვნია ძელქვის, მურყნის, რცხილის, ჯაგრცხილის, ტყემლის, თრიმლის, ხეჭრელის, ღვიის მტვერი. ორივე სინჯში აღინიშნება ცაცხვის, მუხის, ფიჭვის, სოჭისა და ნაძვის მტვრის მარცვლები. ამასთან, ძირში აღებულ ნიმუშში ყველა ჩამოთვლილი სპექტრის კომპონენტის რაოდენობა მეტია.

ბალახოვანთა ჯგუფის ორივე სინჯში ჭარბობს ნათესების სარეველათა მტვერი. ესენია: მატიტელა, ნარშავი, ხვართელა, ნაცარქათამა, ღიღილო და სხვ. კულტურული ხორბლეულების ჯიშებს შორის ქოთნის ზედა ნაწილში ნაპოვნია ხორბლის მხოლოდ ერთი მტვრის მარცვალი. მაგრამ ქოთნის ძირში აღმოჩნდა 5 ხორბლის, 3 ქერის და 9 სხვა სათესი მარცვლოვნების მტვერი.

ძოვის მაჩვენებლების როლი ნაკლებია ორივე ნიმუშში. მაგრამ ეზოს და სანაგვეების სარეველების ელემენტები უფრო კარგადაა გამოხატული ძირიდან აღებულ სინჯში, რომელშიც იყო ღორის ბირკა, ჭინჭარი, ავშანი, ლანცეტა მრავალძარღვა, წიწვილკურა, ბოლოკა და სხვ.

ველური ბალახოვნების ჯგუფი აისახა შემდეგნაირად: ქოთნის ძირში ნაპოვნია იის (*Viola*), ტუჩოსნების (*Lamiaceae*), ქოლგოსნების (*Apiaceae*), ლაშქარასა (*Symphytum*) და შხაპრის (*Sparganium*) მტვრის მარცვლები. აღსანიშნავია, რომ შხაპრი იზრდება მხოლოდ დაჭაობებულ ტენიან ადგილებში. სპოროვანების შემადგენლობა ორივე ნიმუშში მდიდარია. აქ, როგორც პირველ ჭურჭელში, დომინირებს გველის ენის და სხვა გვიმრანაირების სპორები. აღინიშნება კილამურას, გვიმრუჭასა და ჩადუნას სპორები. ორივე ნაწილში ფიქსირდება ხავსისა და სამეფო გვიმრის (*Osmunda regalis*) სპორები. სამეფო გვიმრა სითბოს და ტენის მოყვარული მცენარეა, იგი იზრდება მხოლოდ ჭაობიან ადგილებში, ტბის ან მდინარის პირას ან ტენიან მურყნარებში.

პალინოლოგიური კვლევის შედეგები საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ მე-16 ყორღანში აღმოჩენილ ჭურჭელს დიდხანს ხმარობდნენ, ვიდრე მას მიცვალებულს ჩაატანდნენ. შესაძლოა, მასში ხან წაბლს ინახავდნენ, ხან ხორბალს ან ტყემლის და ხეჭრელის გამხმარ ნაყოფს. თუ ჭურჭელი ღია სივრცეშია, მის ფორებში ყოველთვის გროვდება უხილავი მტვერი, რომელიც შეიცავს მცენარეთა მტვრის მარცვლებს. გარდა ამისა, ისიც საგარაუდოა, რომ განხილულ ჭურჭელში ალბათ საჭმელიც იხარშებოდა. მაგალითად, ჭინჭრის მტვერი ორივე ქოთანში მხოლოდ ძირში იყო.

პალინოლოგიური კომპლექსიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ დაკრძალვის წინა პერიოდში ტყემლარას მიდამოები დაფარული იყო ფართოფოთლოვანი ტყით, სადაც სითბომოყვარული ბევრი ელემენტი უნდა ყოფილიყო. ესენია: ძელქვა, წაბლი, ცაცხვი. თბილი კლიმატი ნესტიანიც უნდა ყოფილიყო, რადგან სპექტრში არის ჭაობების მცენარეულობის მტვრის მარცვლები და სპორები.

ნამოსახლარი ნაჭივჭავების უბანი, სამარხი №3. იგი მდებარეობს მდინარე ჭივჭავის მარჯვენა სანაპიროზე ზღვის დონიდან 1256 მ სიმაღლეზე. არქეოლოგიური კვლევის შედეგად მესამე სამარხი თარიღდება მტკვარ-არაქსის კულტურის ეპოქით. ეს ბავშვის სამარხია, რომელშიც მხოლოდ თიხის ჭურჭელი იყო ნაპოვნი. ორი პატარა ზომის ქოთანი ერთმანეთშია ჩადებული. უფრო მცირე ზომის ჭურჭლიდან ამოღებული მიწა მკვრივი და მოყავისფრო იყო. შეიმჩნეოდა თეთრი ფერის ფხვიერი ჩანარები. ქოთნის ამ ორგანული შემადგენლობის პალინოლოგიურმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ მცენარეთა მტვრის მარცვლები შესანიშნავადაა დაცული და პალინოლოგიური სპექტრი მრავალფეროვანია.

ჭურჭლიდან აღებულ ნიმუშში სულ დათვლილია 631 მტვრის მარცვალი. აქედან 110 მტვრის მარცვალი (16,4%) ხემცენარეთა ჯგუფს მიეკუთვნება. ამ ჯგუფში ჭარბობს თხილისა და ფიჭვის მტვრის მარცვლების რაოდენობა. ბევრია კულტურული ვაზის, კაკლის, მუხის, რცხილის მტვერი. აღინიშნება ჯაგრცხილისა და სოჭის მტვრის

მარცვლებიც. კულტურული ვაზის (*Vitis vinifera*) იდენტიფიკაცია დღეისთვის სავსებით შესაძლებელია, რადგან მისი მტვრის მარცვლების მორფოლოგიური ნიშნები კარგადაა შესწავლილი მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპის საშუალებითაც. ბალახოვანთა შორის უხვადაა წარმოდგენილი ისეთი სარეველები, როგორიცაა ავშანი, ვარდკაჭაჭა და ნაცარქათამა. აღინიშნება აგრეთვე ბალის, ნათესებისა და ებოს სხვა სარეველების მტვრის მარცვლები. ესენია: მრავალძარღვა, ჭინჭარი, მათიტელა, ბაღბა, ღორის ბირკა, ბურბუშელა, ნარი, ღიღილო, ვარდკაჭაჭა, წიწიბურა, წიწილკურა, ნარშავი და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ნათესების სარეველების გარდა, კარგად აისახება კულტურული ხორბლისა და სხვა სათესი მარცვლოვნების მტვერი.

ბევრია ვენახებისთვის დამახასიათებელი სარეველების მტვრის მარცვლები, მაგრამ თავად ვაზის მტვერი პალინოლოგიურ სპექტრში არცთუ ისე ბევრია. ცნობილია, რომ ვაზის მტვრის პროდუქცია არ არის მაღალი, მაგალითად, კაკალთან და თხილთან შედარებით. ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ვაზის მტვრის მარცვლები დანალექებში უფრო ცუდად ინახება, ვიდრე კაკლისა და თხილის მტვერი.

ვაზის მტვრის მარცვლების, სხვა ბუჩქებისა და ხემცენარეთა მტვრის უაღრესად კარგი დაცულობა აიხსნება იმით, რომ ჭურჭლის შიგთავსი, სანამ მასში მიწა ჩაიყრებოდა, კარგ გარემოს ქმნიდა მტვრის მარცვლების კონსერვაციისთვის. აღსანიშნავია, რომ ვაზის მტვრის უმეტესი ნაწილი ნიადაგში ვერ ინახება, მაგრამ საუკეთესოდ ინახება ღვინოში. ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბავშვს სამარხში ღვინო ჩაატანეს, როგორც სამკურნალო საშუალება.

სამარხი №5. ამ სამარხიდან პალინოლოგიური ანალიზი ჩატარდა ორი ნიმუშისთვის, რომლებიც ამოღებული იყო №1 და №2 ჭურჭლიდან. თიხის ქოთნები საკმაოდ დიდი (დაახლოებით 2,5-3 ლიტრის ტევადობით), დაბალი და ძალზე ფართო ყელი აქვს.

№1 ჭურჭლის პალინოლოგიური სპექტრი, №3 სამარხთან შედარებით, ხასიათდება ტყის ელე-

მენტების მტვრის უფრო მაღალი მაჩვენებლით. ესენია: ფიჭვის, წაბლის, წიფლის, ცაცხვის, რცხილის, მუხის, ტყემლისა და თრიმლის მტვრის მარცვლები. ფოთლოვნებიდან დომინირებს წაბლის მტვრის რაოდენობა. დანარჩენი კომპონენტების შემადგენლობა მცირეა, მაგრამ კარგადაა წარმოდგენილი ტყის გვიმრების სპორები, რომლებიც პალინოლოგიური სპექტრის 17%-ს შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ სულ ამ ნიმუშში დათვლილია 163 მტვრის მარცვალი და სპორა.

სხვა ბალახოვნებს შორის ბევრია სარეველების მტვრის რაოდენობა. ჭარბობს ნათესების სარეველები. ესენია: ვარდკაჭაჭასნაირები, წიწიბურასნაირები, ნარშავი, ნაცარქათამა, ღიღილო, ხვართელა და სხვ. აღინიშნება ხორბლის მტვერიც.

საძოვრების არსებობის ინდიკატორები ცოტაა. ესენია: ნარი, გოქში და ნაცარქათამა. მათი მტვრის რაოდენობაც გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ნათესების სარეველები.

რა შეიძლებაოდა ყოფილიყო ამ ჭურჭელში? რადგან ხემცენარეთა ჯგუფიდან ჭარბობს წაბლი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიცვალებულს წაბლი ჩაატანეს. იქამდე ქოთანში შესაძლოა ინახებოდა ხორბალი.

№2-ის ჭურჭლიდან ამოღებული ნიმუში უფრო მდიდრულადაა წარმოდგენილი. აქ წაბლის მტვერი გაცილებით მეტია, ვიდრე №1 ქოთანში, ხოლო ხემცენარეთა ჯგუფში იგი პირველი დომინანტიცაა. წაბლის გარდა აღინიშნება სოჭის, ფიჭვის, წიფლის, ნეკერჩხლის, არყის, მუხის, თხილის, თრიმლის, ტყემლის, ძახველის და ხეჭრელის მტვერი. ტყის გვიმრებიდან დაფიქსირდა გვიმრუჭა, გველის ენა და მარგალიტა. ტყის ელემენტებს ზოგადად ამ ჭურჭელშიც 27% უკავია.

სხვა ბალახოვანთა შორის აქაც დომინირებს ნათესების სარეველები. მათი შემადგენლობა იგივეა, რაც №1 ქოთანში. ჭარბობს ვარკაჭაჭასნაირების მტვერი. ბევრია ღიღილო, ხვართელა. წიწიბურა, მათიტელა და ნარი. არის ხორბლის მტვრის მარცვლებიც. ძოვის ელემენტები ცოტაა. საცხოვრებლის რუდერალები კარგადაა წარმოდგენილი. ესენია: მრავალძარღვა, ავშანი, ირმისმხალა.

ამრიგად, განხილულ ჭურჭელში, ისევე როგორც №1 ქოთანში, წაბლი უნდა ყოფილიყო, რადგან ფოთლოვანთა შორის საგრძნობლად ჭარბობს მისი მტვერი. ტყის ელემენტების მტვერი ქოთანში მოხვდა თავად წაბლის ნაცოფების საშუალებით. ცნობილია, რომ ხიდან ნიადაგზე ვარდნისას და შემდგომ ტყის საფენზე მისი ეკლიანი ბუდიდან გაწმენდისას, თავად ნაცოფს ეწებება უამრავი მტვრის მარცვალი, რაც ასე უხვადანა ნიადაგში და ჩამოცვენილ ფოთლებზეც.

სამარხი №1. იგი მდებარეობს ნატივტავების უბანში. შესწავლილია სამარხის დასავლეთ კედელთან აღმოჩენილი თიხის კათხიდან ამოღებული მიწა. დათვლილია 314 მტვრის მარცვალი. პალინოლოგიური სპექტრები ხასიათდება სათესი მარცვლოვნების და მათი ნათესებისთვის ჩვეული სარეველების მტვრის სიუხვით. ესენია: მათიტელა, ღიღილო, ნარი, წიწიბურა და სხვ. ძოვის ინდიკატორები ცუდად არის წარმოდგენილი. განხილულ ნიმუშში ტყის ელემენტები ძალიან ცოტაა და 9%-ს არ აღემატება. დომინირებს ფიჭვი. ერთეული მარცვლებით წარმოდგენილია ნაძვი, სოჭი, თელა, მუხა და თხილი. ტყის გვიმრებიდან დაფიქსირდა კილაპურას სპორები.

რადგან სპექტრი ემსგავსება იმ საცავებს, რომლებშიც მარცვლეული ინახებოდა, სავარაუდოდ, განხილულ თიხის კათხაშიც ხორბალი უნდა ყოფილიყო ან იგი ხორბლის საზომ ერთეულად გამოიყენებოდა.

სამარხი №2. სამარხში აღმოჩენილი ჭურჭლიდან არებული და შესწავლილია მიწის ნიმუში, რომლის პალინოლოგიური სპექტრი ანალოგიურია ზემოთ განხილულ №1 სამარხის სპექტრისა. დომინირებს სათესი მარცვლოვნების სარეველები. აღინიშნება ხორბლისა და სხვა სათესი მარცვლოვნების მტვერი. ტყის ელემენტები ცოტაა (10,9%). ფიჭვის მტვრის რაოდენობა აღემატება სხვა დანარჩენი კომპონენტების შემადგენლობას. მხოლოდ ერთეული მტვრის მარცვლებით ფიქსირდება სოჭი, ნაძვი, მუხა და თხილი. საძოვრების არსებობის ნიშნები განხილულ სპექტრში უფროა გამოკვეთილი, ვიდრე პირველი სამარხის პალინოლოგიურ სპექტრში,

მაგრამ აქ ნათესების სარეველები რაოდენობრივად ძლიერ აღემატება ძოვის ელემენტებს. ამრიგად, მეორე სამარხის ტურტელშიც ხორბალი უნდა ყოფილიყო მოთავსებული.

ყველა შესწავლილი სამარხი, როგორც უკვე აღინიშნა, არქეოლოგიური მასალის კვლევის თანახმად მიეკუთვნება მტკვარ-არაქსულ კულტურას. პალინოლოგიურ სპექტრებში დაფიქსირებულ მცენარეთა მტვრის კომპლექსი საშუალებას გვაძლევს, აღვადგინოთ განხილული რაიონის მცენარეული საფარი, იმდროინდელი ადამიანის პალეეკოლოგიური პირობები და მისი სამეურნეო საქმიანობის ხასიათი. დღეისთვის ეს რაიონი დაფარულია მეჩხერი მუხნარ-რცხილნარი ტყის ლანდშაფტებით. არის მეორადი მდელოებიც, სადაც დომინირებს ველური მარცვლოვნები (გვარი *Agrostis*). 1500-1800 მეტრზე ქართული მუხა ქრება და იცვლება მაღალმთის მუხით.

ნატივგავების ნამოსახლარის სამეურნეო ორმოებში აღმოჩენილი მასალის პალინოლოგიური ანალიზი. შესწავლილია 14 სამეურნეო ორმოს ფენები, რომლებიც არქეოლოგიური კვლევის შედეგად აგრეთვე მიეკუთვნება მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდს. სამეურნეო ორმოების შრეების პალინოლოგიური სპექტრებისთვის დამახასიათებელია კულტურული მარცვლოვნებისა და ხორბლის ნათესების სარეველა მცენარეთა მტვრის სიჭარბე. ამასთან ერთად, მცირეა ტყის ელემენტები, განსაკუთრებით გვიმრების სპორები. ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ სამეურნეო ორმო ხანგრძლივი დროის განმავლობაში დახურული იყო და ჰაერიდან მტვრის მარცვლების აკუმულაცია იქ ვერ ხდებოდა. მიუხედავად მცირე რაოდენობისა, ტყისა და სხვა სახის ელემენტები ორმოების პალინოლოგიურ სპექტრებში მაინც არის დაფიქსირებული.

სამეურნეო ორმო №19. ამ ორმოს ფენაში დათვლილია 408 მტვრის მარცვალი და სპორა, საიდანაც მხოლოდ 21 მარცვალი მიეკუთვნება ხემცენარეთა ჯგუფს და შეადგენს კომპლექსის 5,1%-ს. აღმოჩენილია ტყის გვიმრის 5 სპორა, რაც 1,2%-ს არ აღემატება. ტყის ელემენტებიდან თანაბარი რაოდენობით აღინიშნება ფიჭვი და რცხილა.

ცოტაა სოჭის, წიფლისა და თხილის მტვერი. ერთეული მარცვლებით ფიქსირდება წაბლის, ცაცხვისა და ეფედრის მტვრის მარცვლები.

ბალახოვნების ჯგუფში ბევრია ხორბლის მტვერი (27 მტვრის მარცვალი). გვხვდება შვრია, ქერი და სხვა კულტურული მარცვლოვნებიც, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მათი მტვერი დეფორმირებულია და ამიტომ გვარამდე განსაზღვრა ძნელდება. ნათესების სარეველათა მტვერი მდიდრულადაა წარმოდგენილი. ესენია: მათიტელა, ხვართელა, ნაცარქათამა, ვარდკაჭაჭა და სხვ. საძოვრებისა და სანაგვეების სარეველებიც არის განხილულ კომპლექსში, მაგრამ მათი რაოდენობა გაცილებით ნაკლებია.

ველური ბალახოვნებიდან ჭარბობს ფურისულა (*Primula*), რომელიც იზრდება მხოლოდ ტყიან ლანდშაფტებში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კულტურული მარცვლოვნების მტვერს ცეცხლის კვალი ეტყობა.

სამეურნეო ორმო №21. შესწავლილი ნიმუში აღებულია ორმოდან (სიღრმე - 60 სმ) და მასში განისაზღვრა 407 მტვრის მარცვალი. ხემცენარეთა ჯგუფს მიეკუთვნება მხოლოდ 19 მტვრის მარცვალი. ესენია: ფიჭვი, თელა, ძელქვა, მუხა, თხილი და ეფედრა.

ბალახოვნების კომპლექსი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. დომინირებს სარეველა ვარდკაჭაჭას მტვრის რაოდენობა. ბევრია ნაცარქათამას და ავშნის მტვერი. ავშნიანთა შორის განსაზღვრულია უჯანგარის 19 მტვრის მარცვალი. უჯანგარი სითბოს და ნესტის მოყვარული მცენარეა და დღეს იგი იზრდება მხოლოდ თბილ და ნესტიან დაბლობ ადგილებში. კულტურული მარცვლოვნებიც საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი. ჭარბობს ხორბალი და ქერი. ნათესების სარეველებიდან, ვარდკაჭაჭას გარდა, ნაპოვნია ღიღილო, ნარშავი, ნარცეცხლა, წიწიბურა, მათიტელა. საძოვრების სარეველები უფრო სუსტადაა წარმოდგენილი. ესენია: ბურბუშელა, ნარი, მიხაკისნაირები. სპოროვნებიდან მხოლოდ გვიმრები აღინიშნება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ უმეტეს მტვრის მარცვლებზე ცეცხლის კვალი ჩანს, განსაკუთრებით კი კულტურულ მარ-

ცვლოვნებზე - მათი მტვერი განახშირებულია და მუქი ყავისფერი აქვს. ამასთანავე, მასალაში შეიმჩნევა უამრავი ნახშირის ნაწილაკი.

სამეურნეო ორმო №28. ამ ორმოს ფენიდან, რომელიც მდებარეობს 40-45 სმ-ის სიღრმეზე, დათვლილია 193 მტვრის მარცვალი. აქედან 7,7% მიეკუთვნება ხემცენარეთა ჯგუფს, 4,6 - ტყის გვიმრებს, დანარჩენი 87,5% - სარეველა მცენარეთა ჯგუფს. კულტურული მარცვლოვნების მტვერი არც ისე ბევრია, როგორც ზემოთ განხილული ორმოების მასალაში. ნათესებისთვის დამახასიათებელ სარეველათა შემადგენლობა აქაც მდიდარია. ბევრია ვარდკაჭაჭას, ნარშავის, მათიტელას, ხვართქლას, წიწიბურას მტვრის მარცვლები. საძოვრების ინდიკატორები გაცილებით ნაკლებია. ესენია: ბაიას, ნარის, ნაცარქათამასნაირების მტვერი. სანაგვეებისა და ეზოების სარეველებიც სუსტადაა წარმოდგენილი, ვიდრე ნათესების სარეველები. სპოროვნებიდან აღინიშნება გვიმრანაირებისა და გველის ენის სპორები.

სამეურნეო ორმო №29. ამ ორმოს ნიმუში, რომელიც 25 სმ სიღრმის ფენიდანაა აღებული, ხასიათდება მცენარეთა მტვრის უხვი რაოდენობით. ტყის ელემენტებიც მეტია. ესენია: ფიჭვი, ნაძვი, არყა, წიფელი, თელა, მურყანი, რცხილა, მუხა, ნეკერჩხალი. ბევრია თხილის მტვერი. აქ ნაპოვნია კაკლისა და კულტურული ვაზის თითო-თითო მტვრის მარცვალი.

ბალახოვნების ჯგუფში ბევრია მათიტელას და ვარდკაჭაჭას მტვერი. სათესი მარცვლოვნებისგან აღინიშნება ხორბალი, ქერი და შვრია. ნათესების სარეველებს შორის, მათიტელასა და ვარდკაჭაჭას გარდა, განსაზღვრულია ხვართქლა, ნარშავი, ღიღილო, ნარცეცხლა, ნაცარქათამა და სხვ. ძოვის მაჩვენებლების როლი ნაკლებია. კარგადაა წარმოდგენილი საცხოვრებელი ეზოს სარეველები. ესენია: ყაყაჩო, მრავალძარღვა, ბაია, ავშანი. სპოროვნებისგან აღინიშნება გვიმრანაირების, გველის ენისა და კილამურას სპორები. აღსანიშნავია, რომ აქაც კულტურული მარცვლოვნების მტვერს ცეცხლის კვალი ეტყობა.

სამეურნეო ორმო №30. ამ ორმოს ნიმუშის პალინოლოგიურ სპექტრშიც ტაქსონების სიუხვე აღინიშნება, განსაკუთრებით კი ტყის ელემენტების როლი მატულობს. პროცენტულად ხემცენარეთა და ტყის გვიმრების შემადგენლობა თითქმის 44%-ს აღწევს. ფოთლოვან ხემცენარეთა შორის დომინირებს თხილი. აქ ნაპოვნია მისი 15 მტვრის მარცვალი. ნაკლებია მუხისა და რცხილის მტვერი. ცალკეულ ეგზემპლარების სახით გვხვდება თელა, წიფელი, ჯაგრცხილა, ცაცხვი, კაკალი და ეფედრა.

განხილულ ორმოში მატულობს აგრეთვე ველური ბალახოვნების როლიც. ესენია: ფურისულა (*Primula*), თავნასკვა (*Cyperus*), შხაპრი (*Sparganium*), ასტრა (*Aster*) და სხვ. ამასთან ერთად, არცთუ ისე დიდია სათესი მარცვლოვნების მტვერი და ნათესების სარეველათა მნიშვნელობა. საძოვრებისა და ეზოს სარეველების მტვერი წარმოდგენილია თანაბარი რაოდენობით და მათი საერთო ჯამი ნაკლებია ნათესების სარეველების შემადგენლობაზე.

სპოროვანთა ჯგუფში დომინირებს გვიმრა გველის ენის (*Ophioglossum vulgatum*) სპორები, რომელიც სითბოს და ტენის მოყვარულია. დათვლილია მისი 84 სპორა. სხვა ტყის გვიმრების როლი კი ნაკლებია. ესენია კილამურა და ვენერას თმა. აღინიშნება ხავსის სპორებიც.

სამეურნეო ორმო №32. ამ ორმოს ფენის ნიმუშში დათვლილია 330 მტვრის მარცვალი. ტყის ელემენტებიც ცოტაა და 13% შეადგენს. ფიჭვის გარდა ბევრია თხილის მტვერი, ხოლო თითო-ოროლასა ნაძვის, სოჭის, ცაცხვისა და რცხილას მტვრის მარცვლები.

ბალახოვნების შორის ბევრია ხორბლისა და სხვა კულტურული მარცვლოვნების მტვერი. ბლომადაა ნათესების სარეველათა მტვერიც, განსაკუთრებით იზრდება მათიტელას მნიშვნელობა. საძოვრების ელემენტებიც კარგადაა წარმოდგენილი. დაფიქსირებულია ეზოს სარეველა მცენარეთა მტვერი. ესენია: ბალბა, ავშანი, მრავალძარღვა, ფარსმანდუკი და სხვ. სპოროვნებს შორის დომინირებს გვიმრანაირები. აღინიშნება აგრეთვე გველის ენისა და ეწრის გვიმრის სპორები.

სამეურნეო ორმო №33. ორმოს ფენიდან აღებული ნიმუშში დათვლილია 171 მტვრის მარცვალი და სპორა. ღარიბადაა წარმოდგენილი ტყის მაჩვენებლები. ეს ელემენტები მხოლოდ 9%-ს შეადგენს. თითქმის თანაბარი რაოდენობით გვხვდება ფიჭვის, ნაძვის, მუხის, თხილის, თელი-სა და ეფედრას მტვერი.

ბალახოვნები უმეტესად სარეველებია, როგორც ნათესების, ისე საძოვრებისა და საცხოვრებელი ეზოსი. ჭარბობს ვარდკაჭაჭა, ავშანი და ნაცარქათამა. ველური ბალახოვნებიდან ბევრია ასტრას მტვერი. სპოროვნებიდან აღინიშნება გვიმრანაირები და ხავსები.

სამეურნეო ორმო №34. ორმოს ფენის ნიმუშში დათვლილია 307 მტვრის მარცვალი. ტყის ელემენტი 14%-ს შეადგენს. ამ ჯგუფში ჭარბობს ფიჭვის, რცხილის, მუხისა და თხილის მტვერი. ცოტაა სოჭის, წიფლის, ღვიის, თელის და ცაცხვის მტვრის მარცვლები.

ბალახოვნებში ბევრია კულტურული მარცვლოვნები (26 მტვრის მარცვალი) და მათთან არსებული ნათესების სარეველები. ხორბლის, ქერისა და შვრიის მტვრის მარცვლებს ცეცხლის კვალი ეტყობა. სარეველებს შორის დიდი სიუხვით გამოირჩევა მათიტელა (23,7%) - სულ დათვლილია მათიტელას 73 მტვრის მარცვალი. ბევრია ვარდკაჭაჭა, ნარშავი. კარგადაა წარმოდგენილი საძოვრების არსებობის მაჩვენებლები. ესენია: ბურბუშელა, ნარი, ნაცარქათამა და სხვ.

პალინოლოგიურ სპექტრში ველური ბალახოვნებიდან წარმოდგენილია ია, ფურისულა, ქოლგოსნები, ტუჩოსნები და სხვ. სპოროვან მცენარეთაგან არის გველის ენისა და გვიმრანაირების ერთეული სპორები.

სამეურნეო ორმო №36. ორმოს სხვადასხვა სიღრმიდან აღებულია 4 ნიმუში. 25 სმ-ზე აღებულ ნიმუშში ტყის ელემენტების რაოდენობა მეტია, ვიდრე სხვა ნიმუშებში. აქ ფიჭვის მტვრის გარდა ბევრია თხილი და მუხა. სპექტრში ნაკლებია სოჭისა და ნაძვის მონაწილეობა. ცოტაა წიფლის, არყას, კაკლის, მურყნისა და იფნის მტვრის მარცვლები. სულ ამ ნიმუშში დათვლილია 481

მტვრის მარცვალი, საიდანაც 70 ხემცენარეთა მტვერია და 53 ტყის გვიმრის სპორა.

ბალახოვნებში სამი სხვადასხვა სარეველას დომინანტია. ესენია: ვარდკაჭაჭა, ავშანი და ნაცარქათამა. სათესი მარცვლოვნების მტვერი არცთუ ისე ბევრია, ძირითადად არის ხორბალი და ქერი. არის საძოვრების ინდიკატორებიც. კარგადაა წარმოდგენილი საცხოვრებლის რუდერალეების მონაწილეობა. ესენია: ღორის ბირკა, მრავალძარღვა, ვარდკაჭაჭა და სხვ. სპოროვნების ჯგუფში ჭარბობს გველის ენის და გვიმრანაირების სხვა სპორები. აღინიშნება ვენერას თმა, კილამურა და კრიპტოგრამა. დაფიქსირდა ორი ხავსის სპორაც.

განხილული ორმოს 40 სმ-ზე აღებულ ნიმუშში აღმოჩნდა მხოლოდ 132 მტვრის მარცვალი. ტყის არსებობის მაჩვენებელი 7%-ია. ცოტაა ფიჭვის, სოჭის, ცაცხვისა და თხილის მტვერი. ბალახოვნებიდან ჭარბობს ნათესების სარეველები, განსაკუთრებით მათიტელა. ხორბლისა და სხვა კულტურული მარცვლოვნების როლი არცთუ ისე დაბალია. ძოვის ინდიკატორები სუსტადაა წარმოდგენილი. სპოროვნებიდან დაფიქსირდა გვიმრანაირების მხოლოდ 5 სპორა.

50 და 60 სმ-ის სიღრმეზე აღებული ნიმუშების პალინოლოგიური სპექტრის კომპონენტები რაოდენობრივად გაცილებით მდიდარია. პირველ ნიმუშში დათვლილია 252 მარცვალი, მეორეში კი 423 მტვრის მარცვალი და სპორა. ხემცენარეთა ჯგუფში ფიჭვის გარდა ჭარბობს თხილი, რცხილა და ცაცხვი (60 სმ-ის სიღრმეზე). აღინიშნება სოჭი, ნაძვი, წიფელი, მუხა, ჯაგრცხილა და ღვია.

ბალახოვანთა შორის ბევრია ნათესების სარეველები, განსაკუთრებით მათიტელას მტვრის რაოდენობა. კარგადაა წარმოდგენილი თავად კულტურული მარცვლოვნებიც. ჭარბობს ხორბალი. ფიქსირდება ძოვის ელემენტებიც. პალინოლოგიურ სპექტრში არის ეზოს და სანაგვეების რუდერალეებიც. ესენია: ბალბა, მრავალძარღვა, ღორის ბირკა, ავშანი და სხვ. სპოროვნებიდან ერთეული ეგზეპლარების სახითაა გვიმრუჭა, ვენერას თმა და სხვა გვიმრანაირები.

სამეურნეო ორმო №37. ორმოდან აღებულ ნიმუშში ტყის ელემენტების რაოდენობა იზრდება და 28%-ს აღწევს. ბევრია ფიჭვის მტვერი. მეორე დომინანტი თხილია. თანაბარი რაოდენობით არის სოჭი, ნაძვი და მუხა. ცოტაა რცხილის, მურყნის, ნეკერჩხლის, იფნისა და ეფედრის მტვრის მარცვლები. აღინიშნება ლიბანური კედრის ერთი მტვრის მარცვალი, რაც შორიდან მოტანილი უნდა იყოს. ცნობილია, რომ კედრის მტვრის მარცვლები ქარს რამდენიმე ასეულ და ათასეულ კილომეტრზეც კი გადააქვს.

ბალახოვნების ჯგუფში ბევრია ნათესების სარეველები. კულტურული მარცვლოვნებიდან დომინირებს ხორბალი. კარგადაა წარმოდგენილი ძოვის და სანაგვეების მაჩვენებელი ტაქსონები. არის ჭინჭრის, ყაყაჩოს, მრავალძარღვას, ბაღას, ფარსმანდუკის მტვრის მარცვლები. უხვადაა სპოროვნები. ჭარბობს გველის ენა. დათვლილია მისი 62 სპორა. აღინიშნება აგრეთვე კილამურას, ხავსის სპორები.

სამეურნეო ორმო №38. ორმოდან ამოღებულ ნიმუშში დათვლილია 405 მტვრის მარცვალი. ცოტაა ტყის მაჩვენებელი სახეობები. დაბალია ფიჭვისა და თხილის მტვრის შემადგენლობა. უფრო ნაკლებია კაკლისა და წაბლის მტვრის მარცვლების რაოდენობა.

ორმოს ფენაში სარეველთაგან დომინირებს ვარდკაჭაჭა (96 მტვრის მარცვალი) და ავშანი (77 მტვრის მარცვალი). ბევრია მათიტელა, ნარშავი და ნაცარქათამა, რომლებიც უხვად იზრდება მარცვლოვნების ნათესებში. სპექტრში აღინიშნება ხორბალი და სხვა კულტურული მარცვლოვნები. არის საძოვრების ელემენტებიც. ნაკლებადაა გამოკვეთილი საცხოვრებელი ადგილების რუდერალური მცენარეების მტვერი. სპოროვანთაგან მხოლოდ გვიმრანაირების სპორები დაფიქსირდა.

სამეურნეო ორმო №39. ამ ორმოს ფენის ნიმუშში ძალიან ბევრია თხილის მტვერი. ხემცენარეთა ჯგუფში მას 76% უკავია. დათვლილია თხილის 38 მტვრის მარცვალი. თხილის გარდა აღინიშნება ფიჭვის, სოჭის, არყას, რცხილის, მურყნისა და ძახველის მტვერი.

ბალახოვანთა ჯგუფში დომინირებს ვარდკაჭაჭას და ავშნის მტვერი. ბევრია მათიტელა, ჩვეულებრივი მათიტელა, ნარცეცხლა, ნაცარქათამა. ნათესების სარეველთაგან აგრეთვე სიუხვით გამოირჩევა ნარშავი, ხვართელა, ლილილო. კულტურული მარცვლოვნების მტვერიც ბევრია. დომინირებს ხორბალი, ქერისა და შვრიის მტვრის მარცვლები ნაკლებადაა. როგორც ზემოთ განხილულ ორმოების ფენებში, აქაც კარგადაა წარმოდგენილი საძოვრების ინდიკატორები. აღინიშნება საცხოვრებლის და სანაგვის რუდერალები. ესენია: ღორის ბირკა, მრავალძარღვა, ბურბუშელა, ავშანი, ბალბა და სხვ. სპოროვანთა ჯგუფი შეიცავს გვიმრანაირების, გველის ენისა და ხავსების სპორებს.

სამეურნეო ორმო №40. ორმოს ფენიდან აღებულ ნიმუშში განსაზღვრული და დათვლილია 269 მტვრის მარცვალი. ხემცენარეთა ჯგუფს მიეკუთვნება 9,2%, ტყის გვიმრებს კი - 5,5%. სპექტრის დანარჩენი თითქმის ყველა კომპონენტი სარეველა ბალახოვნებია. დომინირებს ნათესების სარეველები. ესენია: ვარდკაჭაჭას, მათიტელას, ნარშავის მტვერი. არცთუ ისე მცირეა ხვართელა, ლილილო და ნაცარქათამა. თვითონ კულტურულ მარცვლოვანთაგან ჭარბობს ხორბლის მტვრის მარცვლები, რომლებზეც ცეცხლის კვალია. ძოვის და სანაგვეების მაჩვენებლები სპექტრში მკვეთრადაა გამოხატული. სპოროვნები წარმოდგენილია გვიმრანაირებითა და გველის ენით.

სამეურნეო ორმო №43. განხილული ორმოს ფენის პალინოლოგიურ სპექტრში მაღალია ხორბლისა და სხვა სათესი მარცვლოვნების შემადგენლობა. ყველა ცეცხლის კვალს ატარებს. სულ ამ ჯგუფში დათვლილია 27 მტვრის მარცვალი. ბევრია ნათესების სარეველების მტვერიც. დომინირებს ვარდკაჭაჭას და მათიტელას მტვრის მარცვლების რაოდენობა. კარგადაა წარმოდგენილი სხვა სარეველებიც: ხვართელა, ლილილო, წიწიბურა, ნარშავი.

პალინოლოგიურ სპექტრში საძოვრების მაჩვენებლებიდან აღინიშნება ნარცეცხლა და ნარი. ადამიანის საცხოვრებლის რუდერალებიდან და-

ფიქსირდა მრავალძარღვა, ფარსმანდუკი, ავშანი და სხვ. სპოროვნებიდან აღინიშნება გვიმრუჭა და გვიმრანაირები.

ამრიგად, ვხედავთ, რომ განხილული ორმოების პალინოლოგიურ სპექტრში, როგორც ხემცენარეთა ჯგუფში, ისე ბალახოვნებს შორის, ბევრია სითბოს და ნესტის მოყვარულ მცენარეთა მტვერი და ემსგავსება ზემოთ განხილული სამარხების პალინოლოგიურ სპექტრებს. აქაც ბევრია თხილის, კაკლის, ცაცხვის, უჯანგარის მტვრის მარცვლები. გვიმრა ვენერას თმა და გველის ენა კარგადაა წარმოდგენილი მათი სპორებით. ზოგიერთი ორმოს მასალაში ძელქვის, წაბლისა და კულტურული ვაზის მტვრის მარცვლების გამოჩენა მეტყველებს იმაზე, რომ ეს მცენარეები არც ისე შორს იზრდებოდნენ. როგორც სამარხების მასალაში, ისე სამეურნეო ორმოების სპექტრებში უხვადაა წარმოდგენილი ხორბლისა და სხვა სათესი მარცვლოვნების მტვრის რაოდენობა, რაც მეძინდვრეობის განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს.

ნამოსახლარი ძეგლები. მდებარეობს მტკვარ-არაქსის კულტურის დროის საყდრისის ოქროს საბადოსთან ახლოს. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით მტკვარ-არაქსის პერიოდს მიეკუთვნება. *სამარხი №1* მდებარეობს აღნიშნული ნამოსახლარის ტერიტორიაზე. აქ დაკრძალულია შუახნის მამაკაცი (ლიანა ბითაძის ზეპირი გადმოცემა). პალინოლოგიური კვლევისთვის სამარხიდან მოპოვებულია 12 ნიმუში. მათგან 3 აღებულია დიდი ზომის თიხის ქოთნიდან, დანარჩენი კი - ჩონჩხის სხვადასხვა ნაწილიდან (სურ. 30). ორგანული ნაშთების პალინოლოგიური დიაგრამისთვის დამახასიათებელია თაფლოვან მცენარეთა მტვრის რაოდენობის მაღალი მაჩვენებელი, მტვრის მარცვლების კარგი დაცულობა და მათი მაღალი კონცენტრაცია (სურ. 31). მასალის შესწავლის შედეგად განისაზღვრა მცენარის 46 მტვრის მარცვალი და სპორა, ძირითადად ბალახოვანთა ჯგუფიდან. გარდა ამისა, ნაპოვნი და განსაზღვრულია უამრავი ორგანიზმის არაპალინოლოგიური ნაშთი: სოკოს სპორები, ფუტკრისა და სხვა მწერებისა თუ ფეხსახსრიანების მიკროსკოპული ფოსილიები, ხის მერქნის უჯრედები, ფიტოლიტები და სხვა (სურ.

32,33). განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩევა თიხის ქოთნის მასალა, საიდანაც აღებულია 3 ნიმუში (№9,10,11) და სადაც დომინირებს თაფლოვან მცენარეთა მტვერი. განსაკუთრებით ბევრია ტიპური თაფლოვანი მცენარის, ხვართქლას მტვერი (*Convolvulus arvensis*). უხვადაა ვარდკაჭატას (*Cichorioideae*) მტვრის მარცვლების რაოდენობაც, რომელიც ასევე თაფლოვან მცენარეებს მიეკუთვნება (სურ. 34) (Tashev, Pancheva 2011). ნაპოვნი ცაცხვის (*Tilia*) მტვერი. სპექტრში აღინიშნება ღიღილოს (*Centaurea*), მათიტელას (*Polygonum*), ასტრას (*Aster*) და სხვა თაფლოვანი მცენარის მტვრის მარცვლები და მათი გუნდები (Tashev et al. 2015). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თაფლოვან მცენარეთა მტვერი მაქსიმუმს აღწევს ჭურჭლის ძირში (ნიმუში №10,11). აქვე უნდა ითქვას, რომ ამ მასალაში ნაპოვნი ფუტკრის ბუსუსები და კლანჭისებური ტერფები, რაც თაფლის არსებობის კიდევ ერთი დასტურია. საინტერესო და მოულოდნელი იყო ის ფაქტი, რომ თაფლოვან მცენარეთა მტვერი ჭურჭლის გარდა ნაპოვნია ჩონჩხის დიდ ძვლებთან და მათ ქვეშ.

გარდა ამისა, თითქმის ყველა ნიმუშში აღმოჩენილია სათესი მარცვლოვნების მტვერი, რომლებიც ასევე მიეკუთვნება თაფლოვან მცენარეებს (Technical guidelines, 2018). ხორბლის მტვრის მარცვლები ბევრია მიცვალებულის მუხლებსა და ფეხებთან. აგრეთვე კარგადაა წარმოდგენილი ხორბლეულის სარეველები. ესენია: ნაცარქათამა (*Chenopodiaceae*), ნარშავი (*Carduus*), ხვართქლა (*Convolvulus*), მათიტელა (*Polygonum*) და სხვ. ტყის ელემენტებიდან ცაცხვის (*Tilia*) გარდა წარმოდგენილია ფიჭვი (*Pinus*), კაკალი (*Juglans*), ლაფანი (*Pterocarya pterocarpa*), მუხა (*Quercus*), თხილი (*Corylus*) და ცხრატყავა (*Lonicera*). თითქმის ყველა ჩამოთვლილი მცენარე ასევე მიეკუთვნება თაფლოვანს (Tashev, Pancheva 2011; Tashev et al. 2015). არის ტყის გვიმრები. გვარამდე განსაზღვრულია გველის ენის სპორები (*Ophioglossum vulgatum*).

არაპალინოლოგიური ხასიათის ნაშთების ჯგუფში ხის მერქნის პარენქიმული უჯრედების დიდი რაოდენობა მეტყველებს იმაზე, რომ სამარხში არსებობდა ხის კონსტრუქციები. სოკოს სპო-

რებიდან ჭარბობს სოკო გლომუსის სპორები, რომელიც იზრდება დამუშავებულ ნიადაგზე და მიწათმოქმედების განვითარებაზე მიუთითებს. მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გვხვდება ნაკელის სოკოს სორდარიას (*Sordaria*) და ნეიროსპორას (*Neurospora*) სპორები, რაც მეცხოველეობის არსებობის ნიშანია. ადრე ბრინჯაოს პერიოდში ადამიანის მიერ გამოიყენებოდა ფრინველის ბუმბულიც, რასაც ადასტურებს თავთან, მენჯსა და ხელის თითებთან ნაპოვნი ბუმბულის მიკროსკოპული ნაშთები.

სელის ტექსტილის ბოჭკო აღინიშნება თითქმის ყველა ნიმუშში, მაგრამ იგი მაქსიმუმ აღწევს კისერთან აღებულ სინჯში. ეს კი ტანსაცმლის საყელოზე უნდა მიუთითებდეს. აქვე ნაპოვნია ლურჯი და ნაცრისფერი სელის ბოჭკოც. გარდა სელისა ნაპოვნია შალისა და კანაფის შეღებილ-დაგრეხილი ბოჭკოები.

როგორც ჭურჭელში, ისე ჩონჩხის ძვლებთან აღმოჩენილია თაფლის ნაშთი, რომელშიც თაფლოვან მცენარეთა გარდა ბევრია ფუტკრის მიკროსკოპული ნაშთები. ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თაფლი ნამდვილად შინაური ფუტკრის პროდუქტია. მასში ბევრია კულტურული მარცვლოვნებისა და ნათესების სარეველათა მტვერი. თაფლის სპექტრში ბევრია აგრეთვე იმ სარეველათა მტვერი, რომლებიც ადამიანის საცხოვრებელთან იზრდება. სავარაუდოა, რომ ადამიანმა ფუტკრის სკა ნამდვილად დადგა თავისი საცხოვრებლისა და ხორბლის მინდვრების მახლობლად. მასალა გვიჩვენებს, რომ ძეძვების ნამოსახლარზე მეფუტკრეობა კარგად უნდა ყოფილიყო განვითარებული, რადგან, გარდა იმისა, რომ მიცვალებული დაბალბამებული იყო თაფლით, მას დიდი ზომის ჭურჭლით თაფლიც ჩაატანეს.

არაპალინოლოგიური ხასიათის სპექტრებში აღმოჩენილია აგრეთვე ტკიპებისა და მწერების მიკროსკოპული ნაშთები, მაგრამ მათი რაოდენობა არ არის ბევრი. აქედან გამომდინარე, ზოოლოგიური მასალის სიმწირის გამო, მიცვალებული უნდა დაეკრძალათ სეზონის ცივ პერიოდში, როცა მწერებისა და ტკიპებისთვის არ არის აქტიური ფაზა.

ჩატარებული კვლევის შედეგები იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის დროს ძეძვები და მისი მიმდებარე ტერიტორია საკმაოდ კარგად იყო დასახლებული. მოსახლეობა ძირითადად მიწათმოქმედებას ეწეოდა. მეცხოველეობის კვალიც აღინიშნება, თუმცა ის, ამ კონკრეტულ ადგილას, მძლავრი არ უნდა ყოფილიყო. მოსახლეობა მისდევდა მეფუტკრეობასაც.

იმდროინდელი ლანდშაფტები საჭიროებისამებრ იყო ათვისებული სათესი მარცვლოვნებისა და ბაღებისთვის. თუმცა, მევენახეობის კვალი პალინოლოგიური კვლევის მიხედვით არ აღინიშნება. ტყის ცალკეული მასივები წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ფოთლოვნების ჯიშებით. ესენია: მუხა, ცაცხვი და კაკალი. მდინარის პირას იზრდებოდა ლაფანი, რაც თბილი და ნოტიო კლიმატის მაჩვენებელია. აღნიშნულ კლიმატურ პირობებზე მიუთითებს ასევე გვიძრა გველის ენის სპორები.

ადრე ბრინჯაოს პერიოდში მეფუტკრეობას უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ეს იმითაც დასტურდება, რომ თაფლს ხშირად ატანდნენ მიცვალებულს და შესაძლოა ეს ერთგვარ ტრადიციადაც იქცა. ამის მაგალითია კოდიანის ყორღანი, სადაც აღმოჩნდა თაფლით სავსე თიხის რამდენიმე ჭურჭელი (Kvavadze et al. 2007).

ბოჭკოების ანალიზის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ მიცვალებულის ჩაცმულობაზე. სამოსი ძირითადად სელის ქსოვილისგან იყო დამზადებული, თუმცა ამ პერიოდისთვის ხმარებაში უნდა ყოფილიყო კანაფი და შალი, რომელთა ბოჭკოებიც აღმოჩენილია ჭურჭლის ძირში აღებულ და შესწავლილ მასალაში. იმის ვარაუდიც ჩნდება, რომ ჩონჩხის ნაწილებზე სელის ქსოვილის ნაშთები შესაძლოა იმ ტექსტილმა დატოვა, რომელშიც გაახვიეს თაფლწასმული მიცვალებული. ბალბამირების ეს წესი მოგვიანებით გაჩნდა ეგვიპტესა და მესოპოტამიაში (Lukas 1958).

ადრე ბრინჯაოს პერიოდში ადამიანი იყენებდა ფრინველის ბუმბულსაც, რასაც ადასტურებს მიცვალებულის თავთან, მენჯსა და ხელის თითებთან ნაპოვნი ბუმბულის მიკროსკოპული ნაშთები.

ნამოსახლარი გუდაბერტყა. გუდაბერტყას ნამოსახლარი მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. სვენეთსა და ახალშენს შორის. აღნიშნული ძეგლიდან, რომელიც ადრე ბრინჯაოს პერიოდის მტკვარ-არაქსის კულტურას მიეკუთვნება, პალინოლოგიურად გამოკვლეულია №1,2,3,5 ნაგებობების ნაცროვანი და ნახშირის ფენებიდან, ოთახების იატაკიდან, სამეურნეო ორმოებიდან და თიხის ჭურჭლებიდან აღებული ორგანული ნაშთები. სულ გამოკვლეულია 26 ნიმუში და აქედან მხოლოდ ოთხ სინჯში არ აღმოჩნდა მასალის საკმარისი რაოდენობა. დანარჩენი 22 სინჯი მდიდარია როგორც მცენარეთა მტვრის რაოდენობით, ისე სხვა სახის პალინომორფებით.

ნაგებობა №1,2. ამ შენობების იატაკის დონეებიდან აღებულია ნიმუშები №1,5,6,8. მათი პალინოლოგიური სპექტრები გამოირჩევა მცენარეთა მტვრის მარცვლების მინიმალური რაოდენობით (სურ. 35). აქ არის მხოლოდ იმ სარეველათა მტვერი, რომლებიც უშუალოდ ადამიანის კართან, ბილიკებსა და გზის პირას იზრდება. ესენია: მრავალძარღვა, ავშანი, ვარდკაჭაჭა, ფარსმანდუკი და სხვ. მცირე რაოდენობითაა კაკლის, თხილის, ხორბლისა და სხვა სათესი მარცვლოვნების მტვერი. ჩვენი აზრით, მათი მტვრის მარცვლები შენობაში მოხვდა ახლომდებარე ბაღებიდან და ხორბლის მინდვრებიდან. ხემცენარეთა შორისაა ფიჭვისა და ნაძვის მტვერი, რასაც ქარი საკმაოდ შორ მანძილზე ავრცელებს.

რაც შეეხება არაპალინოლოგიურ ნაშთებს, აქ ჭარბობს ხის მერქნის დამწვარი პარენქიმული უჯრედები, რაც კერის ან ქურის ცეცხლის კვამლის, ნაცრისა და ჭვარტლის მიკროსკოპული ნაშთია (სურ. 36). მეორე დომინანტი მარცვლოვნების ფიტოლიტებია. ბევრია სელის ქსოვილის ბოჭკოც, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ოთახები, რომელთა იატაკიდან აღებული სინჯებია გამოკვლეული, ადამიანის საცხოვრებელი უნდა ყოფილიყო და არა სათავსო. ამას კერის არსებობაც ადასტურებს.

ნიმუში №2 წარმოადგენს შენობა №1-ის კერასთან აღმოჩენილ მსხლისებურ პატარა ხელადის შიგთავსს (ჭურჭელი №2). თიხის ხელადის ძირსა და კედლებზე ნაპოვნია უამრავი კარგად

დაცული მცენარის მტვრის მარცვლები და სხვა სახის პალინომორფები. ხემცენარეთაგან განსაზღვრულია სოჭის, ნაძვის, ფიჭვის, წიფლის, რცხილის, თხილისა და მურყნის ორი სახეობა. ერთი მათგანი ჩვეულებრივი შავი მურყანია (*Alnus barbata*), რომელიც მხოლოდ თბილ და ნოტიო კლიმატურ პირობებში იზრდება. იგი გავრცელებულია კოლხეთსა და ლაგოდეხის დაბლობებში. იზრდება ძირითადად ჭაღის ტყეებში, მდინარეებისა და ტბების ნაპირებზე. განხილულ სინჯში ნაპოვნია აგრეთვე შავი მურყნის (*Alnus glutinosa*) მტვრის მარცვლები. ეს სახეობა იზრდება უფრო მაღალ სიმაღლეზე მდებარე ჭაღის ტყეებში.

ბალახოვან მცენარეთაგან აღინიშნება ხორბლეულის კულტურული ჯიშების მტვრის დიდი რაოდენობა და ხორბლის ნათესების სარეველები. არის ტყის მდელოების საძოვრებზე გავრცელებული ბალახების მტვერიც. ასეთ მდელოებზე იზრდება გვიმრა გველის ენა (*Ophioglossum vulgatum*), რომლის სპორებიც ნაპოვნია ხელადის შიგთავსში.

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ჭარბობს ხის მერქნის დამწვარი უჯრედები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქოთანში ცეცხლზე მომზადებული საჭმელი იყო. ხელადა საცხოვრებელში კერასთან ახლოს იდგა და მასში უნდა ყოფილიყო ცხიმიანი საკვები, რომელმაც ასე კარგად შეინახა არსებული პალინომორფები. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ უხვადაა წარმოდგენილი ნაკელის სოკოს სპორები, რომლებიც მხოლოდ მცოხნელთა ნაკელზე იზრდება. არის სოკო პოდოსპორას სპორებიც და ეს სოკო მხოლოდ ჩლიქოსანთა ნაკელზე ამოდის. კარგადაა წარმოდგენილი მარცვლოვნების ფიტოლიტები და სელის ქსოვილის ბოჭკო. არის მტკნარი წყლის წყალმცენარეები, ტკიპებისა და მწერების ნაშთები. აღინიშნება ღამის პეპლის ფრთის ქერცლიც.

თუ რა უნდა ყოფილიყო ამ ჭურჭელში ნამოსახლარის განადგურების დროს, ჩვენი ვარაუდი პალინოლოგიური სპექტრის ანალიზის მიხედვით ასეთია: რადგან აქ მტვრის მარცვლები კარგადაა დაცული, ჭურჭელში ცხიმიანი საჭმე-

ლი სითხე იყო, ცეცხლზე მოხარშული ან წამოდულებული. ის ფაქტი, რომ სპექტრში ბევრია მცობნელთა და რქოსანთა ცხოველის ნაკელის სოკო, ქოთანში მათი რძის პროდუქტი უნდა ყოფილიყო. ადრე ბრინჯაოს პერიოდში ჰიგიენა ვერ იქნებოდა მაღალ დონეზე, თუმცა ცხვრის ფარაში ახლაც, მოწველის წინ ცხვარს ცურს არ ბანენ. ცურზე კი ყოველთვისაა ნაკელის მიკროსკოპული ნაშთები, რომლებიც მიჰყვება მოწველილ რძეს. ამ დასკვნის გასადასტურებლად ჩატარდა შემდეგი ექსპერიმენტი: სოფლის პირობებში რამდენიმე დღის დაუბანელი ძროხა მოიწველა და რძე ადუღდა ღია ცეცხლზე, შემდგომ კი რძეს ჩაუტარდა პალინოლოგიური ანალიზი. როგორც თანამედროვე, ისე ადრე ბრინჯაოს ხანის რძეში ნაპოვნია ნაკელის სოკოს სპორები და კარგი დაცულობის მცენარეთა მტვრის მარცვლები. არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის იყო ხის მერქნის დამწვარი უჯრედები, რომლებიც ღია ცეცხლიდან მოხვდა რძეში. აღნიშნულმა ექსპერიმენტმა, რა თქმა უნდა, გაამყარა ჩვენი დასკვნა, რომ ხელადაში ნამდვილად რძე უნდა ყოფილიყო.

ნიმუში №7. ეს არის ნაკვეთ 17/10-ში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის შიგთავსი. მისი პალინოლოგიური სპექტრი საკმაოდ მდიდარია, ჭარბობს სათესი მარცვლოვნების მტვერი, უხვადაა აგრეთვე ხორბლის ნათესების სარეველები. ხემცენარეთა შორის აღინიშნება ფიჭვი, ცაცხვი, რცხილა, თხილი და ჯორისძუა.

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ბევრია ხის მერქნის უჯრედები (განსაზღვრულია ფიჭვის მერქნის პარენქიმული უჯრედები) და მარცვლოვნების ფიტოლიტები. ჭარბადაა წარმოდგენილი მწერების ნაშთები. ნაპოვნია სოკოს სპორები, მათ შორის სოკო გლომუსი. სპექტრში ბევრია ასევე სელის ქსოვილის ნაშთები, არის შავი და ნაცრისფერი ბოჭკო.

მაშასადამე, რადგან პალინოლოგიურ სპექტრში დომინირებს სათესი მარცვლოვნები და მათი ფიტოლიტები, ჭურჭელში, სავარაუდოდ, ხორბლეულის მარცვლები ინახებოდა. ამასვე ადასტურებს იმ მწერების მიკრონაშთები, რომლებ-

მაც გაანადგურეს ეს მარცვლოვნები. სპექტრში აღმოჩენილია მტკნარი წყლის წყალმცენარეებისა და ტესტატური ამების ცისტები.

ნიმუში №3 მოპოვებულია მეორე ნაკვეთის სამშენებლო მოედნის კედელთან. იგი წარმოადგენს იმდროინდელ განამარხებულ ნიადაგს. რადგან ეს ღია ადგილი უნდა ყოფილიყო, პალინოლოგიურ სპექტრში ბევრია ქარის მოტანილი წიწვოვნების მტვრის მარცვლები. მაგალითად, აქ ნაპოვნია 40-ზე მეტი ფიჭვის მტვრის მარცვალი, კარგადაა წარმოდგენილი ასევე სოჭი, ნაძვი და მურყანი, მცირე რაოდენობითაა თხილის მტვერი.

ბალახოვნებში ჭარბობს ის სარეველა მცენარეები, რომლებიც იზრდება ეზოებში, ბილიკებისა და გზების გასწვრივ. გარდა ამისა, ბევრია ხორბლის, სხვა სათესი მარცვლოვნებისა და მათი სარეველების მტვრის მარცვლები, რაც იმას ნიშნავს, რომ ხორბლის ნათესები ძალიან არ ყოფილა დაშორებული საცხოვრებელიდან.

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ჭარბობს ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები, ბევრია მარცვლოვნების ფიტოლიტები. არის სოკო გლომუსის სპორები, ზოოეპიდერმისი, მწერების ნაშთები და სელის ქსოვილი ბოჭკო.

ნიმუში №4 აღებულია მეორე ნაგებობის კედლის გარეთ დასავლეთით მდებარე სამშენებლო მოედნიდან. ეს არის განამარხებული მიწა, რომლის პალინოლოგიურ სპექტრში ბევრია შორიდან მოტანილი მცენარეთა მტვრის მარცვლები. ესენია: ფიჭვი, სოჭი და ნაძვი, რომელთა მტვერი, როგორც უკვე ითქვა, ქარს ადვილად გადააქვს შორ მანძილზე. საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი რცხილის მტვრის შემადგენლობა. ცოტაა შავი მურყნის, ცაცხვის, მუხისა და თხილის მტვერი.

ბალახოვნებიდან ჭარბობს ხორბლისა და სხვა მარცვლოვნების მტვერი. ასევე ბევრია მათი სარეველებიც. უხვადაა ეზოს რუდერალური მცენარეები, ანუ სარეველები.

არაპალინოლოგიური პალინომორფების სპექტრში გამოიყოფა ორი დომინანტი, მარცვლოვნების ფიტოლიტები და ხის მერქნის უჯრედები. განსაზღვრულია სოკო გლომუსის და ობის სო-

კოს სპორები, ტკიპების ნაშთები და სხვა ზოოლოგიური მასალა. ცოტაა სელის ქსოვილის ბოჭკო და ტესტატური ამება არცელას ცისტები. არცელა ბინადრობს ჭაობებისა და სხვა ნოტიო ადგილების ხავსში.

ნიმუში №9 აღებულია ნაგებობა №2-ში ნაპოვნი თიხის ჭურჭლის შიგთავსიდან. სპექტრში გვხვდება მხოლოდ სათესი მარცვლოვნები და მათი სარეველები. ხემცენარეთა მტვერი ცოტაა. გვხვდება აგრეთვე ფიჭვის, სოჭისა და თხილის ერთეული მარცვლები.

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის კი ჭარბობს მარცვლოვნების ფიტოლიტები, არცთუ ისე ცოტაა ხის მერქნის უჯრედები. სპექტრში საკმაოდ ბევრია ზოომასალა, მცენარეთა ეპიდერმისი და სელის ქსოვილის ბოჭკო, მათ შორის ლურჯი.

ნიმუში №10 მოპოვებულია ნაგებობა №2-ში აღმოჩენილი №64 ჭურჭლის შიგთავსიდან. მის პალინოლოგიურ სპექტრში ასევე ჭარბობს ხორბლის, სხვა სათესი მარცვლოვნებისა და მათი სარეველების მტვრის მარცვლები. მცირე რაოდენობითაა ეზოს სარეველები.

რაც შეეხება არაპალინოლოგიურ ნაშთებს, აქ ბევრია ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები (განსაზღვრულია ფიჭვის მერქნის უჯრედები) და ფიტოლიტები. აღინიშნება მცენარეთა ეპიდერმისი, სელის ქსოვილის ბოჭკო და მწერების ბუსუსები. მცირე რაოდენობით ნაპოვნი სოკო გლომუსის, სორდარიას, ობის სოკოს და ჰაეტომიუმის სპორები.

ნიმუში №11. აღებულია მეორე ნაგებობის №30 თიხის ჭურჭლის შიგთავსიდან. პალინოლოგიური სპექტრი მტვრის მარცვლების შემადგენლობით ღარიბულია. დომინირებს ვარდკაჭაჭას მტვერი, არის ნარშავის, ასტერის, მრავალძარღვასა და ქოლგოსნების მტვრის მარცვლები. ხემცენარეთაგან ნაპოვნი მხოლოდ ფიჭვისა და ნაძვის მტვერი.

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის უხვადაა მარცვლოვნების ფიტოლიტები, რომელიც პირველი დომინანტია, ბევრია ხის მერქნის უჯრედები და მცენარეთა ეპიდერმისი. კარგადაა წარ-

მოდგენილი სელის ქსოვილის ბოჭკო, ნაპოვნი ცისფერი ბოჭკო. ცოტაა სოკო გლომუსის, ტკიპების, მწერების ნაშთები.

ნიმუში №12. ეს არის მეორე ნაგებობის იატაკზე აღმოჩენილი №2 თიხის ჭურჭლიდან მოპოვებული ნიმუში. პალინოლოგიური სპექტრი ძალიან ღარიბულია. ჭარბობს კულტურული მარცვლოვნების მტვერი და ცოტაა თხილის, ნაცარქათამას, ავშნის, ფარსმანდუკის ერთეული მტვრის მარცვლები.

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის უხვადაა წარმოდგენილი ხის მერქნის დამწვარი უჯრედები, ბევრია ფიჭვის პარენქიმული უჯრედები. მეორე დომინანტი მარცვლოვნების ფიტოლიტებია. ნაპოვნი სელის ქსოვილის ბოჭკო, მათ შორის შავი, აგრეთვე სოკო გლომუსის სპორები და მცენარეთა ეპიდერმისი.

ნაგებობა №3,5. ნიმუში №1 აღებულია მესამე ნაგებობის №48 ჭურჭლიდან. მის პალინოლოგიურ სპექტრში ბევრია ნაცარქათამას (*Chenopodium*) მტვრის მარცვლები, ასევე ბევრია მათიტელას (*Polygonum*), ღორის ბირკისა (*Xanthium*) და კულტურული მარცვლოვნების მტვერი, სადაც განისაზღვრა ხორბალი, შვრია და ქერი. ცოტაა ეზოს სარეველები, როგორცაა მრავალძარღვა (*Plantago*), ავშანი (*Artemisia*). ხემცენარეთაგან გვხვდება მხოლოდ ფიჭვის, ნაძვის, წიფლისა და თხილის მტვერი.

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის პირველი დომინანტი მარცვლოვნების ფიტოლიტებია, მათ შორის კულტურული სახეობების. უხვადაა მარცვლოვნების სახამებელი და ხის მერქნის დამწვარი უჯრედები. მცირეა სოკოს სპორები, სადაც განისაზღვრა სოკო გლომუსი და ალტერნარია. ცოტაა ზოოეპიდერმისი, ტკიპები და მათი ნაშთები. ნაპოვნი რამდენიმე სელის ქსოვილის ბოჭკო.

ნიმუში №2 აღებულია მესამე ნაგებობის №50 ჭურჭლიდან. მის პალინოლოგიურ სპექტრში, როგორც წინა ნიმუშში, ჭარბობს ნაცარქათამას მტვერი, ცოტაა კულტურული მარცვლოვნები, ნარშავი, ისლიანები, ღორის ბირკა და ველური

მარცვლოვნები. ხემცენარეთაგან აღინიშნება ნაძვის, თხილისა და რცხილას ერთეული მტვრის მარცვლები.

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ბევრია ფიტოლიტები და სახამებელი. მესამე დომინანტი ხის მერქნის დამწვარი უჯრედებია. მცირე რაოდენობითაა სოკოს სპორები, სელის ქსოვილის ბოჭკო. არცთუ ისე ბევრია მცენარეთა ეპიდერმისი და ზოომასალა.

ნიმუში №3 აღებულია მესამე ნაგებობის №14 ჭურჭლიდან. მის პალინოლოგიურ სპექტრში არის მხოლოდ ხორბლის, სხვა მარცვლოვნებისა და მათი სარეველა ნარშავის მტვრის მარცვლები.

არაპალინოლოგიური პალინომორფებიდან პირველი დომინანტი სახამებლის მარცვლებია. ბევრია ასევე მარცვლოვნების ფიტოლიტები, მათ შორის კულტურული ფორმის. კარგადაა წარმოდგენილი ხის მერქნის უჯრედები და სოკოს სპორები. მცირე რაოდენობითაა მწერების ბუსუსები და სხვა სახის ზოომასალა. არის სელის ბოჭკო, გვხვდება შალის ბოჭკოც. აღსანიშნავია, რომ შალისა და სელის ბოჭკოზე მიკრულია უამრავი ხორბლის სახამებელი, რაც შეიძლება იმის დასტური იყოს, რომ აქ ხორბლის ფევილი ან ცომი ინახებოდა.

ნიმუში №4 აღებულია მესამე ნაგებობის №8 ჭურჭლიდან. პალინოლოგიურ სპექტრში არის კაკლის მტვრის მარცვლები, აღმოჩენილია ასევე ხორბლეულისა და მათი ნათესების სარეველები. არის ეზოს ისეთი სარეველა, როგორცაა ღორის ბირკა და ავშანი.

არაპალინოლოგიურ ნაშთებში ჭარბობს მარცვლოვნების სახამებელი და ხის მერქნის უჯრედები. ბევრია სოკოს სპორები და მათი სპორანგიუმი. კარგადაა წარმოდგენილი ფიტოლიტები, სელის ბოჭკო, ტკიპების ნაშთები (ბუსუსები, კლანჭისებური ტერფები). ცოტაა სხვა სახის ზოომასალა და მწერების ბუსუსები.

ნიმუში №5 აღებულია მეხუთე ნაგებობის №5 ჭურჭლის ქვეშ. პალინოლოგიურ სპექტრში დომინირებს ნაცარქათამას მტვერი, ასევე ბევრია მუხის, წიფლისა და მურყნის მტვრის მარცვლები.

ცოტაა ფიჭვის, ნაძვისა და თხილის მტვერი. აღინიშნება ქოლგოსნები, მათიტელა, ნემსიწვერა და ველური მარცვლოვნებიც.

არაპალინოლოგიურ ნაშთებში ჭარბობს დამწვარი ხის მერქნის უჯრედების პატარა ფრაგმენტები. ბევრია სახამებელი და ფიტოლიტები. კარგადაა წარმოდგენილი სელის ბოჭკო და ხავსის ნაშთები. მცირე რაოდენობითაა სოკოს სპორები, სადაც განისაზღვრა სორდარია, მცენარის ეპიდერმისი, ზოომასალა და შალის ქსოვილის ბოჭკო.

ნიმუში №6 აღებულია მეხუთე ნაგებობის №17 ჭურჭლიდან. პალინოლოგიური სპექტრი წარმოდგენილია ხორბლით და სხვა სათესი მარცვლოვნებით, ასევე მათი სარეველებით. გვხვდება ეზოს და საძოვრების სარეველებიც. ხემცენარეთა შორის გვხვდება ფიჭვი, ნაძვი, თელა, რცხილა, შავი მურყანი და თხილი.

არაპალინოლოგიური ნაშთების ჯგუფში დომინირებს დამწვარი ხის მერქნის უჯრედები, სადაც განისაზღვრა თელა. ბევრია მარცვლოვნების ფიტოლიტები და მათი სახამებელი. დაფიქსირდა ობის სოკოს, გლომუსის, სორდარიას და სხვათა სპორები. მცირე რაოდენობითაა ტკიპების ნაშთი. ნაპოვნია ტესტატური ამება არცელა.

ნიმუში №7 აღებულია მეხუთე ნაგებობის №14 ჭურჭლიდან. საინტერესოა, რომ ამ ჭურჭლის პალინოლოგიურ სპექტრში უხვადაა წარმოდგენილი თაფლოვან მცენარეთა მტვერი და მათი გუნდები, რაც დამახასიათებელია თაფლის პალინოლოგიური საპექტრისთვის. ჭარბობს სათესი მარცვლოვნები, ნაცარქათამა, ვარდკაჭაჭა, ქოლგოსნები, ფარსმანდუკი, ჭარხლოსნები, პარკოსნები და ტუჩოსნები.

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ჭარბობს ფიტოლიტები, ხის მერქნის უჯრედები და სახამებელი. ბევრია ფუტკრის ბუსუსები, მისი ზოოეპიდერმისი და ბრჭყალები. მცირე რაოდენობითაა ობის სოკო და გლომუსი, სელის ქსოვილის ბოჭკო.

ნიმუში №8 აღებულია მეხუთე ნაგებობის №26 ჭურჭელთან. პალინოლოგიურ სპექტრში ბევრია სათესი მარცვლოვნები, მათ შორის ხორბალი,

ბევრია ასევე ნათესების სარეველები. ხემცენარეების ჯგუფში განსაზღვრულია ფიჭვი, მურყანი და თხილი.

არაპალინოლოგიური ნაშთების სპექტრში ჭარბობს ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები, მარცვლოვნების სახამებელი და ფიტოლიტები. განსაზღვრულია კულტურული მარცვლოვნების ფიტოლიტებიც. საკმაოდ ბევრია ზოოპეიდერმისი, მწერების და ტკიპების ბუსუსები და სხვა ნაშთები. ცოტაა ობის სოკოს სპორები და სელის ქსოვილის ბოჭკო.

ნიმუში №9 წარმოადგენს მეხუთე ნაგებობის ტყავის ან ჭილის ზედაპირზე არსებულ მიწის ნიმუშს. პალინოლოგიური სპექტრი ღარიბულია. ნაპოვნია მხოლოდ მურყნის, თხილის, მათიტელას, ტუჩოსნებისა და ხორბლის ერთეული მტვრის მარცვლები. აღმოჩენილია ასევე ტყის გვიმრების სპორები.

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის უხვადაა ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები. ბევრია ნაკელის სოკო სორდარიას სპორები. უამრავია ტკიპებისა და მწერების ნაშთები, მათი ბუსუსები და ზოოპეიდერმისი. აღასანიშნავია, რომ ამ ნიმუშში გვხვდება მთლიანი ტკიპებიც. ნაპოვნია ცხოველის ბალანი და მათი პარაზიტული ჭიის კვერცხები. მცირე რაოდენობითაა სოკო გლომუსის, ობის სოკოს და სოკო ჰაეტომიუმის სპორები, ასევე ტესტატური ამება არცელას ცისტები.

ნიმუში №10 წარმოადგენს მეხუთე ნაგებობიდან აღებულ ნახშიროვან ფენას. პალინოლოგიური სპექტრი ღარიბულია და შედგება მხოლოდ ფიჭვის, სათესი მარცვლოვნების, მათიტელას ერთეული მტვრის მარცვლებისგან. განსაზღვრულია რამდენიმე ტყის გვიმრის სპორები.

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ჭარბობს ხის მერქნის დამწვარი უჯრედები და ძვლის მარილის კრისტალები. ნაკლები შემადგენლობა უკავია მარცვლოვნის ფიტოლიტებს და მათ სახამებელს. ცოტაა ტკიპების ნაშთები და სელის ქსოვილის ბოჭკო.

ზემოთ განხილული პალინოლოგიური სპექტრების მიხედვით შესაძლებელი ხდება დავასკვნათ, რომ განხილული ადგილი მტკვარ-არაქსის კულ-

ტურის პერიოდში მჭიდროდ იყო დასახლებული და ადამიანი აქ ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევდა. გამოირჩეოდა თხილი და ნოტიო კლიმატით. ნალექების დიდმა რაოდენობამ ჭარბების წარმოქმნასა და გაფართოებასაც შეუწყო ხელი, რაზეც ტესტატური ამება ასულინას ნაშთები მეტყველებს.

ნამოსახლარი ნაცარგორა. მდებარეობს შიდა ქართლში (ხაშურის მუნიციპალიტეტში). ნამოსახლარის ფენები მიეკუთვნება მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდს (ადრე ბრინჯაოს ხანა). არქეოლოგიური გათხრების დროს პალინოლოგიური კვლევისთვის ნიმუშები აღებულია ორი ჭრილიდან: ერთი ნამოსახლარის ჩრდილოეთის კედელში, მეორე კი დასავლეთის კედელში.

ჭრილი №1. როგორც უკვე აღინიშნა, იგი მდებარეობს ნამოსახლარის ჩრდილოეთ ნაწილში. ჭრილიდან აღებული ხუთი ნიმუშის პალინოლოგიური სპექტრები საკმაოდ მდიდარია (სურ. 37,38). ჭარბობს ხორბლის, ქერისა და სხვა სათესი მარცვლოვნების მტვერი. ბევრია აგრეთვე ხორბლის ნათესების სარეველები. ესენია: მათიტელა, ჩვეულებრივი მათიტელა, ნარშავი, ნაცარქათამა და სხვ. გარდა ამისა, პალინოლოგიურ სპექტრში აღმოჩენილია ადამიანის საცხოვრებელი ეზოების სარეველები: ღორის ბირკა, მრავალძარღვა, ბალბა, ფარსმანდუკი, ავშანი. არის აგრეთვე საძოვრების ისეთი სარეველა ბალახოვნები, რასაც პირუტყვი არ ჭამს მათი მძაფრი სუნის ან ეკლებების გამო. ველური ბალახოვნებიდან აღინიშნება ტყის გვიმრების სპორები. ხემცენარეთა ჯგუფში დაფიქსირდა როგორც წიწვოვანებს, ისე ფართოფოთლოვნების მტვერი. ესენია: სოჭი, ფიჭვი, წიფელი, თელა, ძელქვა, რცხილა, კაკალი, თხილი და ჩვეულებრივი ვაზი (სურ. 39,40). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჭრილის ქვედა ნაწილში ხემცენარეთა მტვერი უფრო მეტია, ვიდრე ზემოთ. აქ ჭარბობს ფიჭვისა და სოჭის მტვერი, აღინიშნება ცაცხვის, კაკლის, თელის, რცხილას, მურყნის, ჯორისძუას მტვრის მარცვლები. რაც შეეხება სათეს მარცვლოვნებს, აქ მათი როლი ნაკლებად მნიშვნელოვანია; საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჭრილის ქვედა ნაწილში აღმოჩენილია კულტურული სელის მტვრის მარცვლები.

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის დომინირებს მარცვლოვნების ფიტოლიტები და მათი სახამებელი. ბევრია აგრეთვე ხის მერქნის დამწვარი უჯრედები, სელის ქსოვილის ცისფერი ბოჭკო (სურ. 38). უხვადაა მწერების ბუსუსები და სხვა ნაშთები. მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი სოკოს სპორები, სადაც განსაზღვრულია სოკო გლომუსი და ობის სოკო. ცოტაა აგრეთვე ტესტატური ამების ცისტები. რაც შეეხება ხის მერქნის უჯრედებს, მათი რაოდენობა მაქსიმალურია ჭრილის ზედა ფენაში, მაგრამ სახამებელი უფრო მეტია მესამე და მეოთხე ნიმუშებში. მესამე ნიმუშში ასევე ბევრია სელის ქსოვილის ბოჭკო, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ფენა ადამიანს უფრო უკეთ ჰქონდა ათვისებული (სურ. 41).

ჭრილი №2. აქედან აღებული და შესწავლილია შვიდი ნიმუში. ამ ჭრილში, ისევე როგორც №1 ჭრილში, ჭარბობს მიწათმოქმედების ისეთი ელემენტები, როგორც არის ხორბალი და სხვა სათესი მარცვლოვნები (სურ. 42,43,45). კარგადაა ასევე წარმოდგენილი ნათესების სარეველა მცენარეების მტვერი, განსაკუთრებით ბევრია ჩვეულებრივი მათიტელას მტვრის რაოდენობა, ასევე ნაცარქათამას, ნარშავის მტვრის მარცვლები. განხილული ჭრილის პალინოლოგიურ სპექტრებში უფრო კარგადაა წარმოდგენილი ის ბალახოვნები, რომლებიც იზრდება ადამიანის საცხოვრებლის სიახლოვეს, სანაგვეებზე, ბილიკებისა და გზის ნაპირებზე ჭრილის ქვედა ნაწილში განსაკუთრებით ბევრია, მაგალითად, ჭინჭრის, ირმისმხალას, ვარდკაჭაჭას მტვრის მარცვლების რაოდენობა. მთელ ჭრილში ბევრია ასევე მრავალძარღვას, ასტრას, ნემსიწვერას მტვრის მარცვლები. ხემცენარეთა ჯგუფში დომინირებს წიწვოვნები. განსაკუთრებით ბევრია ფიჭვისა და სოჭის მტვერი. მცირე რაოდენობითაა თელის, წიფლის, ძელქვას, რცხილის, ცაცხვის, კაკლის, თხილისა და ჯორისძუას მტვერი. აქაც, როგორც პირველ ჭრილში, წიწვოვნების შემადგენლობა მაქსიმალურია ქვედა ფენაში. ამავე ფენაში მაქსიმალურ რაოდენობას აღწევს მურყნის რაოდენობაც (სურ. 44). მურყანი იზრდება ჭალის ტყეებში, რომლებიც იმ დროს კარგად იყო განვითარებული. ტყის არსებობის კარგი მაჩვენებელია ასევე გვიმრა, გველის ენა, რომლის სპორები უხვადაა წარმოდგენილი. აღინიშნება აგრეთვე გვიმრა კილამურა და სხვა გვიმრების სპორები. არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის აქაც სამი დომინანტია. ესენია: მარცვლოვნების სახამებელი და მათი ფიტოლიტები. ბევრია ხის მერქნის დამწვარი უჯრედები, განსაზღვრულია ფიჭვის მერქნის პარენქიმული უჯრედები. კარგადაა წარმოდგენილი სელის ქსოვილის ბოჭკო (სურ. 43). აქაც აღინიშნება ცისფერი ბოჭკო. მესამე ნიმუშში ნაპოვნია აგრეთვე შალის ქსოვილის ბოჭკო. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ჭრილის ძირში (ნიმუში №1) დიდი ოდენობით არის აღმოჩენილია ძვლის მარილის კრისტალები (სურ. 46). ზოგადად, აქ ბევრია მწერების ბუსუსები, მაქსიმალური რაოდენობა კი აღნიშნულია მეოთხე ნიმუშში. აქ ასევე ბევრია ჩრჩილის პეპლის ფრთის ქერცლის ნაშთები (სურ. 47). მცირე რაოდენობით დაფიქსირდა სოკოს სპორები, სადაც განსაზღვრულია სოკო გლომუსის, ჰაეტომიუმისა და ობის სოკოს სპორები. მეოთხე ნიმუშში მცირე რაოდენობით დაფიქსირდა ტკიპების ბუსუსები, ბრჭყალები, მარწუხები და სხვა ნაწილები. მეხუთე ნიმუშში აღმოჩნდა მტკნარი წყლის წყალმცენარე სპიროგირა, ხოლო პირველ ნიმუშში - ფრინველის ბუმბულის ნაშთი.

მაშასადამე, განხილული მასალა იძლევა საფუძველს დადგინდეს შემდეგი: სხვა რეგიონების მსგავსად, ადრე ბრინჯაოს ხანაში მიწათმოქმედება აქაც კარგად არის განვითარებული. ითესებოდა ხორბალი, ქერი და სხვა სათესი მარცვლოვნები. მოჰყავდათ სელი და ამაზე მიუთითებს სპექტრში აღმოჩენილი კულტურული სელის მტვრის მარცვალი, რაც პალინოლოგიაში დიდი იშვიათობაა. ის, რომ სელი აქ ნამდვილად მოჰყავდათ, მტკიცდება სელის ქსოვილის ბოჭკოს დიდი რაოდენობით, რომელიც თითქმის ყველა ფენაში დაფიქსირდა.

ასევე კარგად იყო განვითარებული მებაღეობა და მევენახეობა. ბაღებში მოჰყავდათ თხილი და კაკალი. პალინოლოგიურ სპექტრებში საძოვრების სარეველა მცენარეთა არსებობა იმის დასტურია, რომ ნაცარგორას მოსახლეობა მეცხოველეობასაც მისდევდა.

ასევე კარგად იყო განვითარებული მებაღეობა და მევენახეობა. ბაღებში მოჰყავდათ თხილი და კაკალი. პალინოლოგიურ სპექტრებში საძოვრების სარეველა მცენარეთა არსებობა იმის დასტურია, რომ ნაცარგორას მოსახლეობა მეცხოველეობასაც მისდევდა.

რაც შეეხება ბუნებრივ ლანდშაფტებს, იმ დროს შემალღებულ ადგილებზე იზრდებოდა ფართოფოთლოვანი ტყე, სადაც წაბლს, წიფელს, თელის, რცხილას, ძელქვას, ცაცხვს არცთუ ისე მცირე ადგილი ეკავა. სწორედ ამ ტყეებში იზრდებოდა გვირა, გველის ენა და კილამურა, რომლებიც დღეს მხოლოდ მთების ქვედა კალთებზე ხარობს, რადგან სითბოს მოყვარული მცენარეებია. უფრო შემალღებულ ახლომდებარე ქედებზე და მთებში საკმაოდ კარგად იყო გავრცელებული ფიჭვის ტყეები. სოჭი და ნაძვი ვრცელდებოდა უფრო მაღალ სიმაღლეებზე.

მცენარეთა შემადგენლობა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ კლიმატური პირობები ადრე ბრინჯაოს პერიოდში სულ სხვა იყო, ვიდრე დღეს. იგი გაცილებით თბილი უნდა ყოფილიყო, სხვა შემთხვევაში ძელქვა ვერ გაიზრდებოდა. მურყნის, სოჭის, წიფლის შემადგენლობა თითქმის ორივე ტრილის სპექტრებში ადასტურებს ნოტიო კლიმატის არსებობას, როდესაც ნალექების რაოდენობა გაცილებით უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო. განხილულ რეგიონში ჩამოთვლილი ხემცენარეები დღეს უკვე აღარ იზრდება.

ნამოსახლარი არადეთის ორგორა (დედოფლის გორა). არადეთის ორგორას (დედოფლის გორა) ნამოსახლარი მდებარეობს შიდა ქართლში (კასპთან ახლოს). იგი განლაგებულია მდინარე დასავლეთის ფრონეს (ფციულა) მარცხენა ნაპირას, შემალღებულ ბორცვზე. აღნიშნული რეგიონი წარმოადგენს მესამეული და მეოთხეული ნალექი ქანების საფუძველზე განვითარებულ ვაკეს და ბორცვიანი უბნების საკმაოდ რთულ შეთანაწყობას (Maruashvili 1970). კლიმატური პირობები ქვემო ქართლთან შედარებით აქ უფრო გრილია.

2015 წლის გათხრების დროს არადეთის ორგორას ნამოსახლარზე მოპოვებულია ორი ტრილის მასალა და რამდენიმე ტურტელი, რომლებიც თარიღდება მტკვარ-არაქსის კულტურის ეპოქით (Gagoshidze, Rova 2015; 2018). აღნიშნული ფენები ტრილების ძირშია და რადიკარბონული თარიღების მიხედვით მათი ასაკი ძვ.წ. 31-26 საუკუნეებით თარიღდება (Passerini et al. 2016).

დიდ ინტერესს წარმოადგენს სივრცე 2413, სადაც შენობის შუა ნაწილში მდებარე საკურთხეველზე აღმოჩენილია ორი ზომორფული ტურტელი. ერთი, უფრო მუქი ფერის, გატეხილია, მეორე კი - მთლიანი. გატეხილი ტურტლის შიგთავსიდან აღებულია ნიმუშები №1,2 (2434-M-5 + 2414-C-3), ხოლო მთლიანი ტურტლისგან, რიტონისგან ნიმუში №3 (2414-M-2). მათი და მტკვარ-არაქსის კულტურის ფენების პალინოლოგიური სპექტრები დეტალურად არის აღწერილი ცალკე პუბლიკაციაში (Kvavadze et al. 2019). აქ კი მოკლედ განიხილება ზომორფული ტურტლის აღმოჩენის მნიშვნელობა. მათი სპექტრები ასახულია ორ დიაგრამაზე. სამივე სინჯში უხვადაა წარმოდგენილი მცენარეთა მტვერი, რაც არქეოლოგიური ტურტლისთვის დიდი იშვიათობაა. მცენარეთა როგორც ტაქსონომიური, ისე რაოდენობრივი შემადგენლობა დიდია. პირველ და მეორე სინჯში განსაზღვრულია 16 ხემცენარისა და 28 ბალახოვნის მტვერი. ხემცენარეთა შორის ტარბობს კაკლის მტვრის რაოდენობა. ბევრია აგრეთვე რცხილისა და ფიჭვის მტვრის მარცვლები. კარგადაა წარმოდგენილი ჩვეულებრივი ვაზის, მურყნის, წიფლის, თხილის, მუხისა და ნაძვის მტვერი. მცირე რაოდენობითაა დაფიქსირებული სოჭის, ნეკერჩხლის, წაბლის, ჯაგრცხილის, თელის, ცაცხვისა და ხეტრელის მტვრის მარცვლები (სურ. 48ა, 48ბ).

ბალახოვნებს შორის დომინირებს კულტურული მარცვლოვნები, მათ შორის ხორბალი. ბევრია აგრეთვე ნაცარქათამასა და ბალების, ნათესებისა და ვენახების სხვა სარეველა მცენარეთა მტვერი. ესენია: მათიტელა, ლილილო, მჟაუნა და ვარდკაჭაჭა. არის ველური მარცვლოვნების, ისლიანების, ავშნის, ღორის ბირკის, ფარსმანდუკის, ტინტრის, მრავალძარღვას მტვერი. ჩამოთვლილი მცენარეები მიეკუთვნება სარეველათა ჯგუფს, რომელიც ადამიანს მიჰყვება და იზრდება მისი საცხოვრებლის ეზოში, გზისა და ბილიკების პირას, დატკეპნილ ადგილებსა და სანაგვეებზე. განხილული ტურტლის შიგთავსის სპექტრებში აღინიშნება აგრეთვე ტყის გვიმრების სპორები და წყლის სიახლოვეს მცხოვრები შხაპრის (*Sparganium*) მტვრის მარცვლები.

რაც შეეხება განხილული ორი ნიმუშის სპექტრის არაპალინოლოგიურ შემადგენლობას, აქ ჭარბობს სახამებელი და მცენარეთა ეპიდერმისი. ბევრია სელის ქსოვილის ბოჭკო. აღინიშნება აგრეთვე შალის ქსოვილის ბოჭკო. კარგადაა წარმოდგენილი მწერების ბუსუსები. განისაზღვრა ქინქლას (*Drosophila*) ბუსუსები. ცოტაა სოკოს სპორები და მარცვლოვნების ფიტოლიტები (სურ. 49).

ნიმუში №3. როგორც უკვე აღინიშნა, იგი წარმოადგენს მთლიანი ზოომორფული ჭურჭლის შიგთავსს (სურ. 48ა). მისი პალინოლოგიური სპექტრი ასევე მდიდარია როგორც მტვრის რაოდენობით, ისე ტაქსონომიური შემადგენლობით. განსაზღვრულია 13 ხემცენარისა და 19 ბალახოვნის მტვრის მარცვლები. სპექტრში 3 დომინანტია: კაკალი, რცხილა და ფიჭვი. ბევრია წიფლის, მურყნის, ნაძვის, თხილისა და ჩვეულებრივი ვაზის მტვრის რაოდენობა (სურ. 50,51). ცოტაა არყის, მუხის, ლაფნის, ჯაგრცხილის, თელისა და ასკილის მტვერი. როგორც წინა ჭურჭლის სპექტრებში, აქაც ბალახოვნებში დომინირებს სათესი მარცვლოვნები. აღინიშნება ვენახის, ბაღებისა და ყანების სარეველები. წარმოდგენილია იმ რუდერალურ სარეველათა მტვერიც, რომლებიც ადამიანის საცხოვრებელთან იზრდება.

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის განხილული ჭურჭლის შიგთავსში ბევრია სახამებელი. არის სელისა და შალის ქსოვილის ბოჭკო. მცირე რაოდენობითაა ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები, მარცვლოვნების ფოტოლიტები. ნაპოვნია ქინქლას და სხვა და მწერების ბუსუსები და ეპიდერმისი.

პალინოლოგიური სპექტრებიდან გამომდინარე, ორივე ზოომორფულ თიხის ჭურჭელში ღვინო უნდა ყოფილიყო, რადგან მასში არის კარგად დაცული ვაზის მტვრის მარცვლები, მათი სახამებელი და ქინქლას მიკროსკოპიული ნაშთები (სურ. 52,53), იმ ქინქლასი, რომელიც მუდამ თანახლავს ღვინის წარმოებს მთელ ციკლს (McGovern et al. 2017a). სპექტრებში ბევრია აგრეთვე ვენახებისთვის დამახასიათებელ სარეველთა ბალახოვანთა მტვერი.

ჩვენი დასკვნის დასამტკიცებლად ჩატარებულია თანამედროვე ღვინის ორი სინჯის პალინოლოგიური ანალიზი. მათი სპექტრები ასახულია დიაგრამის ქვედა ნაწილში (სურ. 48ა, 49). მოყვანილია თანამედროვე ღვინის ორი ნიმუში. პირველი მათგანი დაწურულია იმ ყურძნისგან, რომელიც არადეთის გორასთან ახლოს იზრდება, ანუ ზედა შიდა ქართლში. მეორე ღვინის სინჯი მოპოვებულია კახეთში (სოფელი ქვემო მაღარო, სიღნაღის მუნიციპალიტეტი). ღვინო დამზადდა ოჯახურ და არა ქარხნულ პირობებში.

დიაგრამაზე ჩანს, რომ თანამედროვე შინაური ღვინის სპექტრი მტვრის შემადგენლობით არცთუ ისე მდიდარია, რაც, ჩვენი აზრით, დაწურვისა და მისი შენახვის მეთოდებით აიხსნება. დღეს, როდესაც ადამიანი დიდი ზომის ჭურჭლის ნაკლებობას არ განიცდის, მას დაწმინდავებული ღვინო მრავალჯერ გადააქვს ახალ და სუფთა ჭურჭელში, დანალექი კი, სადაც ვაზის მტვრის მარცვლებიც ილექება, სცილდება გადატანილ ღვინოს. მიუხედავად ამისა. პალინოლოგიურ სპექტრში მაინც არის შემორჩენილი ჩვეულებრივი ვაზის მტვრის მარცვლები, რომლებიც უფრო ბევრია კახეთში დაწურულ ღვინოში. ამავე ღვინოშია ნაპოვნი კაკლისა და თხილის მტვერი. ეს ორი კულტურა იქვე, ვენახის პირას იზრდება. ბალახოვნებში აქაც, როგორც განამარხებულ სპექტრებში, აღინიშნება ბალისა და ვენახის სარეველების მტვერი. ნაპოვნია აგრეთვე იმ რუდერალურ მცენარეთა მტვერი, რომლებიც ვაზის პირას და ბილიკებზე იზრდება. ამის კარგი მაგალითია ღორის ბირკა, რომელიც მოდებულია იმ ვენახის ირგვლივ, სადაც მოიკრიფა ყურძენი და დამზადდა ღვინო. თანამედროვე ღვინის პალინოლოგიურ სპექტრში აღინიშნება აგრეთვე ავშანი, ჭინჭარი და მრავალძარღვა, რომლებიც ბევრია ვენახთან ახლოს.

რაც შეეხება არაპალინოლოგიურ ნაშთებს, თანამედროვე ღვინის ორივე სინჯში ჭარბობს სახამებელი. ბევრია ბამბისა და სელის ქსოვილის ბოჭკო. აღინიშნება აგრეთვე შალისა და ხელოვნური ქსოვილის ბოჭკოც. ნაპოვნია მცენარეთა ეპიდერმისი. არის ქინქლას (*Drosophila*) ბუსუსები. მცირე რაოდენობითაა სოკოს სპორები, ხის

მერქნის უჯრედები, მარცვლოვნების ფიტოლიტები. ზოოლოგიური მასალა კარგადაა წარმოდგენილი. განსაზღვრულია განუსაზღვრელი მწერების ბუსუსები, ჩრჩილის პეპლის ქერცლი და ფრინველის ბუმბულის მიკროსკოპული ნაშთი. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ღვინის პირველ ნიმუშში ნაპოვნია მტკნარი წყლის წყალმცენარეები, რაც, ჩვენი აზრით, იმას ნიშნავს, რომ ღვინო წყლით უნდა ყოფილიყო გაზავებული, ანუ მოხდა მისი ფალსიფიკაცია.

არადეთის ორგორას ტერიტებიდან მოპოვებული მასალისა და დიდი ზომის ჭურჭლის (აღმოჩენილია იმავე სარიტუალო მოედანზე, სადაც განლაგებული იყო ზოომორფული რიტონები) შიგთავსის პალინოლოგიური სპექტრები ხასიათდება ხორბლის მტვრისა და სხვა სათესი მარცვლოვნების დიდი რაოდენობით. ბევრია მათი ფიტოლიტები. კარგადაა წარმოდგენილი ხორბლის ნათესების სარეველათა მტვრის შემადგენლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ განხილულ დიდ ჭურჭელში ხორბალი ინახებოდა. სპექტრში ბევრია მწერებისა და ტკიპების ნაშთებიც, რომლებმაც იქ არსებული ხორბლეული გაანადგურეს. არის ობის სოკოს (*Mucoraceae*), ნაკელის სოკოსა (*Sordaria*) და გლომუსის (*Glomus*) სპორები. მცირე რაოდენობით დაფიქსირდა სელის ქსოვილის ბოჭკო.

საკურთხეველზე რიტონებით საუკეთესო ხარისხის ღვინისა და ხორბლის ჭურჭლის მოთავსება ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის დროს ღვინოს, ისევე როგორც ხორბალს საკულტო დანიშნულება ჰქონდა. მოსახლეობამ ღვინის გემო კარგად იცოდა ნეოლითური ხანიდან და, როგორც პალინოლოგიური ფაქტობრივი მასალა ადასტურებს, ადრე ბრინჯაოს ხანაში მევენახეობა და მეღვინეობა კარგად განვითარდა თითქმის მთელ მესხეთ-ჯავახეთსა და ქართლშიც.

ნამოსახლარი ქვაცხელები. ნამოსახლარი მდებარეობს შიდა ქართლში, ქარელის მახლობლად. აღნიშნულ ძეგლზე პალინოლოგიური კვლევა აქამდე ჯერ არ ჩატარებულა. შესწავლილია მხოლოდ კარპოლოგიური მასალა და აქ აღმოჩენილია ჩვეულებრივი ვაზის წიპწები (Rusishvili. 2010).

პალინოლოგიური ანალიზი ჩატარდა იმ ორგანული ნაშთების სინჯებზე, რომლებიც მოპოვებულია მეცხრე ოთახიდან. ესენია: სინჯები №№1-4. სულ გამოკვლეულია 12 ნიმუში. ნიმუში №5 წარმოადგენს საკმაოდ დიდი ზომის ქოთნის შიგთავსს. მეექვსე ნიმუში კი არის სპილენძზე მიკრობილი თიხა და ორგანული ნაშთი. №18 ოთახიდან მოპოვებულია მეტალზე მიკრობილი თიხა და ორგანული წარმოშობის ნაშთი. სინჯი №8 არის №286-ის კედლის ნატეხი. საკურთხეველიდანაა აღებული ნიმუში №9. სინჯები №10,11 საშენი მასალაა, რომელშიც ჩანს მუქი ფერის ორგანული ჩანარები. მეთერთმეტე ნიმუში კერამიკული ცომის ნატეხია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მცენარეთა მტვრის ყველაზე მდიდარი შემადგენლობით ხასიათდება მეცხრე ოთახის იატაკიდან მოპოვებული მასალა (ნიმუში №1).

პალინოლოგიური კვლევის შედეგები დატანილია ორ დიაგრამაზე (სურ. 54,55) პირველ მათგანზე მტვრის მარცვლების რაოდენობაა მოყვანილი, ხოლო მეორეზე - არაპალინოლოგიური ხასიათის ნაშთების რიცხოვრივი შემადგენლობა. მტვრის მარცვლების რაოდენობა ზოგადად მცირეა, რადგან მტვრის აკუმულაცია ხდებოდა დახურულ სივრცეში. ეს არის შენობების ოთახები და ჭურჭელი. მიუხედავად ამისა, იატაკიდან აღებულ ნიმუშში (ნიმუში №1), ბევრია როგორც ბალახოვანთა, ისე ხემცენარეთა მტვერი. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, ისაა, რომ ადამიანს შენობაში ფეხით შეაქვს ნიადაგის მტვერი და სხვა სახის ტალახი. შენობებში მცენარეთა მტვრის მარცვლები შეაქვს აგრეთვე ქარს და ეს პროცესი უფრო ინტენსიურია ზაფხულის პერიოდში. მტვრის მარცვლები მიჰყვება აგრეთვე შეშაზე მიწებებულ ხავსს. ცნობილია, რომ შეშას მტკვარ-არაქსის პერიოდში ადამიანი იყენებდა არა მარტო გასათბობად, არამედ საჭმლის მოსამზადებლად. უამრავი პალინოლოგიური მასალა არის მცენარეულ პროდუქტზე, მათ ნაყოფსა და თესლზეც. იმდროინდელი ადამიანი უამრავ მცენარეს ხმარობდა დაავადებების სამკურნალოდ - აგროვებდა მცენარეთა ყვავილებს, ახმობდა და ინახავდა თავის საცხოვრებელში. ამ

გზითაც შენობების იატაკზე, ჭურჭელში და სხვა სახის საგნებზე ილექებოდა მცენარეთა მტვრის მარცვლები.

განვიხილოთ გამოკვლეული ნიმუშების პალინოლოგიური სპექტრების თავისებურებანი.

ნიმუში №1. როგორც უკვე აღინიშნა, იგი წარმოადგენს იატაკის ნატეხს, რომელზეც შერჩენილი იყო ნალესობა და შავი ფერის ჩანართები. პალინოლოგიურ სპექტრში ჭარბობს ბალახოვანთა მტვერი. განსაკუთრებით ბევრია იმ სარეველათა მტვრის მარცვლების რაოდენობა, რომლებიც იზრდება ეზოში, გზის პირას, სასაგვეებზე და არის კარგი ანტროპოგენური ინდიკატორი. ესენია: მრავალძარღვა (*Plantago*), ავშანი (*Artemisia*), ჭინჭარი (*Urtica*), ეწრის გვიმრა (*Pteridium aquilinum*). კარგადაა წარმოდგენილი აგრეთვე სათესი მარცვლოვნები, რომელთა შორის გვარამდე განისაზღვრა ხორბალი (*Triticum*) და ქერი (*Hordeum*). ბევრია სათესი მარცვლოვნების ყანების ისეთი სარეველები, როგორცაა ნაცარქათამა (*Chenopodium album*), მათიტელა (*Centaurea*), ნარშავი (*Carduus*).

ხემცენარეთა ჯგუფში აღინიშნება ფიჭვის (*Pinus*), მურყნის (*Alnus*), რცხილის (*Carpinus betulus*), ჯაგრცხილისა (*Carpinus orientalis*) და თელის (*Ulmus*) მტვრის მარცვლები. ტყის ელემენტს მიეკუთვნება აგრეთვე ეწრის გვიმრა (*Pteridium aquilinum*), რომლის სპორები ნაპოვნია იატაკიდან აღებულ სინჯში.

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის დომინირებს მარცვლოვნების ღეროს უჯრედები და ფიტოლიტები. საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი სათესი მარცვლოვნების ფიტოლიტებიც. აღმოჩენილია აგრეთვე მარცვლოვნების სახამებელი. ბევრია ხის მერქნის დაშლილი და დამწვარი უჯრედები, სადაც ფიჭვის უჯრედებიცაა. უხვადაა სელის ქსოვილის ბოჭკო, მათ შორის ცისფრად შეღებილი. ნაპოვნია შალის ტექსტილის ბოჭკოც. მცირე რაოდენობითაა სოკოს სპორები, მწერების ბუსუსები და ტკიპების მიკროსკოპული ნაშთები.

ნიმუშები №2,3,4 მე-9 ოთახის საკურთხევლის ნალესობაა. პალინოლოგიურ სპექტრებში მცე-

ნარეთა მტვრის მარცვლები წარმოდგენილია მცირე რაოდენობით. ხემცენარეთაგან ნაპოვნია ფიჭვის (*Pinus*), თელის (*Ulmus*), რცხილის (*Carpinus betulus*), თხილისა (*Corylus*) და ვარდისებრის (*Rosaceae*) მტვრის მარცვლები. ბალახოვანთა ჯგუფში აღინიშნება სათესი მარცვლოვნების (*Cerealia*), ნაცარქათამას (*Chenopodiaceae*), ავშნის (*Artemisia*), ნარშავის (*Carduus*), მრავალძარღვასა (*Plantago*) და კანაფის (*Cannabis*) მტვერი. როგორც ვხედავთ, აქ აღმოჩენილი თითქმის ყველა ტაქსონი აღინიშნება განხილული ოთახის იატაკზე (ნიმუში №1).

არაპალინოლოგიურ ნაშთებში (NPP) ჭარბობს მარცვლოვნების სახამებელი და სელის ქსოვილის ბოჭკო, მათ შორის ცისფერი და შავი. მცირე რაოდენობითაა შალის ქსოვილისა და განუსაზღვრელი ტექსტილის ბოჭკო. ნაპოვნია ხის მერქნის დამწვარი უჯრედები, მცენარეთა ეპიდერმისი, მარცვლოვნების ფიტოლიტები. სათესი მარცვლოვნების ფიტოლიტები აღინიშნება მხოლოდ მეორე ნიმუშში. ზოოლოგიური მიკროსკოპული ნაშთები აღმოჩნდა მხოლოდ მესამე სინჯში.

ნიმუში №5. ეს არის კერამიკული ჭურჭლის (№330) შიგთავსის ანაფხეკი და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 15-55.330. ამ სინჯის პალინოლოგიურ სპექტრში ხემცენარეთაგან დაფიქსირდა ფიჭვის (*Pinus*), სოჭის (*Abies*), ნაძვის (*Picea*), რცხილის (*Carpinus betulus*), ცაცხვისა (*Tilia*) და თხილის (*Corylus*) მტვრის მარცვლები. ბალახოვან მცენარეთაგან ნაპოვნია სათესი მარცვლოვნებისა (*Cerealia*) და ხორბლის ყანების სარეველები. ესენია: მათიტელა (*Polygonum aviculare*), ნარშავი (*Carduus*), წიწიბურა (*Fagopyrum*). მცირე რაოდენობითაა იმ ბალახების მტვრის მარცვლები, რომლებიც ადამიანის საცხოვრებელთან იზრდება. ამ შემთხვევაში ესენია ჭინჭარი (*Urtica*) და ავშანი (*Artemisia*).

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის (NPP) პირველი დომინანტია სახამებლის მტვრის მარცვლები. აღინიშნება სათესი მარცვლოვნების ფიტოლიტები, რაც იმის დასტურია, რომ ამ ჭურჭელში შესაძლოა ხორბლის ფქვილი ინახებოდა.

პალინოლოგიურ სპექტრში ნაპოვნია აგრეთვე ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები, ხაცხის ნაშთები, სელის ქსოვილის ბოჭკო, მათ შორის შეღებილიც. საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი მწერების ბუსუსები, პეპლის ფრთის ქერცლი და ცხოველის ბეწვი.

ნიმუში №6. იგი წარმოადგენს მესამე ოთახში აღმოჩენილ თიხაზე დამდნარ სპილენძის ბრტყელ საგანს. თიხა შეიცავდა შავი ფერის ორგანულ ჩანართს. აქედან აღებული სინჯი №6-ის პალინოლოგიური სპექტრი ძალზე ღარიბი აღმოჩნდა. ნაპოვნია მხოლოდ ფიჭვის, ნაცარქათამასა და ავშნის ერთეული მტვრის მარცვლები, მაგრამ სპექტრში ბევრია ხის მერქნის განახშირებული უჯრედები და მარცვლოვნების სახამებელი. აღინიშნება მარცვლოვნების ღეროს ეპიდერმისი, სელისა და შალის ქსოვილის ბოჭკო.

ნიმუში №7. ეს არის მე-18 ნაგებობაში ნაპოვნი ლითონის საგანზე მიკროული ორგანული ნაშთი. ხემცენარეთა შორის აღმოჩენილია ფიჭვის, რცხილისა და მურყნის მტვერი. ბალახოვნებიდან დაფიქსირდა მხოლოდ ნაცარქათამასა და ველური მარცვლოვნების მტვერი. არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ჭარბობს სახამებელი. არის სათესი მარცვლოვნების ფიტოლიტები, მცენარეთა ეპიდერმისი. ბევრია ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები და სელის ქსოვილის ბოჭკო. განხილულ სინჯის სპექტრში ნაპოვნია ვულკანური ფერფლის ნაშთები.

ნიმუში №8. ეს არის პირველი ოთახის №286 კედლის ნატეხი, რომლის პალინოლოგიურ სპექტრში მცენარეთა მტვრის მარცვლები ცოტაა. დაფიქსირდა ფიჭვის (*Pinus*), სოჭის (*Abies*), რცხილის (*Carpinus betulus*) და მურყნის (*Alnus*) ერთეული მტვრის მარცვლები. არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ჭარბობს სახამებელი. ბევრია ხის მერქნის დამწვარი უჯრედები. კარგადაა წარმოდგენილი მარცვლოვნების ფიტოლიტები და მცენარეთა ეპიდერმისი. დაფიქსირდა სელის ქსოვილის ბოჭკო, მათ შორის შავად შეღებილიც. მცირე რაოდენობითაა ნაკელის სოკოს სორდარიის (*Sordaria*) სპორები და მწერების მიკროსკოპული ნაშთები.

ნიმუში №9. იგი აღებულია საკურთხეველის მედაპირიდან, რომელიც მდებარეობს კვადრატ C1N1-ში. ამ სინჯში ცოტაა მტვრის მარცვლები. ხემცენარეთაგან აღმოჩენილია მხოლოდ ფიჭვის (*Pinus*), სოჭის (*Abies*), წიფლის (*Fagus*), თელის (*Ulmus*), რცხილისა (*Carpinus betulus*) და თხილის (*Corylus*) მტვრის მარცვლები. ნაპოვნია სათესი მარცვლოვნების მტვერი. პალინოლოგიურ სპექტრში არის ადამიანის საცხოვრებლის ებოებში და გზისპირებზე გავრცელებულ მცენარეთა მტვერი. ესენია ღორის ბირკა (*Xanthium*) და მრავალძარღვა (*Plantago m/m*).

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ჭარბობს მარცვლოვნების ფიტოლიტები. არის ხორბლისა და სხვა კულტურული მარცვლოვნების ფორმების ფიტოლიტებიც. ბევრია სახამებლის მარცვლებისა და სოკო გლომუსის (*Glomus*) სპორები. ნაპოვნია აგრეთვე ობის სოკოს (*Mucoraceae*) და სხვა განუსაზღვრელი სოკოების სპორები. კარგადაა წარმოდგენილი ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები და სელის ქსოვილის ბოჭკო. მცირე რაოდენობითაა ზოოლოგიური ნაშთები. ცოტაა ვულკანური ფერფლი.

ნიმუში №10. ეს არის სამშენებლო მასალის ნატეხი, რომელზეც ჩანს შავი ფერის ორგანული ხასიათის ჩართვები. მისი პალინოლოგიური სპექტრი საკმაოდ მდიდარი აღმოჩნდა. ხემცენარეთაგან ნაპოვნია ფიჭვის (*Pinus*), სოჭის (*Abies*), მურყნის (*Alnus*), კაკლის (*Juglans regia*), ცაცხვის (*Tilia*), მუხის (*Quercus*), თელის (*Ulmus*), რცხილისა (*Carpinus betulus*) და თხილის (*Corylus*) მტვრის მარცვლები. ბევრია ბალახოვნების მტვერიც. დომინირებს სათესი მარცვლოვნების მტვრის შემადგენლობა. არის ხორბლის ყანების სარეველები, როგორცაა, მაგალითად, ნაცარქათამა (*Chenopodium album*). დაფიქსირდა ებოს სარეველები: ტინჯარი (*Urtica*), ფარსმანდუკი (*Achillea*), ვარდკაჭაჭა (*Cichorium*), მრავალძარღვა (*Plantago*), ღორის ბირკა (*Xanthium*), ბალბა (*Malva*). აღმოჩენილია ტყის გვიმრის - გვიმრუჭას (*Asplenium*) სპორები.

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ჭარბობს მარცვლოვნების ფიტოლიტები და ხის მერქნის

პარენქიმული უჯრედების რაოდენობა. ბევრია ხორბლეულის ფიტოლიტები და მათი სახამებელი. ნაპოვნია ფიტვის ხის მერქნის უჯრედები. არის მარცვლოვნების ღეროს უჯრედები და მათი ეპიდერმისი. კარგადაა წარმოდგენილი სელის ქსოვილის ბოჭკო. ცოტაა მწერებისა და ტკიპების ნაშთები.

ნიმუში №11. მოპოვებულია №17 ოთახიდან და წარმოადგენს საშენი მასალის ფრაგმენტს. მის პალინოლოგიურ სპექტრში ნაპოვნია მხოლოდ ფიტვისა და მურყნის მტვერი. არაპალინოლოგიურ ნამარხებს შორის ბევრია მინერალური ხასიათის ნაწილაკები, დამწვარი ხის მერქნის უჯრედები და მარცვლოვნების ფიტოლიტები. არის სახამებელი, სათესი მარცვლოვნების ფიტოლიტები და სელის ქსოვილის ბოჭკო. მცირე რაოდენობითაა ვულკანური ფერფლი და ზოოლოგიური ნაშთები.

ნიმუში №12. იგი წარმოადგენს შენობაში აღმოჩენილ კერამიკულ ცომს (ნივთი №285). მის პალინოლოგიურ სპექტრში ნაპოვნია მხოლოდ ფიტვის, მურყნის, თელისა და რცხილის ერთეული მტვრის მარცვლები, მაგრამ ბევრია არაპალინოლოგიური ხასიათის ნაშთები. ამ ჯგუფში დომინირებს სახამებელი და ხის მერქნის დამწვარი უჯრედები. ბევრია მარცვლოვნებისა და ხორბლის ფიტოლიტები. კარგადაა წარმოდგენილი სელის ქსოვილის ბოჭკო, მათ შორის ყვითლად შეღებილიც. მცირე რაოდენობითაა მცენარეთა ეპიდერმისი და ზოოლოგიური ხასიათის მიკროსკოპული ნაშთები.

მაშასადამე, განხილული მასალის პალინოლოგიური სპექტრებიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდში ქვაცხელების მოსახლეობა, ისევე როგორც შიდა ქართლის სხვა რაიონებისა, ინტენსიური მიწათმოქმედებით იყო დაკავებული. ითვებოდა უამრავი ხორბლეული. იმდროინდელ ადამიანს სელიც მოჰყავდა. გაშენებული იყო ვენახები და ბაღები, სადაც თხილი და კაკალი იზრდებოდა. ამ პერიოდში ქართლის ტერიტორიაზე არსებობდა ფართოფოთლოვანი ტყე, რომელშიც ტარბობდა რცხილა. გარდა ამისა, ამ ტყეში მუხას, ცაცხვსა და თელას მნიშვნელოვან

ნი ადგილი ეკავა. ასეთივე ტყე იყო გაშენებული ქვაცხელების ირგვლივ. ამის დასტურია ქვაცხელების ნამოსახლარის მასალის პალინოლოგიური სპექტრები, სადაც ნაპოვნია ყველა ჩამოთვლილი ხემცენარე. ტყის არსებობის კარგი არგუმენტია აგრეთვე ეწრის, გვიმრის, გვიმრუჭას და სხვა ტყის გვიმრების სპორები.

უნდა აღინიშნოს, რომ ნესტიანი კლიმატური პირობები ხელს უწყობდა ჭალის ტყეების განვითარებას. მიღებული მონაცემების მიხედვით ქვაცხელების მიდამოებში მდინარეების პირას მურყნის ტყეები იყო გავრცელებული.

პალინოლოგიურ სპექტრებში შალის ქსოვილის ნაშთებისა და ნაკელის სოკოს სპორების აღმოჩენა კი იმის დასტურია, რომ იმ ეპოქაში კარგად იყო განვითარებული მეცხოველეობაც.

ნამოსახლარი გრაკლიანი გორა. გრაკლიანი გორა მდებარეობს შიდა ქართლში, კასპის მუნიციპალიტეტში, სოფლების იგოეთისა და სამთავისის ტერიტორიაზე. ძეგლზე დადასტურდა სხვადასხვა პერიოდის კულტურული ფენის არსებობა. მათ შორისაა ადრე ბრინჯაოს და მტკვარ-არაქსის პერიოდის ფენები.

2015 წელს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, გრაკლიან გორას ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამავე ძეგლზე უძველესი - 3000 წლის წინანდელი დამწერლობის ნიშნებიც გამოვლინდა.

დეტალური პალინოლოგიური კვლევა გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ჭურჭლის შიგთავსის მასალაზე ჩატარდა. კულტურული ფენების გარდა გამოკვლეულია სამარხებში აღმოჩენილი ჭურჭლის ორგანული ნაშთები. დადგენილია გვიანი ბრინჯაოს პერიოდის პალეოკლიმატური პირობები, ადამიანის დიეტა და გამოყენებული სამკურნალო მცენარეების სია. გარდა ამისა, შესწავლილია ადრე ბრინჯაოს პერიოდის სამეურნეო ორმოები. მათი პალინოლოგიური სპექტრები გვიანი ბრინჯაოს დროის სპექტრებთან შედარებით გაცილებით უფრო მდიდარია, როგორც მტვრის მარცვლების რაოდენობით, ისე მცენარეთა ტაქსონომიური შემადგენლობით.

განვიხილოთ ცალკეული სამეურნეო ორმოების პალინოლოგიური სპექტრები:

მტკვარ-არაქსის კულტურის დროის სამეურნეო ორმო №1. მის პალინოლოგიურ სპექტრში სულ დათვლილია 289 პალინომორფი, რომელთა შორის ჭარბობს არაპალინოლოგიური ნამარხები. განსაკუთრებით ბევრია მარცვლოვნების ფიტოლიტები. ხემცენარეთა შორის აღინიშნება ფიჭვისა (*Pinus*) და თხილის (*Corylus*) მტვრის მარცვლები. ბალახოვნების ჯგუფში ჭარბობს ვარდკაჭაჭასნაირების (*Cichorioideae*) მტვრის მარცვლების რაოდენობა. საკმაოდ დიდია სათესი მარცვლოვნების (*Cerealia*) შემადგენლობა, მათ შორისაა ხორბალი (*Triticum*). აღინიშნება აგრეთვე ხორბლის ყანებისთვის დამახასიათებელ სარეველად მცენარეთა მტვერი. ესენია: მარტიტელა (*Polygonum*), ნარი (*Cirsium*), ნარშავი (*Carduus*), წიწიბურა (*Fagopyrum*). მცირე რაოდენობითაა ბალბის (*Malva*) მტვრის მარცვლები. ბალბა კი, როგორც წესი, იზრდება ბილიკებზე, გზის ნაპირებსა და სანაგვეებზე. აღინიშნება ასტრას და სხვა ბალახოვან მცენარეთა მტვრის მარცვლებიც.

არაპალინოლოგიურ პალინომორფებს შორის მარცვლოვნების ფიტოლიტების გარდა დაფიქსირდა სოკოს სპორები. ბევრია სოკო გლომუსის (*Glomus*) სპორები. არის ობის სოკო (*Mucoraceae*), ნაკელის სოკო სორდარია (*Sordaria*), ჰაეტომიუმი (*Chaetomium*) და სხვა სოკოს სპორებიც. მცირე რაოდენობითაა ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები, სელის ქსოვილის ბოჭკო, წყალმცენარეები, მწერებისა და ტკიპების ეპიდერმისი, ბუსუსები და სხვა ტიპის მიკროსკოპული ნაშთები. ნაპოვნია ცხოველის ბეწვიც.

მტკვარ-არაქსის კულტურის დროის სამეურნეო ორმო №2. ამ ორმოს პალინოლოგიური სპექტრი გაცილებით უფრო მდიდარია, ვიდრე პირველი ორმოსი. №13 ნიმუშში სულ დათვლილია 645 პალინომორფი. მცენარეთა მტვრის მარცვლების რაოდენობა შეადგენს 228-ს. ხემცენარეთა ჯგუფში წარმოდგენილია ფიჭვის (*Pinus*), წიფლის (*Fagus orientalis*), მუხის (*Quercus*), რცხილის (*Carpinus betulus*), მურყნის (*Alnus*), კაკლისა (*Juglans re-*

gia) და თხილის (*Corylus*) მტვრით. ნაპოვნია შინდის (*Cornus*) და ჩვეულებრივი ვაზის (*Vitis vinifera*) მტვრის მარცვლები. ბალახოვნების მტვერი რაოდენობრივად უფრო მეტია, ვიდრე ხემცენარეთა მტვრის შემადგენლობა. პალინოლოგიურ სპექტრში დიდია სათესი მარცვლოვნების როლი. გვარამდე განისაზღვრა ხორბალი (*Triticum*) და ქერი (*Hordeum*). უხვადაა წარმოდგენილი ნათესების სარეველები. ბევრია აგრეთვე ის რუდერალური ელემენტები, რომლებიც მიჰყვება ადამიანს და იზრდება საცხოვრებლის ეზოებში, ბილიკებსა და სხვა დატკეპნილ ადგილებზე. გარდა ამისა, სპექტრში აღინიშნება ტყის გვიმრების სპორებიც.

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის დომინირებს მარცვლოვნების ფიტოლიტები და ობის სოკოს სპორები. გარდა ამისა, განისაზღვრა სოკო გლომუსისა (*Glomus*) და მდელოს სოკოს ტრიქოგლოსუმის (*Trichoglossum*) სპორები. კარგადაა წარმოდგენილი ტკიპებისა და მწერების ნაშთებიც. აღინიშნება ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები. მცირე რაოდენობითაა სელისა და შალის ქსოვილის ბოჭკო, წყალმცენარეები, მარცვლოვნების ღეროს მიკროსკოპული ნაშთები. ნაპოვნია მთლიანი ტკიპა.

მაშასადამე, მტკვარ-არაქსის დროის პალინოლოგიური სპექტრები გვიჩვენებს, რომ მათი კომპლექსი მკვეთრად განსხვავდება გვიანი ბრინჯაოს კომპლექსებისგან. მტკვარ-არაქსის პერიოდში არ აღინიშნება ნაძვისა და სოჭის მტვრის მარცვლები, რომლებიც უფრო გრილ კლიმატს ახასიათებს. გარდა ამისა, ადრე ბრინჯაოს ხანაში გრაკლიანი გორის ირგვლივ მნიშვნელოვნად იყო გავრცელებული მუხის, წიფლისა და რცხილის ტყეები. ჭალის ტყეში იზრდებოდა მურყანი, რომელიც დღეს შიდა ქართლში ვერ ხარობს. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში გაცილებით უფრო კარგად იყო განვითარებული მიწათმოქმედება. ბაღებში კაკალი და თხილი მოჰყავდათ. ვენახებს საკმაოდ დიდი ფართობები ეკავა. დღევანდელ დღეს კი მევენახეობა განხილულ რეგიონში თითქმის არ არის განვითარებული.

დოღლაურის სამაროვანი. მდებარეობს დედოფლის გორის (არადეთის ორგორას) სამხრეთით და მისგან სულ რაღაც 500-600 მეტრითაა დაცილებული. სამაროვანი ცნობილია იმით, რომ იგი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე შესწავლილი მტკვარ-არაქსის ხანის ყველაზე დიდი სამაროვანია. გზის მშენებლობასთან დაკავშირებით 2012-2015 წლებში დოღლაურის სამაროვანზე გაითხარა ორასამდე სამარხი. გათხრებს ხელმძღვანელობდა არქეოლოგი იულონ გაგოშიძე.

პალინოლოგიური მეთოდით გამოკვლეულია სამი სამარხი, საიდანაც ნიმუშები აღებულია ორგორც ჭურჭლიდან ისე მიცვალებულთა ჩონჩხის მიდამოებში. ესენია თავის ქალა, მუცლის არე გავის ძვალთან და ქვედა კიდურები.

დოღლაური 3, სამარხი №2. აღნიშნული სამარხიდან მოპოვებული და გაანალიზებულია ექვსი სინჯი. ორ-ორი ნიმუშია აღებულია №4 და №5 ჭურჭლებიდან. სინჯები აღებულია და ასევე შესწავლილია მიცვალებულის ჩონჩხის თავის ქალას ქვეშ და მუცლის არეში. პალინოლოგიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ თავის ქალას ქვეშ არსებულ ორგანულ ნაშთებში აღმოჩნდა მცენარის 15 მტვრის მარცვალი (სურ. 56). ანტროპოლოგიური კვლევის მიხედვით, მიცვალებული ყოფილა 35-45 წლის ქალი (Bertoldi et al. 2016). პალინოლოგიურ სპექტრში ხემცენარეთა შორის აღინიშნება ფიჭვი (*Pinus*), წიფელი (*Fagus*), მუხა (*Quercus*), კაკალი (*Juglans regia*), მურყანი (*Alnus*), რცხილა (*Carpinus betulus*), ცაცხვი (*Tilia*) და თელა (*Ulmus*). აღმოჩენილია აგრეთვე თხილისა (*Corylus*) და ჩვეულებრივი ვაზის (*Vitis vinifera*) მტვრის მარცვლები. ბალახოვნებიდან პალინოლოგიურ სპექტრში ნაპოვანია ნაცარქათამას (*Chenopodiaceae*), ჭინჭრისა (*Urtica*) და მრავალძარღვას (*Plantago*) მტვრის მარცვლები. არაპალინოლოგიური ხასიათის ნაშთებს შორის ჭარბობს სელის ქსოვილის ლურჯი და უფერული ბოჭკო, რაც, ჩვენი აზრით, მიცვალებული ქალის თავსაბურავის ნაშთი უნდა იყოს (სურ. 57).

მიცვალებულის ჩონჩხის მუცლის არეში აღებულ სინჯში ნაპოვანია მხოლოდ საკვები და სამკურნალო მცენარეების მტვრის მარცვლები. ესენია კაკალი (*Juglans regia*) და თხილი (*Corylus*). რაც

შეეხება სამკურნალო საშუალებებს, ბევრია ირმისმხალას (*Serratula*), ფარსმანდუკის (*Achillea*), ლილილოს (*Centaurea*), თავკომბალას (*Echinops*) და სხვა სამკურნალო ბალახოვნების მტვრის მარცვლები (Quattricchi 2012).

რას შეეხება არაპალინოლოგიურ ნაშთებს, მუცლის არეში აღებულ სინჯში დომინირებს ხის მერქნის უჯრედები და მარცვლოვნების სახამებელი. ხის მერქნის პარენქიმულ უჯრედებს შორის ფიჭვის უჯრედებიცაა. აღინიშნება კულტურული მარცვლოვნების სახამებელი და ფიტოლიტებიც. მცირე რაოდენობითაა სელის ქსოვილის ბოჭკო, სოკო გლომუსის სპორები და ტკიპების მიკროსკოპული ნაშთები.

№4 ჭურჭლის პალინოლოგიურ სპექტრში მცენარეთა მტვრის მარცვლები რაოდენობრივად არცთუ ისე ბევრია. კარგადაა წარმოდგენილი არაპალინოლოგიური ნაშთები. ჭარბობს მარცვლოვნების სახამებლის რაოდენობა. არის აგრეთვე სათესი მარცვლოვნების სახამებელი. მცირე რაოდენობითაა ხის მერქნის დამწვარი უჯრედები, ფიტოლიტები. ცოტაა აგრეთვე სოკოს სპორები, სელის ქსოვილის ბოჭკო და მცენარეთა ეპიდერმისი. ერთეულ ნაშთებად გვხვდება ტკიპების ბუსუსები და მტკნარი წყლის წყალმცენარეთა ცისტები.

№5 ჭურჭლის პალინოლოგიური სპექტრი არცთუ ისე მდიდარია. ნაპოვანია ფიჭვის, მუხის, კაკლის, მურყნის, რცხილისა და ვაზის მტვრის მარცვლების მცირე რაოდენობა. ბალახოვანთა შორის ჭარბობს სათესი მარცვლოვნების და მათთან არსებული სარეველების მტვერი. აღინიშნება ასევე ტყის გვიმრების სპორები. არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ბევრია ხის მერქნის დამწვარი პარენქიმული უჯრედები, სახამებელი და სოკოს სპორები. ცოტაა მარცვლოვნების ფიტოლიტები, მცენარეთა ეპიდერმისი და სელის ქსოვილის ბოჭკო. მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი აგრეთვე ტკიპებისა და მწერების მიკროსკოპული ნაშთები.

დოღლაური 3, სამარხი №7. ამ სამარხიდან აღებულია სამი ჭურჭლის შიგთავსის სინჯი და ერთი მენჯის ძვლის არეში. მტვრის მარცვლების

რაოდენობა ბევრია №1 ჭურჭლის შიგთავსში. ხემცენარეთა შორის აქ საკმაოდ უხვადაა ფიტვის მტვრის მარცვლები. ბევრია აგრეთვე ნაძვის მტვერი. აღინიშნება კაკლის, მურყნის, რცხილის მტვრის მარცვლები. რაც შეეხება თხილს, ვაზს და მუხას, მათი მტვრის მარცვლები არც ისე ბევრია. ბალახოვანთა შორის ჭარბობს ხორბლისა და სხვა სათესი მარცვლოვნების მტვერი. კარგადაა წარმოდგენილი ნათესების, ბაღებისა და ვენახების სარეველა მცენარეთა მტვრის მარცვლები (სურ. 58). უხვადაა ადამიანის საცხოვრებლის ირგვლივ არსებული სარეველები: ფარსმანდუკი, ჭინჭარი, მრავალძარღვა და სხვ. აღინიშნება ტყის გვიმრების სპორები. არაპალინოლოგიური ნაშთების ჯგუფში განხილულ ჭურჭელში უხვადაა მარცვლოვანთა სახამებელი და ხის მერქნის დამწვარი უჯრედები. ცოტაა სოკო გლომუსისა და სორდარიას სპორები. ასევე მცირე რაოდენობითაა სელისა და განუსაზღვრელი ქსოვილის ბოჭკო. არის ტკიპებისა და მტკნარი წყლის წყალმცენარე სპიროვირა (სურ. 59).

№2 ჭურჭლის შიგთავსი არც ისე მდიდარია პალინომორფებით. მცენარეთა შორის ნაპოვნია ფიტვის, მუხის, კაკლის, რცხილის, თელის, ასკილისა და ვაზის ერთეული მტვრის მარცვლები. ბალახოვანთა ჯგუფში აქაც ბევრია სათესი და ველური მარცვლოვნები. განსაზღვრულია ხორბალი (*Triticum*). უხვადაა ნათესების სარეველათა მტვრის რაოდენობა, მათ შორისაა: მათიტელა, ნაცარქათამა, ხვართელა, ნარშავი. ეზოს სარეველათაგან აღინიშნება მრავალძარღვა, ფარსმანდუკი და ავშანი. რაც შეეხება ტყის გვიმრების სპორებს, აქ ნაპოვნია გვიმრა გველის ენის სულ რამდენიმე სპორა. არაპალინოლოგიური ნაშთების ჯგუფში დომინირებს მარცვლოვნების ფიტოლიტები და მათი სახამებელი. ბევრია აგრეთვე ხის მერქნის დამწვარი უჯრედები, მწერების ბუსუსები. ცოტაა სოკოს სპორები, სელის ქსოვილის ბოჭკო და წყალმცენარე სპიროვირას ნაშთი.

ჭურჭელი №3. მის შიგთავსში ჭარბობს ფიტვისა და სოჭის მტვრის მარცვლების რაოდენობა. კარგადაა წარმოდგენილი აგრეთვე რცხილისა და მუხის მტვრის შემადგენლობა. ცოტაა მუხის, მურყნის და თხილის მტვრის მარცვლები. ბალახოვანთა შო-

რის დომინირებს ნათესების სარეველათა მტვერი. ნაპოვნია აგრეთვე სათესი მარცვლოვნების მტვერი. არის ნათესებისა და ეზოს სარეველებიც. არაპალინოლოგიურ ჯგუფში აქაც დომინირებს მარცვლოვნების სახამებელი და მათი ფიტოლიტები. ცოტაა ხის მერქნის დამწვარი უჯრედები და სელის ქსოვილის ბოჭკო. რაც შეეხება სოკოს სპორებს, მათში ნაპოვნია გლომუსი სორდარია და სხვა განუსაზღვრელი სოკოს სპორები, მათი შემადგენლობა საკმაოდ დიდია. მცირე რაოდენობითაა აგრეთვე წყალმცენარეთა ნაშთები.

მენჯის არეში აღებული სინჯი ასევე საკმაოდ მდიდარია, როგორც მცენარეთა მტვრით, ისე არაპალინოლოგიური ნაშთებით. ხემცენარეთა შორის ჭარბობს წიწვოვნები, მათ შორისაა ფიტვი, ნაძვი და სოჭი. ნაკლები მნიშვნელობა აქვს მუხის, რცხილის, ცაცხვის, თელის, თხილისა და ვაზის მტვრის მარცვლებს. ბალახოვანთა ჯგუფში ბევრია კულტურული მარცვლოვნებისა და სხვა საკვებ მცენარეთა მტვერი. დომინირებს წიწვიბურა (*Fagopyrum*). აღინიშნება ტყის გვიმრების სპორები. არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის დომინირებს მარცვლოვნების სახამებელი. არის მარცვლოვნების ფიტოლიტებიც. საკმაოდ ბევრია სელის ქსოვილის ბოჭკო, ასევე მწერებისა და ტკიპების მიკროსკოპული ნაშთები და მათი ეპიდერმისი. ეს იმას ნიშნავს, რომ მიცვალებული დაკრძალეს ზაფხულის პერიოდში, როდესაც მწერებისა და ტკიპების გამრავლების აქტიური ფაზაა.

დოღლაური 3, სამარხი №12. განხილული სამარხიდან შესწავლილია ოთხი ჭურჭლის შიგთავსის მასალა, ასევე სინჯი აღებულია მიცვალებულის თავის ქალას ქვეშ და მუცლის არეში. თითქმის ყველა სინჯში აღინიშნება მტვრის მარცვლების დიდი რაოდენობა. №1 ჭურჭელში ჭარბობს წიწვოვნების მტვერი. აღინიშნება აგრეთვე მუხის, წიფლის, კაკლის, რცხილის, ცაცხვის, თხილისა და ვაზის მტვრის მარცვლები. ბალახოვანთა შორის ბევრია წიწვიბურას და მარცვლოვნების მტვრის რაოდენობა. ნაპოვნია ნათესებისა და ეზოს სარეველები. ტყის გვიმრების სპორები ცოტაა. არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის დომინირებს სახამებელი და სოკოს სპორები, ცოტაა

ხის მერქნის უჯრედები და ფიტოლიტები. მცირე რაოდენობითაა აგრეთვე ზოოლოგიური მასალა და წყალმცენარეები.

ჭურჭელი №2. მასში ასევე ნაპოვნია ფიჭვის, ნაძვის, წაბლის, მურყნის მტვრის მარცვლები. ბალახოვანთა შორის ბევრია წიწიბურას, სათესი მარცვლოვნებისა და მათი სარეველას მტვრის შემადგენლობა. ნაპოვნია აგრეთვე ეზოს სარეველა მცენარეები, რომელთაგანაც ზოგიერთი სამკურნალოა. არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის აქაც ტარბობს სახამებელი და სოკოს სპორები. არცთუ ისე ცოტაა სელის ქსოვილის ბოჭკო, ხის მერქნის უჯრედები და ფიტოლიტები. ბევრია აგრეთვე ტკიპების ბუსუსები და კლანჭისებური ტერფები. მცირე რაოდენობითაა წყალმცენარე სპიროვირია.

ჭურჭელი №3. მის შიგთავსში ხემცენარეთაგან აღმოჩენილია ნაძვის, ფიჭვის, მურყნის, რცხილის, ცაცხვის, თელის, თხილისა და ვაზის მტვერი. ბალახოვანთა ჯგუფი წარმოდგენილია სათესი მარცვლოვნებითა და ნათესებში არსებული სარეველა მცენარეებით. აღინიშნება ასევე ადამიანის საცხოვრებლის ირგვლივ არსებული სარეველები. არაპალინოლოგიურ ჯგუფში განსაკუთრებით ბევრია სოკოს სპორები. მაქსიმალურ რაოდენობას აქ აღწევს სოკო გლომუსის სპორების რაოდენობა. ასევე კარგადაა წარმოდგენილი ხის მერქნის უჯრედები, მცენარეთა ეპიდერმისი და სელის ქსოვილის ბოჭკო. ბევრია აგრეთვე ტკიპებისა და მწერების მიკროსკოპული ნაშთები.

ჭურჭელი №4. ამ ჭურჭელში მტვრის მარცვლების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ზემოთ განხილულ ჭურჭლებში. ხემცენარეთა ჯგუფში დაფიქსირდა ფიჭვის, არყის, მუხის, რცხილის, წაბლის, თხილისა და ვაზის მტვრის მარცვლების მცირე რაოდენობა. ბალახოვნების ჯგუფი უფრო კარგადაა წარმოდგენილი, როგორც რაოდენობრივად, ისე ტაქსონომიური შემადგენლობით. ბევრია სათესი მარცვლოვნებისა და ნათესების სარეველები. აქ ნაპოვნია წყალმცენარეთა მტვერი. ასევე საკმაოდ უხვადაა ტყის გვიმრების სპორები. არაპალინოლოგიურ ჯგუფში ბევრია სახამებელი. კარგადაა წარმოდგენი-

ლი სოკოს სპორები, სელის ქსოვილის ბოჭკო და ფიტოლიტები, ხოლო ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები - მცირე რაოდენობით. ცოტაა აგრეთვე ტკიპების მიკროსკოპული ნაშთები.

მიცვალებულის თავის ქალასთან აღებულ სინჯში ხემცენარეთა შორის განისაზღვრა ნაძვის, ფიჭვის, მუხის, რცხილის, ჯაგრცხილის, თელისა და ვაზის მტვრის მარცვლები. ბალახოვნებს შორის ტარბობს ადამიანის საცხოვრებლის ირგვლივ გავრცელებული სარეველების მტვერი. განსაკუთრებით ბევრია ვარდკაჭაჭას, მრავალძარღვას, ფარსმანდუკის, ასტრას და სხვა ბალახოვანთა მტვერი. არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ბევრია სახამებელი და სოკოს სპორების რაოდენობა. კარგადაა წარმოდგენილი აგრეთვე ხის მერქნის უჯრედები, ტკიპებისა და მწერების მიკროსკოპული ნაშთები. არის ძვლის მარილის კრისტალები. ცოტაა სელისა და ბამბის ქსოვილის ბოჭკო. განსაზღვრულია აგრეთვე ფიჭვის ხის მერქნის უჯრედები.

ჩონჩხის მუცლის არეში აღებულ ნიმუშში ხემცენარეთა შორის განსაზღვრულია ფიჭვის, ნაძვის, ცაცხვის, ძელქვას მტვერი. ბალახოვნების ჯგუფი წარმოდგენილია ვარდკაჭაჭას, ნარშავის, ნაცარქათამას, წიწიბურას, ფარსმანდუკის, მათიტელას, მრავალძარღვასა და სხვა მცენარეთა მტვრით. არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ბევრია სახამებელი და ტკიპების ნაშთები. აღინიშნება ასევე სოკო გლომუსის, სორდარიას და ობის სოკოს მუკორაციას სპორები. ხის მერქნის უჯრედები, სელის ქსოვილის ბოჭკო და მცენარეთა ეპიდერმისი კარგადაა წარმოდგენილი. ცოტაა ფიტოლიტებისა და წყალმცენარეების ნაშთები. მხოლოდ ამ სინჯშია ნაპოვნი პარაზიტული ჭიის კვერცხები (*Diphyllobothrium*). იგი უჩნდება მხოლოდ თევზს და მიცვალებულის მუცელში სავარაუდოდ მოხვდებოდა იმ თევზთან ერთად, რომელიც გარდაცვალებამდე შეჭამა.

როგორც ვხედავთ, მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდში იმდროინდელი მოსახლეობა მჭიდროდ იყო დასახლებული როგორც მესხეთ-ჯავახეთში, ისე ქვემო და შიდა ქართლში. იგი მისდევდა მიწათმოქმედებას, რასაც იმდროინდელი თბილი და ნოტიო კლიმატი ხელს უწყობდა.

ადრეყორღანული კულტურის ძეგლები

კოდანის ყორღანი. მდებარეობს ბაკურიანის სამხრეთ-დასავლეთით, სოფლების საკირესა და ციხიადირს შორის. ყორღანის ზომები არცთუ ისე დიდია. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 2289 მეტრია. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ყორღანი ძვ.წ. 27-25 საუკუნეებით თარიღდება (Gambashidze and Gogochuri. 2004). ყორღანში ნაპოვნია 50 წლის ქალის ჩონჩხი. ყორღანის აღმოჩენის ადგილზე დღეს იზრდება სუბალპური ტიპის ბალახოვნები, ღრმა ხეობებში კი ვრცელდება კავკასიური როდოდენდრონის ბუჩქები და სუბალპური ტანბრეცი ხემცენარეები. თანამედროვე კლიმატური პირობები მაღალმთის ამ ნაწილში დღეს საკმაოდ მკაცრია.

ყორღანიდან სულ აღებული და პალინოლოგიურად შესწავლილია 18 ნიმუში, რომლებიც აღებულია დასაკრძალავი კამერის იატაკიდან, ჭურჭლებიდან და განამარხებული ნიადაგიდან. დიდ ინტერესს წარმოადგენს სამი ჭურჭლის შიგთავსის პალინოლოგიური სპექტრები. ორი მათგანი იყო თიხის, ხოლო ერთი - ხის. აღსანიშნავია, რომ ჭურჭლიდან მოპოვებულ მასალაში ნაპოვნია ძალიან დიდი რაოდენობის მცენარეთა მტვერი და მათი თითქმის 90% ეკუთვნოდა თაფლოვან მცენარეებს (ცხრილი 2; სურ. 60,61). სპექტრში დომინირებს ვარდოსნების ოჯახის წარმომადგენლები: *Fragaria*, *Filipendula ulmaria* და სხვ. ბევრია ქოლგოსნები. ხემცენარეთა შორის პირველ ჭურჭელში ჭარბობს ცაცხვის (*Tilia*) მტვრის რაოდენობა. აღინიშნება ასევე *Rubus*, *Sorbus*, *Pirus*, *Prunus*, *Evonimus*, *Rosa*, *Rosa canina*. მეორე ჭურჭელში დომინირებდა მდელოს სხვადასხვა თაფლოვანი ბალახოვნების მტვერი. რაც შეეხება მესამე ჭურჭელს, აქ დიდი უპირატესობა აქვს მარცვლოვნებს (Poaceae). უნდა აღინიშნოს, რომ სამივე ჭურჭელში თაფლოვან მცენარეთა გარდა აღმოჩენილია ფუტკრის ბუსუსები (სურ. 60,61,62), მათი კლანჭისებური ტერფები და ეპიდერმისი. პალინოლოგიურ სპექტრში გვხვდება აგრეთვე სოჭის (*Abies nordmanniana*), ნაძვის (*Picea orientalis*), ფიჭვის (*Pinus*), არყის (*Betula*), წიფ-

ლის (*Fagus orientalis*), მურყნის (*Alnus*), რცხილის (*Carpinus betulus*), მუხის (*Quercus*), წაბლის (*Castanea sativa*), ტირიფის (*Salix*), ნეკერჩხლის (*Acer*), თხილის (*Corylus*) მტვრის მარცვლები. გარდა ამისა, ნაპოვნია ტყის გვიმრების სპორებიც (Kvavadze et al. 2004a; Kvavadze 2006; Kvavadze et al. 2007a).

განამარხებული ნიადაგის სპექტრი სულ სხვა სურათს გვაძლევს. აქ ჭარბობს წიწვოვანების მცენარეთა მტვერი, განსაკუთრებით ფიჭვის. ფოთლოვანი ტაქსონები აღინიშნება მცირე რაოდენობით (ცხრილი 2). ესენია: წიფელი, მურყანი, რცხილა, მუხა, ცაცხვი, თხილი და ეთედრა. ბალახოვნებიდან ნიადაგში ბევრია Cichorioideae, *Aster*, *Polygonum*, Caryophyllaceae. უხვადაა აგრეთვე წარმოდგენილი ტყის გვიმრების სპორები. ესენია: *Polypodium vulgare*, *Ophioglossum vulgatum*, *Cryptogramma crista*, *Botrychium lunaria*. როგორც ჭურჭლის ნიმუშებში, ისე განამარხებულ ნიადაგში, აღმოჩენილია სათესი მარცვლოვნები. განსაზღვრულია ქერი, ხორბალი, შვრია და ჭვავი. ბევრია აგრეთვე ხორბლის ნათესების სარეველები. ნაპოვნია ადამიანის ემოში, გზის პირას და სანაგვეებზე არსებულ სარეველა მცენარეთა მტვერი. პალინოლოგიურ სპექტრში გვხვდება აგრეთვე ძოვის არსებობის ინდიკატორები. ეს იმ მცენარეთა მტვერია, რომლებსაც ცხოველი ვერ ჭამს მისი ეკლიანობის ან შხამიანობის გამო.

შედარებისთვის გამოკვლეულია აგრეთვე თანამედროვე თაფლი, რომელიც ადგილობრივმა მეფუტკრეებმა გადმოგვცეს (ცხრილი 2). დღევანდელი თაფლის პალინოლოგიური სპექტრი არსებითად განსხვავდება განამარხებული თაფლისგან. ეს არის მდელოს თაფლი, რომელშიც აღინიშნება იელის (*Rhododendron*) მტვერი, ქოლგოსნები (Lamiaceae), ღიღილო (*Centaurea*), ბაია (*Ranunculus*) და სხვა ბალახოვნები. კარგადაა წარმოდგენილი *Helianthemum*, *Symphytum*, *Prunella*, *Knautia arvensis*, *Papaver*. ტყის გვიმრების სპორები აქ თითქმის არ აღინიშნება.

მაშასადამე, პალინოლოგიური სპექტრები აჩვენებს, რომ ძვ.წ. 27-25 საუკუნეებში განხილული რეგიონი დაფარული იყო ტყით, სადაც უხვად ხარობდა ცაცხვი, წიფელი, წაბლი. მთის უფრო მაღალ ფერდობებზე, წიწვოვნების ტყეში ჭარბობდა ფიჭვი და სოჭი. ნაძვი იზრდებოდა როგორც მინარევი. სპექტრებმა აგრეთვე აჩვენა, რომ იმ დროს კარგად იყო განვითარებული მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და მეფუტკრეობა.

თავად ფაქტი, რომ მიცვალებული იყო ქალი და მას სამივე ჭურჭლით სხვადასხვანაირი უმაღლესი ხარისხის თაფლი ჩაატანეს, შესაძლოა მეტყველებდეს შემდეგზე: სწორედ ქალები იყვნენ პირველი მეფუტკრეები, რომლებიც შემგროვებლობის გარდა ფუტკრის მოშენებასაც მისდევდნენ.

ფარავნის ყორღანი. აქ გათხრები დაწყებულია 2003-2004 წლებში და ყორღნის ყველა ორგანული ნაშთი გადაცემულია პალინოლოგიურ ლაბორატორიაში. 2007 წლიდან დღემდე არქეოლოგიური ექსპედიცია განაგრძობს გათხრებს ნინო პატარიძისა და კახა კახიანის ხელმძღვანელობით. მოპოვებული ახალი მასალა ისევ შემოდის საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალინოლოგიურ ლაბორატორიაში, სადაც მისი კვლევა მიმდინარეობს. დადგენილია აგრეთვე ფარავნის ყორღნის არსებობის აბსოლუტური ასაკი, რომელიც რადიოკარბონული ანალიზის მიხედვით ძვ.წ. 27-26 საუკუნეებით თარიღდება (Kakhiani et al 2018).

ფარავნის ყორღანი მდებარეობს ფარავნის ტბის მახლობლად (800 მ დაშორებით), მისი აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან არის 2100 მ., კოორდინატები კი 41 29 25 N; 43 36 36 E. დღევანდელი კლიმატური პირობები აქ საკმაოდ მკაცრია, წლიური საშუალო ტემპერატურა არ აღემატება 2-6 გრადუსს. წლიური ნალექების რაოდენობა კი 650-700 მმ.-ს შეადგენს (Lominadze and Chiraqadze 1971).

ყორღანი საკმაოდ დიდი ზომისაა, მისი დიამეტრი 28,50 მეტრს აღწევს, სიმაღლე კი 2,50 მეტრია. პალინოლოგიური კვლევისთვის შეირჩა კამერიდან აღებული ორგანული ნაშთის 15 სინჯი, ასე-

ვე განამარხებული, იმდროინდელი ნიადაგიდან მოპოვებული 7 ნიმუში. მასალა უაღრესად მდიდარი აღმოჩნდა როგორც მცენარეთა მტვრისა და სპორების შემადგენლობით, ისე არაპალინოლოგიური ხასიათის ნაშთების რაოდენობითა და მათი ტაქსონომიური შემადგენლობით. მაგალითად, გამოირკვა, რომ კამერის ხის კონსტრუქციებისა და სარიტუალო ეტლის ხის მასალად გამოუყენებიათ ფიჭვის, მუხისა და ღვიის ხის მერქანი, რაც მათი პარენქიმული უჯრედების არსებობით გამოვლინდა. ეტლზე, სადაც მიცვალებული დაასვენეს და დაკრძალეს, ცხოველის ტყავი ყოფილა დაფენილი. ამის დასტური კი, გარდა ცხოველის ბეწვისა, არის ხოჭო ტყავიჭამიას მატლის ბუსუსები. იმ ხოჭოსი, რომელმაც გაანადგურა დაფენილი ტყავი, ანუ შეჭამა (Kvavadze and Kakhiani 2010).

კედლებსა და იატაკზე სელის ხალიჩები უნდა ყოფილიყო, რადგან იქ სელის ქსოვილის უამრავი ბოჭკოა აღმოჩენილი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იატაკზე სელის ქსოვილის მაკროსკოპული ძაფების ნაშთი ისედაც კარგად ჩანდა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თავად ეტლი მორთული იყო კურდღლისფრჩხილას (*Lotus*) და ასტრას (*Aster*) ლამაზი ყვავილებით (Kvavadze et al. 2007b).

მცენარეთა მტვრის კომპლექსის მიხედვით ირკვევა, რომ ფარავნის ყორღნისა და ტბის გარშემო არსებობდა ფოთლოვანი ტყის ფრაგმენტები, სადაც ხარობდა მუხა (*Quercus*), წიფელი (*Fagus orientalis*), თელა (*Ulmus*), ცაცხვი (*Tilia*), რცხილა (*Carpinus betulus*), ჯაგრცხილა (*Carpinus orientalis*), ძელქვა (*Zelkova carpinifolia*), ტირიფი (*Salix*), მურყანი (*Alnus*). იქვე, ქვეტყეში კი - თხილი (*Corylus*) და ბზაც (*Buxus*). ფოთლოვანი ტყის არსებობას ამტკიცებს ასევე ტყის გვიმრების სპორების აღმოჩენა და განსაკუთრებით კი გვიმრა გველის ენა (*Ophoglossum vulgatum*). ახლომდებარე მთის უფრო მაღალ კალთებზე ფიჭვისა (*Pinus*) და არყის ტყე იყო გავრცელებული. როგორც მინარევი, სოჭი და ნაძვი ვრცელდებოდა.

ბალახოვან მცენარეთა შორის საკმაოდ დიდი ნაწილი უკავია სათეს მარცვლოვნებსა და ხორბლის ყანების სარეველათა მტვერს. განსაკუთ-

ცხრილი 2. კოდიანის ყორღანი. ჭურჭელში, განამარხებულ ნიადაგსა და თანამედროვე თაფლში აღ-
მოჩენილი მტვრის მარცვლებისა და სპორების რაოდენობა

ნიმუშები	1	2	3	4	5
	ჭურ. 1	ჭურ. 2	ჭურ. 3	თანამედროვე თაფლი	განამარხებული ნიადაგი
<i>Abies nordmanniana</i>	1	13	3		5
<i>Picea orientalis</i>	1	5	2		3
<i>Pinus</i>	3	23	16	1	55
<i>Betula</i>		1	1		
<i>Fagus orientalis</i>		1	1		
<i>Alnus</i>			1		1
<i>Carpinus</i>	1	1	2	1	2
<i>Quercus</i>	1	2	1	1	5
<i>Tilia cordata</i>	39	3	1	1	2
<i>Castanea sativa</i>	1	1			
<i>Salix</i>	1	2			
<i>Rubus</i>	13	3	7		
<i>Sorbus</i>	1	4	6	7	
<i>Pyrus</i>	3	4			
<i>Prunus</i>		4			
<i>Evonimus</i>	1				
<i>Acer</i>		1			
<i>Corylus</i>	2	5			3
<i>Rosa canina</i>		4			
<i>Rosa sp.</i>	4530	5640	8275	3	
Rosaceae	15060	21820	20540	28	
<i>Ephedra procera</i>					2
<i>Rhododendron caucasica</i>				15	
Total AP sum	19658	27537	28856	57	78
Cerealia	4	5	7		1
<i>Triticum</i>	2	3	4		
<i>Avena</i>			2		
<i>Secale</i>	1		2		
<i>Hordeum</i>	1	3	7		
Poaceae	7	28	123	2	5
<i>Chenopodium</i>	1	1		1	2
<i>Chenopodium album</i>		2			
<i>Filipendula ulmaria</i>	22500	27845	30680	5	

<i>Fragaria</i>	6012	11050	7806	7	
Apiaceae	32	38	20	155	
<i>Astrancia maxima</i>	7	17	16		
<i>Heracleum</i>	9	5	2	2	
<i>Turgenia</i>			1		
<i>Echinops</i>			2		
<i>Aster</i>	4	1	5	1	6
<i>Achillea</i>	2	2	2		
<i>Taraxacum</i>	2	1	1	3	1
<i>Cichorium</i>	1	1	2	7	14
<i>Cirsium</i>	1	1	1	3	
<i>Carduus</i>	1	2	13	21	
<i>Fagopyrum</i>	1				
<i>Centaurea cyanus</i>		1		1	
<i>Centaurea montana</i>			1	1	
<i>Centaurea</i>	4	3	10	68	
<i>Polygonum</i>	2	1	12	1	18
<i>Polygonum viviparum</i>	1	4	4		1
<i>Serratula</i>	2				
<i>Jurinea</i>	3	1	1	1	
<i>Valeriana</i>			1		
<i>Chamaenerium</i>			1		
<i>Polygonum bistorta</i>			2	2	
<i>Polygonum alpestre</i>		1			
<i>Ranunculus</i>	1	4	4	6	1
Boraginaceae	6	4	4	5	2
<i>Helianthemum</i>	5	2	1	15	
<i>Saxifraga</i>					7
<i>Papaver</i>				9	
<i>Malva</i>				1	
<i>Armeria</i>		1		3	
Caryophyllaceae		2			11
<i>Cerastium</i>	1				
<i>Colchicum speciosum</i>	9	2	2		
Liliaceae	16	2	2		
<i>Epilobium</i>			1	1	
<i>Campanula</i>				2	
<i>Symphytum</i>				16	
<i>Knautia arvensis</i>				35	

<i>Scabiosa</i>				2	
<i>Prunella</i>				21	
<i>Viola</i>				1	
<i>Rumex</i>		6	1		
<i>Primula</i>	2	1	1		
<i>Lotus</i>		6	1		
Undiff. NAP	5	12	8	19	12
Polypodiaceae		17	5	5	210
<i>Polypodium vulgare</i>	1		2		2
<i>Ophioglossum vulgatum</i>			1		3
<i>Cryptogramma crispa</i>		3	3		20
<i>Botrychium lunaria</i>	2	1	5		30
<i>Lycopodium</i>					1
<i>Sphagnum</i>					2
Total NAP sum	28648	39079	38769	422	349
Pteridophytes	3	21	16	5	266
Total pollen sum	48309	66637	67641	484	693

რებით ეს შეიმჩნევა განამარხებული ნიადაგის სპექტრში. პალინოლოგიური მონაცემების თანახმად, ხორბლის (*Triticum*) გარდა ითესებოდა ქერი (*Hordeum*), ფეტვი (*Panicum*) და ჭვავი (*Secale*). მოჰყავდათ აგრეთვე სელი (*Linum*). ამ დროს მეზღვრობაც უნდა ყოფილიყო განვითარებული. ბაღებში კაკალი (*Juglans regia*) და თხილი (*Corylus*) იზრდებოდა (სურ. ნ3). ხელსაფეხვაგში ნაპოვნი ჩვეულებრივი ვაზის (*Vitis vinifera*) მტვერი დასტურია იმისა, რომ ფარავნის ტბის მიდამოებში ვაზსაც ამენებდნენ. ზოგადად, განხილულ რეგიონში, მტკვარ-არაქსული კულტურის დროს, დღევანდელთან შედარებით, მიწათმოქმედებას საკმაოდ დიდი როლი ენიჭებოდა. ცნობილია, რომ მკაცრი კლიმატური პირობების გამო დღეს მთელ ჯავახეთში ადამიანის საქმიანობაში წამყვანი როლი უკავია მესაქონლეობას. რა თქმა უნდა, ადრე ბრინჯაოს ეპოქაში ჯავახეთის მაღალ სიმაღლეებზე მესაქონლეობაც არსებობდა. პალინოლოგიურ სპექტრში ამის კარგი არგუმენტია ნაკელის სოკოს სპორები (*Sordaria*, *Neurospora*, *Sporormiella*, *Chaetomium*). ეს სოკოებია მცონხელთა ნაკელზე იზრდება.

უმაღლეს მცენარეთა დიდი ტაქსონომიური სია გამოსადეგია არა მარტო მცენარეთა აღსადგენად. მცენარეები და მათი ეკოლოგია კლიმატური პირობების რეკონსტრუქციის საშუალებასაც იძლევა. ისეთი ფართოფოთლოვანი ჯიშები, როგორცაა, მაგალითად, ცაცხვი, რცხილა, ძელქვა, ჯაგრცხილა, თელა, ვერანაირად ვერ ვრცელდება მკაცრ კლიმატურ პირობებში. ვერც მეზღვრობა იქნება იქ, სადაც კაკალი და თხილი გაიხარებდა. ეს და მიწათმოქმედების არსებობის სხვა ფაქტებით დასტურდება, რომ ძვ.წ. 27-26 საუკუნეებში ჯავახეთში უფრო თბილი კლიმატური პირობები უნდა ყოფილიყო. ისლიანების მტვრის მონაწილეობა პალინოლოგიურ სპექტრში, ისეთი სოკოს საკმაოდ დიდი რაოდენობა, როგორცაა ხავსებში არსებული სოკო გეოგლომუსი (*Geoglossum sphagnophilum*), თავად ხავსების ნაშთები, ტესტატური ამება არცელას (*Arcella*) არსებობა, რომელიც აგრეთვე სველ ხავსებში ბინადრობს, მიუთითებს, რომ ფარავნის ყორღნის მიდამოებში ჭაობებიც უნდა ყოფილიყო. კვლევამ აგრეთვე აჩვენა, რომ ხავსით დაფარული იყო აგრეთვე ყორღნის ქვაყრილის ყველა

დიდი ზომის ქვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ რეგიონში უფრო მეტი ნალექი მოდიოდა იმ დროს, ვიდრე დღეს, ანუ კლიმატი უფრო ნოტიო იყო.

არქეოლოგიური ძეგლიდან მოპოვებულ ველურ მცენარეთა პალინოლოგიური სპექტრი თითქმის ანალოგიურია ფარავნის ფსკერის დანალექი თიხების პალინოლოგიური სპექტრებისა (Messenger et al. 2013). როგორც ვხედავთ, ტბის სპექტრშიც ბევრია ფოთლოვანი მცენარეთა მტვერი, რაც ადასტურებს ფოთლოვანი ტყის არსებობას (ცხრილი 3). ამასთანავე, ტბაში არ დაფიქსირდა ტყის გვიმრები, რაც აიხსნება იმით, რომ მათი სპორები დიდ მანძილზე ვერ ვრცელდება. ტბის პალინოლოგიურ სპექტრებში ასევე სუსტად ან საერთოდ ვერ აისახა ადამიანის სამეურნეო საქმიანობის კვალი. აქ ნაპოვნია მხოლოდ ერთეული სათესი მარცვლოვნების მტვერი. საერთოდ არ არის ხორბლის ყანების სარეველები და ადამიანის საცხოვრებელთან გავრცელებული სარეველები, რომლებიც უხვდაა არქეოლოგიურ მასალაში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, ზოგადად, არქეოლოგიურ მასალაში განისაზღვრა მცენარეთა 87 ტაქსონი, ტბის დანალექებში კი – მხოლოდ 51. ნიადაგის პროფილის მასალამაც აჩვენა დიდი უპირატესობა ტბის სპექტრებთან შედარებით, რადგან ნიადაგში განისაზღვრა 71 უმაღლესი მცენარის ტაქსონი (ცხრილი 3).

თოფიოლას ყორღანი. მდებარეობს სოფელ ტაბაწყურის სამხრეთით და მისი აბსოლუტური სიმაღლე 2000 მეტრია (Gambashidze 2004; Kvaavadze 2004b). ყორღანი გაითხარა 2003 წელს არქეოლოგ ირინა ღამბაშიძის ხელმძღვანელობით. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ყორღანი თარიღდება ადრეყორღანული კულტურის ეპოქით, ისევე როგორც ფარავნის ყორღანი, ანუ ძვ.წ. 27-26 საუკუნეებით. პალინოლოგიური კვლევა ჩატარდა ყორღანის იატაკზე არსებული დიდი ზომის ლაქიდან აღებული ორ ნიმუშიდან. მათი პალინოლოგიური სპექტრი სრულად იდენტური აღმოჩნდა, სადაც ჭარბობს ტყის გვიმრების სპორები. განსაზღვრულია კილამურას (*Polypodium vulgare*), გველის ენის (*Ophioglossum vulgatum*), მარგალიტას (*Botrychium lunaria*), კრიპტოგრამას (*Cryptogramma crista*), ჩადუნას

(*Dryopteris*) სპორები (სურ. 64). ჩამოთვლილი გვიმრებიდან უმეტესობა იზრდება ფოთლოვან ტყეში, ხოლო გვიმრა მარგალიტა საქართველოში დამახასიათებელია ნოტიო კლიმატური რეგიონების წიწვოვანი ტყეებისთვის. ზოგჯერ ვრცელდება სუბალპური მდელოების ბუჩქნარებში (Fischer et al. 2018). გვიმრა კრიპტოგრამა ვრცელდება ასევე მაღალმთის კლდოვან ფერდობებზე (Fischer et al. 2018).

ამასთანავე, ხემცენარეთა ჯგუფში, ისევე როგორც ფარავნის ყორღანის მასალაში, ჭარბობს წიწვოვნების მტვრის მარცვლების რაოდენობა. ესენია: ფიჭვი (*Pinus*), სოჭი (*Abies*) და ნაძვი (*Picea*). მცირე რაოდენობითაა მუხის (*Quercus*), ჯორისძუას (*Ephedra*) და თხილის (*Corylus*) მტვრის მარცვლები (სურ. 65). ბალახოვანთა შორის დომინირებს მათიტელას (*Polygonum*) მტვრის შემადგენლობა. აღინიშნება ბაიას (*Ranunculus*), ქოლგოსნების (*Apiaceae*), ისლიანების (*Cyperaceae*), კატაბალახას (*Valeriana*), მჟაუნას (*Rumex*), ავშნის (*Artemisia*), მიხაკისნაირების (*Caryophyllaceae*), ფარსმანდუკის (*Achillea*), ასტრას (*Aster*), მრავალძარღვას (*Plantago*), ნარშავის (*Carduus*), ყაყაჩოს (*Papaver*), ვარდკაჭაჭასნაირებისა (*Cichorioideae*) და პარკოსნების (*Fabaceae*) მტვერი.

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ჭარბობს ბალახოვანთა ფიტოლიტები. არის ხავსების მიკროსკოპული ნაშთები, ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები, სოკოს სპორები, ტკიპებისა და მწერების ბუსუსები და კლანჭისებური ტერფები. მასალაში ნაპოვნია სელისა და შალის ქსოვილის ბოჭკო, მათ შორის შეღებილი სელიც. მცირე რაოდენობითაა მტკნარი წყლის წყალმცენარე *Botryococcus*, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა იმ დროს ტაბაწყურის ტბის დონე უფრო მაღალი იყო და მისი ნაპირები ყორღანიდან არცთუ ისე შორს მდებარეობდა.

ცხრილი. 3. ფარავნის ყორღნის არქეოლოგიურ მასალაში, განამარხებულ ნიადაგსა და ტბიურ ნალექებში ტაქსონების რაოდენობრივი შედარება

ტაქსონები	განამარხებული ნიადაგი	არქეოლოგიური მასალა	ტბიური ნალექები (Messenger et al. 2013)
<i>Abies nordmanniana</i>	×	×	×
<i>Picea orientalis</i>	×	×	×
<i>Pinus</i>	×	×	×
<i>Juniperus</i>	×	×	×
<i>Acer</i>			×
<i>Ephedra</i>	×		
<i>Ephedra fragilis</i>		×	
<i>Ephedra procera</i>		×	
<i>Ephedra distachia</i> -type			×
<i>Betula</i>	×	×	×
<i>Alnus</i>	×	×	×
<i>Alnus barbata</i>		×	
<i>Fagus orientalis</i>	×	×	×
<i>Carpinus cf. C. betulus</i>	×	×	×
<i>Carpinus orientalis</i>	×	×	×
<i>Ostrya carpinifolia</i>		×	×
<i>Quercus</i>	×	×	
<i>Quercus ilex</i> -type			×
<i>Quercus deciduous</i> -type			×
<i>Tilia</i>	×		×
<i>Tilia cordata</i> -type		×	
<i>Castanea sativa</i>			×
<i>Ulmus</i>	×	×	×
<i>Zelkova carpinifolia</i>		×	×
<i>Fraxinus</i>	×		
<i>Fraxinus excelsior</i> -type			×
<i>Juglans regia</i>	×		×
<i>Corylus</i>	×	×	×
Rosaceae undiff.		×	
<i>Buxus</i>		×	
<i>Rhus</i>		×	
<i>Salix</i>		×	
Total AP taxa sum	16	22	20
Cerealialia	×	×	×

Cerealia-type			×
<i>Triticum</i>	×	×	
<i>Panicum</i>		×	
<i>Secale</i>	×		
<i>Hordeum</i>	×	×	
Poaceae	×	×	×
<i>Centaurea cf. C. cyanus</i>	×	×	
<i>Centaurea</i>	×	×	×
<i>Centaurea montana</i> -type		×	
<i>Centaurea nigra</i> -type		×	
<i>Carduus</i>	×	×	
<i>Chenopodium album</i>	×	×	
Chenopodiaceae	×	×	×
<i>Polygonum</i>	×	×	×
<i>Polygonum aviculare</i>	×	×	
<i>Polygonum bistorta/P. viviparum</i>	×	×	
<i>Polygonum cf. P. persicaria</i>	×	×	
<i>Polygonum alpestre</i> -type		×	
<i>Convolvulus</i>	×	×	
<i>Fagopyrum</i>	×	×	
<i>Plumbago</i>		×	
Lamiaceae		×	×
Gentianaceae			×
<i>Artemisia</i>	×	×	×
<i>Achillea</i>	×	×	
<i>Urtica</i>	×		
<i>Xanthium</i>	×	×	
<i>Plantago</i>			×
<i>Plantago cf. P. lanceolata</i>	×		
<i>Plantago major/P. media</i>	×	×	
Cichorioideae	×	×	×
<i>Cirsium</i>	×		
<i>Rumex</i>	×	×	
<i>Linum</i>		×	
<i>Papaver</i>	×	×	
<i>Filipendula</i> -type		×	
Caryophyllaceae	×	×	×
<i>Serratula</i>	×	×	
<i>Saxifraga</i>	×	×	
Polemoniaceae	×		
<i>Polemonium</i> -type		×	
Asteraceae			×
<i>Aster</i>	×	×	
<i>Cerastium</i> -type		×	

<i>Helianthemum</i>	×	×	
<i>Astrantia</i>	×	×	
<i>Heracleum</i> -type		×	
<i>Lotus</i> -type		×	
<i>Onosma</i> -type	×		
Geraniaceae			×
<i>Geranium</i>	×	×	
Ranunculaceae	×		×
<i>Ranunculus</i> -type		×	
Rubiaceae			×
Scrophulariaceae			×
<i>Hypericum perforatum</i> -type		×	
Boraginaceae	×	×	
<i>Smyrniun</i> -type		×	
Apiaceae	×	×	×
<i>Apium</i> -type		×	
Cyperaceae	×	×	×
<i>Chaenorhinum</i>	×		
Onagraceae	×		
<i>Epilobium</i>		×	
<i>Valeriana</i>		×	
<i>Scabiosa</i>	×		×
<i>Knautia</i>	×	×	
<i>Dipsacus</i>	×	×	
Fabaceae			×
Liliaceae	×	×	×
<i>Colchicum</i>		×	
<i>Viola</i>	×		
Campanulaceae			×
<i>Campanula</i>	×	×	
<i>Primula</i>	×		
Onagraceae	×		
Brassicaceae	×	×	×
<i>Typha</i>		×	
<i>Sparganium</i>			×
Potamogetonaceae			×
<i>Myriophyllum</i>			×
Alismataceae			×
<i>Alisma</i>		×	
Polypodiaceae	×	×	
<i>Polypodium vulgare</i>	×	×	
<i>Ophioglossum vulgatum</i>	×	×	
<i>Cryptogramma crispa</i>		×	
<i>Adiantum</i>		×	

<i>Sphagnum</i>		×	
<i>Botrychium lunaria</i>	×	×	
<i>Pteridium</i>	×		
<i>Pteridium aquilinum</i>	×		
Trilete spores			×
Monolete spores			×
Total NAP taxa sum	56	65	30
Total taxa sum	72	87	50

ბედენური კულტურის ძეგლები

ბედენური კულტურა თარიღდება ძვ.წ. 25-22 საუკუნეებით. ამ პერიოდის რამდენიმე ყორღანი გაითხარა დღევანდელი ბედენის პლატოზე, რომელიც მდებარეობს ტყემლარას ველსა და წალკის დასახლებას შორის (Gobejishvili 1980). ბედენის პლატოს სიმაღლე აღწევს 1450-1800 მეტრს. აქ მკაცრი კლიმატური პირობებია, საშუალო წლიური ტემპერატურაა 4-6 გრადუსი, ნალექების რაოდენობა კი - 780-800 მილიმეტრი (Lominadze and Chirakadze 1971). მცენარეულობა აქ არის სუბალპური. ღრმა ხეობებსა და უფრო დაბალ ადგილებზე არის წიფლის, არყის, მაღალმთის მუხის, მაღალმთის ნეკერჩხლის, იელის ტყის ფრაგმენტები. პალინოლოგიურად გამოკვლეულია №2,5,10 ყორღნების მასალა. მათი ზოგადი პალინოლოგიური დახასიათება მოცემულია ადრინდელ პუბლიკაციებში (Kvavadze et al. 2013; 2015). წინამდებარე ნაშრომში მოყვანილია მხოლოდ იმ ნიმუშების პალინოლოგიური სპექტრები, რომლებიც გამოირჩევა მცენარეთა არაჩვეულებრივად მდიდრული ტაქსონომიური სიითა და მტვრის საუკეთესო დაცულობით. ასეთი ნიმუშები აღმოჩნდა №2 და №5 ყორღნების კალათებში.

ბედენის ყორღანი №2. ყველაზე საინტერესო შედეგი მოპოვებულია მოწნული კალათიდან, რომელიც მშვენივრად იყო შენახული. კალათის შიგნით აღმოჩენილ მიკროსკოპულ ნაშთებს შორის ღომის (*Panicum*) მარცვლები და ბაწრის ფრაგმენტები დაფიქსირდა. მტვრის მარცვლის სპექტრში სამკურნალო მცენარეების, განსაკუთრებით ცაცხვის (*Tilia*) დიდი რაოდენობა დადგინდა (Demiray et al. 2009). წარმოდგენილი იყო სხვა ცნობილი სამკურნალო მცენარეებიც. ბევრი მტვრის მარცვალი ეკუთვნოდა შემდეგ მცენარეებს: მრავალძარღვას (*Plantago*), ფარსმანდუკს (*Achillea*), ღიღილოს (*Centaurea*), ავშანს (*Artemisia*) და სხვ. (Hassawi and Kharma 2006; Petrovska 2012; Šavikin et al. 2013). ცაცხვის გარდა, ხემცენარეები და ბუჩქოვანი მცენარეები წარმოდგენილია მუხის (*Quercus*), ნეკერჩხლის (*Acer*), წაბლის (*Castanea*), იფნის (*Fraxinus*),

მურყნის (*Alnus*), ფიჭვის (*Pinus*), სუროს (*Hedera*), ქაცვის (*Hippophae*) და ჩვეულებრივი ვაზის (*Vitis vinifera*) მტვრის მარცვლებით. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სპექტრი დიდი რაოდენობით შეიცავს ისეთი თაფლოვანი მცენარეების მტვრის მარცვლებს, როგორიცაა: *Polygonum aviculare*, *Symphytum*, *Filipendula*, *Lathyrus*, *Cichorium*, *Colchicum*, *Trifolium*, *Pulmonaria*, *Eryngium*, *Astrantia*, *Anchusa* და *Heracleum* (Tashev and Pancheva 2011; Tashev et al 2015). განამარხებული არაპალინოლოგიური ნაშთების ჯგუფში დომინირებს სელის ქსოვილის ბოჭკოები, რომელთა შორისა შეღებილი ეგზემპლარები - შავი, წითელი და ლურჯი ბოჭკოები. ასევე მიკვლეულია შალის რამდენიმე ბოჭკო, Pooidea-ს ფიტოლიტები, მერქნის პარენქიმული უჯრედების მცირე რაოდენობა, რომელთა შორის არის ფიჭვი და ნაკელის სოკოს სპორები. სპექტრის ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ სამკურნალო მცენარეების თაიგული შეკრული იყო სელისა და შალის ბაწრით, მოთავსებული დაწნულ კალათაში გარდაცვლილისთვის ჩატანებული სამარხეული ინვენტარის სახით. თაფლოვანი მცენარეების მტვრის მარცვლების სიუხვის პირობებში გასაოცარი არ არის კალათაში პროპოლისის ან ცვილის არსებობაც.

ბედენის №5 ყორღანი. გამოკვლეულია ამ სამარხიდან აღებული რვა ნიმუში. მათგან სამი (ნიმუშები №1-3) დაშლილი ჭილოფის (ან ფარდაგის) ფრაგმენტებია, რომლებსაც ქსოვილი მიეკრა. მეორე ნიმუში (№4) ამოღებულია დაწნული კალათიდან, რომლის შიგთავსი ლეღვის თესლებს შეიცავდა (Kvavadze et al. 2013). ნიმუშები №5 და №6 ჩამოფხეკილია გარდაცვლილის ხის სარეცლიდან. ბრინჯაოს სატევრის პირიდან მოპოვებულია კიდევ ერთი ორგანული მასალის ნიმუში (№7), ხოლო ბოლო ნიმუში (№8) აღებულია სამარხის კამერის იატაკის ხის ძელიდან.

ნიმუში №1. ჭილოფისა და ქსოვილის სინჯის მტვრის მარცვლების სპექტრი ძალიან მდიდარია - შეიცავს უმაღლესი მცენარეების არანაკლებ

45 ტაქსონს (ბალახეული მცენარეების 31 სახეობას და ხემცენარეთა 14 ტაქსონის მტვრის მარცვლებს). განამარხებული არაპალინოლოგიური ნაშთები აგრეთვე კარგადაა წარმოდგენილი. ხემცენარეთა შორის აღინიშნა ტირიფისა (*Salix*) და ცაცხვის (*Tilia*) მტვრის მარცვლები (სურ. 66). ნაპოვნია ფიჭვის (*Pinus*), წიფლის (*Fagus*), მუხის (*Quercus*), რცხილის (*Carpinus betulus*) და წაბლის (*Castanea sativa*) მტვრის მარცვლების საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა. ბალახოვანი სახეობების ჯგუფში მთავარ ელემენტებს წარმოადგენს თაფლოვანი მცენარეები: *Apiaceae*, *Fabaceae* და *Trifolium*. აღინიშნება აგრეთვე სხვა თაფლოვანი მცენარეთა მტვრის მარცვლები. საინტერესოა, რომ არაპალინოლოგიური ნაშთების ჯგუფში აღმოჩნდა ფუტკრის ბუსუსები. გარდა ამისა, ბევრი იყო სხვადასხვა სოკოს სპორები, მათ შორის სოკო *Brachysporium*, რომელიც ჩვეულებრივ ხემცენარეთა ღეროსა და ტოტებზე სახლდება (van Geel et al. 1983; van Geel 1986). ბევრია სოკო *Chaetomium*-ის სპორა. ეს სოკო ამიანებს ფიტოგენურ ქსოვილს, განსაკუთრებით სელის ბოჭკოებს. სავარაუდოდ, სწორედ ამ მიზეზით, ეს სპექტრი, განსხვავებით სხვა სამარხების სპექტრებისგან, არ შეიცავს ბევრ სელის ბოჭკოს. აგრეთვე განისაზღვრა ნაკელის სოკოების - *Sordaria*, *Sporormiella*, *Neurospora* და *Podospora* - სპორები (van Geel and Artroot 2006).

ნიმუში №2. შეგროვდა სამარხის ჭილოფიდან. მისი მტვრის მარცვლების სპექტრები იმით განსხვავდება ნიმუში №1-ის სპექტრებისგან, რომ მისი სპექტრის ხემცენარეთა სახეობებში რცხილა (*Carpinus betulus*) დომინირებს. მუხის მტვრის მარცვლების ასევე დიდი რაოდენობა აღმოჩნდა ფართოფოთლოვანი მცენარეების ჯგუფში. ბუჩქოვანი მცენარეებს შორის არის *Ephedra*-ს, *Juniperus*-ის, *Vitis silvestris*-სა და *Corylus*-ის მტვრის მარცვლები. ბალახოვანი სახეობების ჯგუფში დომინირებს *Cichorioideae*-სა და *Polygonum*-ის მტვრის მარცვლები. მასალაში წარმოდგენილია ხორბლისა (*Triticum*) და სხვა სათესი მარცვლოვნების მტვრის მარცვლები. განამარხებული არაპალინოლოგიური ნაშთების ჯგუფში ხის მერქნის ბევრი პარენქიმული უჯრედი და მცენარეთა ეპი-

დერმისია დაფიქსირებული. ხორბლეულის, მათ შორის კულტურული ფორმების, ფიტოლიტები მნიშვნელოვანი რაოდენობითაა წარმოდგენილი. განისაზღვრა სპორები, რომლებიც ეკუთვნის ნაკელის სოკოებს *Sordaria*-ს, *Sporormiella*-ს, *Podospora*-ს, *Chaetomium*-სა და სოკო გლომუსს, რომელიც დამუშავებულ მიწაზე გვხვდება. ასევე აღმოჩნდა ხავსების ნაშთები და ტესტატური ამება (*Arcella*), რომელიც ბინადრობს ნოტიო ხავსებში და მტკნარი წყლის მწვანე წყალმცენარეების ნაშთები (Begens and Meisterfeld 2001).

ნიმუში №3. მუქი ფერის ორგანული მასალაა, რომელიც სამარხში გარდაცვლილის ჩონჩხის ქვეშ დაფენილ ჭილოფს მიეკრა. ეს მასალა შეგროვდა გათხრების მიმდინარეობისას. მტვრის მარცვლების სპექტრი ძალიან მდიდარია. ხემცენარეთა სახეობებს შორის რცხილის (*Carpinus betulus*) მტვრის მარცვლები, ნიმუში №2-ის მსგავსად, დომინანტ ელემენტს წარმოადგენს. დიდი რაოდენობით აღმოჩნდა აგრეთვე მუხისა და მურყნის მტვრის მარცვლები. განისაზღვრა მტვრის მარცვლები, რომლებიც ეკუთვნოდა სითბოს მოყვარულ ისეთ მცენარეთა ტიპს, როგორცაა: *Castanea sativa*, *Zelkova carpinifolia*, *Tilia cordata*, აგრეთვე *Vitis vinifera* და *Juglans regia*. მთლიანობაში დადგინდა ხემცენარეთა და ბუჩქოვანი მცენარეთა ფორმების 16 ტაქსონი. ბალახოვანი მცენარეთა პალინოლოგიური სპექტრი, რომელშიც 35 ტაქსონია იდენტიფიცირებული, ბევრად უფრო მდიდარია. დომინირებს სათესი ხორბლეულისა და მისი თანმხლები სარეველების მტვრის მარცვლები. ხორბალი (*Triticum*) და ქერი (*Hordeum*) გვარის დონემდე განისაზღვრა (Beug 2004).

აღირიცხა იმ სარეველების მტვრის მარცვლების დიდი რაოდენობა, რომლებიც ადამიანის საცხოვრებლის მახლობლად, გზებისა და ბილიკების გასწვრივ იზრდება. უაღრესად საინტერესო ფაქტია, რომ სპექტრი დიდი რაოდენობით შეიცავს იმ ტაქსონების მტვრის მარცვლებს, რომლებიც თაფლოვანი მცენარეებს მიეკუთვნება. უფრო მეტიც, განამარხებული არაპალინოლოგიური ნაშთების ჯგუფში დიდი რაოდენობით განისაზღვრა ფუტკრის ბუსუსი, ეპიდერმული

უჯრედები და კლანჭისებური ტერფები, რაც ადასტურებს ჭილოფზე თაფლის ან ფუტკრის ცვილის არსებობას.

ნიმუში №4. აღებულია დაწნული კალათიდან, რომელიც, განამარხებულ მთლიან ლელვთან და ლელვის თესლებთან ერთად, შეიცავდა *Triticum*-სა და *Panicum*-ის დამწვარ მარცვლებს. ამ ნიმუშის მტვრის მარცვლების სპექტრიც ძალიან მდიდარია. მთლიანობაში განისაზღვრა 57 პალეონომორფი. ხემცენარეთა ტაქსონებს შორის *Carpinus betulus*-ის მტვრის მარცვლები უფრო ჭარბი რაოდენობითაა ფიჭვის, ცაცხვისა და მუხის მტვრის მარცვლებთან შედარებით. ასევე წარმოდგენილია *Fagus*-ის, *Alnus*-ის, *Castanea*-ს, *Ulmus*-ის, *Zelkova*-სა და *Ficus carica*-ს მტვრის მარცვლები. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ძელქვის არსებობა კავკასიაში კლიმატის დათბობის კარგი ნიშანია (Kvavadze and Connor 2005; Connor and Kvavadze 2008; Connor 2011; Shatilova et al. 2011).

ბალახოვან სახეობებს შორის Apiaceae და Fabaceae ძალიან კარგად არის წარმოდგენილი. მათ შორის მტვრის მარცვლების დიდი რაოდენობით *Centaurea*, *Potentilla* და Rosaceae გამოირჩევა. არაპალეონოლოგიური ნაშთები შეიცავდა მერქნის პარენქიმულ უჯრედებს, მცენარეთა ბევრ ეპიდერმულ უჯრედს, Poaceae-ს ფიტოლიტებსა და ღეროებს, კოპროფილური სოკოების სპორებს, *Glomus*-ის სპორებსა და სხვა დაუდგენელ ასკოსპორებს. ტესტატური ამება *Arcella*-ს ნაშთები და მწერისა და ფუტკრის ბუსუსები აღმოჩნდა ძვლის კრისტალების მახლობლად. ასევე დაფიქსირდა სელის ქსოვილის ბოჭკოები.

ნიმუშები №5 და №6. ეს ორი ნიმუში – ორგანული ნაშთები ჩამოიფხიკა ხის სარეცლიდან, რომელზეც გარდაცვლილი იწვა. ნიმუში № 5 აღებულია სარეცლის შუა ნაწილიდან, სადაც გვერდით საყრდენზე განივი კოჭია მიმაგრებული, ხოლო ნიმუში 6 – განივი კოჭიდან, რომელიც გარკვეული მანძილით იყო დაშორებული სარეცლის ცენტრალური ნაწილიდან. მიუხედავად იმისა, რომ ტაქსონების რიცხვი მდიდრულია, თავად მტვრის მარცვლების რაოდენობა არ არის დიდი. მთლიან-

ნობაში, მე-5 ნიმუშში 34 ტაქსონი დაფიქსირდა, მაშინ როცა მე-6 ნიმუში შეიცავდა უმაღლესი მცენარეების 31 ტაქსონის მტვრის მარცვლებს.

ძალიან ბევრი განამარხებული არაპალეონოლოგიური ნაშთი აღინიშნა. განსაკუთრებით ბევრია თელის (*Ulmus*) მერქნის პარენქიმული უჯრედები. ხემცენარეთა შორის დომინირებს მურყნის (*Alnus*), მუხისა (*Quercus*) და ცაცხვის (*Tilia*) მტვრის მარცვლები. აგრეთვე განისაზღვრა წიფლის (*Fagus*), რცხილის (*Carpinus betulus*), კაკლის (*Juglans regia*), ძელქვის (*Zelkova*), წაბლის (*Castanea sativa*), თელის (*Ulmus*), ტირიფის (*Cornus*), რცხილისა (*Carpinus orientalis*) და ვაზის კულტურული ფორმის მტვრის მარცვლები.

როგორც უკვე აღინიშნა, არაპალეონოლოგიურ ნაშთებს შორის ბევრია თელის (*Ulmus*) მერქნის უჯრედები. ფიჭვისა (*Pinus*) და სხვა ხემცენარეთა სახეობების პარენქიმული უჯრედების შემცველობა მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. სელის (*Linum*) ქსოვილის ბოჭკოები მეორე დომინანტურ ჯგუფს განეკუთვნება. ჩრჩილის ლარვას ბუსუსების გარდა სხვა ზოოლოგიური მასალა ფაქტობრივად არ აღინიშნა.

ნიმუში №7. აღებულია ლითონის ფირფიტიდან, რომელიც მიცვალებულის ტანსაცმელზე აღმოჩნდა. მისი სპექტრი მკვეთრად განსხვავებულია როგორც მტვრის მარცვლების შემადგენლობის, ისე არაპალეონოლოგიური ნაშთების მიხედვით. ჭარბობს წიწვოვანი სახეობების მტვრის მარცვლები, განსაკუთრებით – სოჭის მტვრის მარცვლები (*Abies*). განისაზღვრა წიფლის (*Fagus*), მუხის (*Quercus*), თელის (*Ulmus*), რცხილისა (*Carpinus*) და თხილის (*Corylus*) მტვრის მარცვლები. ბალახოვანი მცენარეების მტვრის მარცვლებიდან ბევრი ეკუთვნოდა Asteraceae-ის სახეობებს, მათ შორის განსაკუთრებით Cichorioideae-ებს. არაპალეონოლოგიური ნაშთების ჯგუფი ძალიან მდიდარია. მე-7 ნიმუშის სპექტრშიც დაფიქსირდა ცხოველის ბეწვები, მწერების ბუსუსები და ზოოეპიდერმისი. აღმოჩნდა შავად და ვარდისფრად შეღებილი სელის ბოჭკოები. განისაზღვრა ტესტატური ამების (*Arcella*) ცისტა. (Begens and Meisterfeld 2001).

ნიმუში №8. ამ მუქი ფერის ორგანულ მასალას, რომელიც სამარხის კამერის მორებით ნაგები იატაკიდან არის აღებული, მდიდრული სპექტრი ახასიათებს. განისაზღვრა ორმოცი ტაქსონის მტვრის მარცვალი. ხემცენარეთა სახეობებს შორის დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი მურყანი (*Alnus*), რცხილა (*Carpinus*) და ფიჭვი (*Pinus*). ჭარბი რაოდენობით განისაზღვრა ხორბლეულის თანმხლები იმ ბალახოვანი მცენარეების მტვრის მარცვლები, როგორცაა: *Polygonum aviculare*, *Chenopodium album* და *Centaurea*. ასევე აღმოჩნდა *Triticum*-სა და სხვა სათესი მარცვლეულის მტვერი. არაპალინოლოგიური განამარხებული ნაშთების ჯგუფი ხასიათდება ფიჭვის მერქნის პარენქიმული უჯრედების სიუხვით. ბევრია სოკოს სპორები, განსაკუთრებით - კოპროფილური სოკოების. სოკო *Glomus*-ის სპორებიც აღმოჩნდა. აღინიშნა მცენარეთა ეპიდერმული უჯრედების დიდი რაოდენობა. სელის ქსოვილის ბოჭკოები, მათ შორის ვარდისფერი ბოჭკოებიც, კარგადაა წარმოდგენილი. განისაზღვრა ტესტატური ამება *Acella*-სა და წყალმცენარე *Spirogyra*-ს ნარჩენები (van Geel 2001).

ამგვარად, შესწავლილი მტვრის მარცვლების სპექტრების ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ ისინი საკმაოდ მდიდარია, შეიცავს ბევრი ხემცენარისა თუ ბალახოვანი მცენარის მტვრის მარცვლებსა და სპორებს. ეს მრავალფეროვნება იძლევა იმის საშუალებას, რომ აღვადგინოთ სამარხის გათხრის დროს არსებული მცენარეულობა, გარდა ამისა, დაგვეხმარება სინათლე მოჭფინოს ბედენის პერიოდში არსებულ დაკრძალვის წესებს.

ბედენის №10 ყორღანი. შესწავლილია ოცი ნიმუშის პალინოლოგიური სპექტრი. რადგან მასალის უმეტესი ნაწილი ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებშია განხილული, აქ წარმოვადგენთ იმ სპექტრების შედეგებს, რომლებიც არ გამოქვეყნებულა და რომლებიც ყველაზე საინტერესო და მდიდარია (Kvavadze et al. 2010c; 2013). მათ შორისაა რვა ნიმუში, რომლებიც წარმოდგენილია 67-ე სურათზე. მოკლედ მიმოვიხილავთ თითოეული ნიმუშის სპექტრს.

ნიმუში №1. აღებულია ტილოფის ნარჩენებიდან. მისი სპექტრი ძალიან ჰგავს №5 ყორღანის სა-

მარხის სპექტრს. ხემცენარეთა სახეობებს შორის ჭარბი რაოდენობითაა რცხილის მტვრის მარცვლები. დაფიქსირდა მურყნისა (*Alnus*) და მუხის (*Quercus*) ბევრი მტვრის მარცვალი. დიდი რაოდენობით აღმოჩნდა თხილის (*Corylus*) მტვრის მარცვლები (სურ. 67). გარდა ამისა, ასევე განისაზღვრა *Pinus*-ის, *Fagus*-ის, *Ulmus*-ის, *Tilia*-ს, *Pterocarya pterocarpa*, *Zelkova carpinifolia*-ს, *Carpinus*-ისა და *Rhamnus*-ის მტვრის მარცვლებიც. ბალახოვან მცენარეებში Poaceae-ს მტვრის მარცვლების მნიშვნელოვანი რაოდენობა აღინიშნა, მათ შორის - კულტურული ფორმებიც. ბევრი იყო ტყის გვიმრების სპორები. არაპალინოლოგიური განამარხებული ნაშთების ჯგუფში მცენარეთა ეპიდერმული უჯრედები და სოკოს სპორები ჭარბი რაოდენობით დაფიქსირდა.

ნიმუში №2. ეს ნიმუში - მუქი ფერის ორგანული მასალა აღებულია ურმის ხის ბორბლის ღერძიდან. მტვრის მარცვლების სპექტრი ხემცენარეთა ჯგუფში წიწვოვანი მცენარეების მტვრის მარცვლების დომინირებით ხასიათდება. ბევრია ფიჭვისა და ნაძვის მტვრის მარცვლები. თელა (*Ulmus*), ცაცხვი (*Tilia*), მუხა (*Quercus*) და ძელქვა (*Zelkova*) წარმოდგენილია ცალკეული მარცვლებითაც. ბალახოვან მცენარეთა ჯგუფში ტყის გვიმრების სპორები ჭარბობს. არაპალინოლოგიური ნაშთების ჯგუფში კოპროფილური სოკოების *Sordaria*-სა და *Podospora*-ს სპორები ყველაზე დიდი რაოდენობით გამოირჩა. ბოლოლოგიური მასალა კარგად არის წარმოდგენილი. ცხოველის ბეწვები, მწერის ბუსუსები და ფრინველის ფრთის ქერცლები, ტკიპის კლანჭისებური ტერფები და ბუსუსები ცალკე ჯგუფს ქმნის. განისაზღვრა Pooaideia-ს ფიტოლიტები. დაფიქსირდა მტკნარი წყლის წყალმცენარის - *Pseudoschizaea*-ს ნარჩენები. ეს მცენარე თბილი ჰავის ინდიკატორია (Scott 1992). გარდა ამისა, განისაზღვრა ტესტატური ამება *Arcella*-ს ნაშთები, რომელიც სველ ხავსსა და სხვა ნოტიო ადგილებში ბინადრობს (Begens and Meisterfeld 2001).

ნიმუში №3. ეს მუქი ორგანული მასალა მიკრული იყო ქსოვილის ფრაგმენტზე, რომელიც ფარავდა ხის კოლოფის შიდა ნაწილს. სპექტრი შეიცავს სელის ქსოვილის ბევრ ბოჭკოს. გარდა

ამისა, მტვრის მარცვლები ხასიათდება ისეთი თაფლოვანი მცენარეების დომინირებით, როგორცაა წაბლი (*Castanea*) და ცაცხვი (*Tilia*). ბალახოვან მცენარეებს შორის დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ისეთი თაფლოვანი ბალახების მტვრის მარცვლები, როგორცაა: Fabaceae, Apiaceae, Rosaceae, Boraginaceae და Asteraceae.

არაპალინოლოგიური ნაშთების ჯგუფში განისაზღვრა ფუტკრის ბუსუსები, კლანჭისებური ტერფები და ეპიდერმისი. სავარაუდოდ, ქსოვილი, რომლითაც ამოფენილია კოლოფის შიდა ზედაპირი, ფუტკრის ცვილით იყო დამუშავებული.

ნიმუშები №4, 5, და 6. ნიმუშები ქსოვილის ნაშთებია. მათი სპექტრები ხასიათდება: მტვრის მარცვლების მაღალი კონცენტრაციით, კარგად შემონახული მდგომარეობით, თაფლოვანი მცენარეების მტვრის მარცვლების დიდი რაოდენობითა და ფუტკრების ბუსუსების, კლანჭისებური ტერფებისა და ეპიდერმისის არსებობით. ფუტკრის ბუსუსები და სხვა მიკრონაშთები თაფლისა და მისი პროდუქტების არსებობის კარგი მაჩვენებლებია (Kvavadze 2008). ნიმუში №4 სელის ბევრ ბოჭკოს შეიცავს, რაც სელის ქსოვილის არსებობაზე მიუთითებს. შალისა და სელის ბოჭკოების რაოდენობების შედარებამ აჩვენა, რომ მე-5 და მე-6 ნიმუშები შალის ბევრ ბოჭკოს შეიცავს, ხოლო სელის ბოჭკოების რაოდენობა მცირეა. შესაძლოა, ქსოვილის გამძლეობის გასაძლიერებლად შალის ბოჭკოებს სელის ბოჭკოები დაუმატეს. მე-4 ნიმუშში პარაზიტული ჭიის, ღორის სოლიტერის (*Taenia solium*), კვერცხი აღმოჩნდა. უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანობაში სპექტრი შეიცავს ბევრ სითბოს მოყვარულ სახეობას. მათ შორისაა: *Castanea sativa*, *Juglans regia*, *Tilia*, *Zelkova*, *Carpinus*, და *Quercus* (Kvavadze and Connor 2005). მტვრის მარცვლის სპექტრი აგრეთვე შეიცავს სოფლის მეურნეობის ელემენტებს – კულტურული ვაზის, ხორბლისა და სხვა სათესი ხორბლეულის სახეობების მტვრის მარცვლებს.

ნიმუში №7. აღნიშნული სინჯი კარბონიზებული ბაწარსა და ძაფებს წარმოადგენს. კარბონიზირებული ძაფის სპექტრი დიდი რაოდენობით

შეიცავს მცენარეთა მტვრის მარცვლებს, სელის ბოჭკოებსა და ცხვრის მატყლს. ხემცენარეთა ჯგუფში თაფლოვანი მცენარეები წაბლი და ცაცხვი დომინირებს. ჩვენი ვარაუდით, სელისა და შალის ბოჭკოების ნარევი ძაფი ფუტკრის ცვილით იყო დამუშავებული.

ნიმუში №8. ეს ნიმუში დანახშირებული ძაფია, რომლის მტვრის მარცვლების სპექტრი თაფლოვანი მცენარეების მტვრის მარცვლებისა და კანაფის ქსოვილის ბოჭკოების სიუხვით ხასიათდება. ნიმუშში გვხვდება ფუტკრის ბუსუსები. ხემცენარეთა სახეობებს შორის ცაცხვის (*Tilia*) მტვრის მარცვლები გამოირჩევა სიჭარბით. მეორე ყველაზე გავრცელებულ კატეგორიას წაბლის (*Castanea*) მტვრის მარცვლები მიეკუთვნება. დაფიქსირდა ბევრი ფართოფოთლოვანი მცენარის მტვრის მარცვლები, მათ შორისაა: *Carpinus*, *Quercus*, *Ulmus*, *Fagus* და *Acer*, ხოლო ბალახოვანი სახეობების ჯგუფში უმრავლესობას წარმოადგენს თაფლოვანი მცენარეები, რომლებიც ეკუთვნის ისეთ ოჯახებს, როგორცაა Rosaceae, Boraginaceae, Fabaceae, Apiaceae, Asteraceae და ა.შ. (Tashev and Pancheva 2011; Tashev et al. 2015).

№10 ყორღანში აღმოჩენილია აგრეთვე ოთხგანყოფილებიანი ხის კოლოფი. კოლოფს ჰქონდა სახურავი და ერთ-ერთ განყოფილებაში ხის პატარა დანაც იყო მოთავსებული. კოლოფს შიგნითა მხარეზე სელის ქსოვილი ჰქონდა გამოკრული. მის ოთხივე განყოფილებაში ვიზუალურად ჩანდა გამხმარ მცენარეთა ფოთლებისა და ღეროების ნაშთები. ოთხივე განყოფილებიდან და სახურავიდან აღებული და გამოკვლეულია ნ სინჯი, რომლებიც უაღრესად დიდი ტაქსონომიური სიმდიდრით გამოირჩევა. კოლოფის მასალიდან განისაზღვრა 60-მდე მცენარის მტვრის და სპორები. რაც ყველაზე საინტერესოა, ხის კოლოფის ყველა განყოფილების სპექტრი განსხვავებული იყო. მაგალითად, პირველ განყოფილებაში (ნიმუში №3) ჭარბობს ასტრას (*Aster*) მტვრის რაოდენობა, მეოთხეში (ნიმუში №6) კი - ავშნისა (*Artemisia*). განვიხილოთ ყველა ნიმუშის სპექტრი ცალ-ცალკე.

ნიმუში №1. ეს ნიმუში აღებულია კოლოფის პირველი განყოფილებიდან. მის სპექტრში ჭარბობს ასტრას (*Aster*) მტვერი. ბევრია თხილისა (*Corylus*) და მურყნის (*Alnus*) მტვრის მარცვლების რაოდენობა. ხემცენარეთაგან მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი ფიჭვი (*Pinus*), წიფელი (*Fagus*) და რცხილა (*Carpinus betulus*). ბალახოვნებში აღინიშნება ნაცარქათამა (*Chenopodium album*), ხორბალი (*Triticum*), ავშანი (*Artemisia*), ღიღილო (*Centaurea*), ნარშავი (*Carduus*), მრავალძარღვა (*Plantago*), ჭარხლისებრნი (Brassicaceae), სმირნიუმი (*Smyrniium*), ბაია (*Ranunculus*), მათიტელა (*Polygonum*), კანაფი (*Cannabis*), ფურისულა (*Primula*), კლდისდუმა (*Sedum*), ქაფურა (*Filipendula*).

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის დომინირებს მცენარეთა ეპიდერმისი. ბევრია ხის მერქნის უჯრედი. აღინიშნება მტკნარი წყლის წყალმცენარე სპიროგირას (*Spirogyra*) ნაშთები, მარცვლოვნების ფიტოლიტები, სელისა და კანაფის ქსოვილის ბოჭკო. მცირე რაოდენობითაა აგრეთვე სოკოს სპორები და მათ შორისაა სოკო ბრაქისპორიუმი (*Brachysporium*), არის აგრეთვე ობის სოკოების (*Mycoraceae*) სპორები. აქვე ნაპოვნია ტკიპების ნაშთები და ჩრჩილის მატლის ბუსუსები.

ნიმუში №2. აღებულია კოლოფის მეორე განყოფილებიდან. პალინოლოგიური სპექტრი არცთუ ისე მდიდარი აღმოჩნდა. ხემცენარეთა შორის ნაპოვნია ფიჭვის (*Pinus*), მუხის (*Quercus*), ნეკერჩხლის (*Acer*), მურყნისა (*Alnus*) და თხილის (*Corylus*) მტვრის ერთეული მარცვლები. ბალახოვნებში აღნიშნულია ფარსმანდუკის (*Achillea*), ასტრას (*Aster*), მზიურას (*Inula*), ფურისულის (*Primula*), კლდისდუმას (*Sedum*), ღიღილოს (*Centaurea*), მათიტელას (*Polygonum*), ბაიას (*Ranunculus*) და ქოლგოსნების (Apiaceae) მტვერი. არის ტყის გვიმრების - მარგალიტას (*Botrychium lunaria*) და ეწრის გვიმრას (*Pteridium aquilinum*) სპორები. არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ჭარბობს ხის, მათ შორის მუხის, მერქნის ტრაქეალური უჯრედები. ბევრია ბოლოლოგიური მასალა - მწერების, ტკიპებისა და ტესტატური ამებას ნაშთები. ცოტაა სოკო ბრა-

ქისპორიუმის სპორები და წყალმცენარე სპიროგირას მიკროსკოპული ნაშთები. აღინიშნება სელის ქსოვილის ბოჭკოც.

ნიმუში №3. მოპოვებულია კოლოფის მესამე განყოფილებაში, რომლის პალინოლოგიურ სპექტრში დომინირებს ასტრას (*Aster*) მტვერი. ხემცენარეთა შორის ბევრია რცხილის (*Carpinus betulus*), წაბლის (*Castanea sativa*), ცაცხვის (*Tilia*), მურყნისა (*Alnus*) და თხილის (*Corylus*) მტვრის მარცვლების რაოდენობა. ბალახოვნებიდან წარმოდგენილია ხორბლის (*Triticum*), ავშნის (*Artemisia*), ღიღილოსა (*Centaurea*) და ნიახურის (*Apium*) მტვერი. მცირე რაოდენობითაა ნარშავის (*Carduus*), ჩვეულებრივი მათიტელას (*Polygonum aviculare*), მრავალძარღვას (*Plantago*), ჭარხლისებრთა (Brassicaceae), სამყურას (*Trifolium*), მაჩიტას (*Campanula*), ფურისულის (*Primula*), მარწყვაბალახის (*Potentilla*), ქაფურას (*Filipendula*), კლდისდუმას (*Sedum*) მტვრის მარცვლები.

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ბევრია მცენარეთა ეპიდერმისი, ხის მერქნის უჯრედი. საკმაოდ ბევრია აგრეთვე სელის ქსოვილის ბოჭკო და ბოლოლოგიური მასალა. ესენია ტკიპებისა და მწერების ნაშთები. არის სოკო ბრაქისპორიუმისა და ჰაეტომიუმის (*Chaetomium*) სპორები. მცირე რაოდენობითაა სხვა სოკოს სპორებიც, რომლებიც კვლევის ამ ეტაპზე ვერ განისაზღვრა. აღინიშნება წყალმცენარე სპიროგირაც (*Spirogyra*).

ნიმუში №4. ეს ნიმუში აღებულია კოლოფის მეოთხე განყოფილებაში. ჭარბობს ჩვეულებრივი მათიტელას და ჭარხლისებრთა მტვერი. ხემცენარეებიდან დომინირებს მურყანი (*Alnus*), რცხილა (*Carpinus betulus*), ფიჭვი (*Pinus*), მუხა (*Quercus*) და თხილი (*Alnus*). მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი წიფელი (*Fagus*), კაკალი (*Juglans regia*), ცაცხვი (*Tilia*), თელა (*Ulmus*), სურო (*Hedera*) და ვაზი (*Vitis vinifera*). ბალახოვნებში აღინიშნება ნაცარქათამა (*Chenopodium album*), ხორბალი (*Triticum*), ავშანი (*Artemisia*), ირმისმხალა (*Serratula*), ასტრა (*Aster*), ღიღილო (*Centaurea*), ნარშავი (*Carduus*), ნემსიწვერა (*Geranium*), უცუნა (*Colchicum*), მაჩიტა (*Cam-*

panula), ფურისულა (*Primula*), მარწყვაბალახი (*Potentilla*), ბაია (*Ranunculus*), ქაფურა (*Filipendula*), მჟაუნა (*Rumex*), კლდისდუმა (*Sedum*), ნიახური (*Apium*), ქოლგოსნები (*Apiaceae*). ნაპოვნია აგრეთვე გვიმრა გველის ენისა (*Ophioglossum vulgatum*) და ეწრის გვიმრის (*Pteridium aquilinum*) სპორები.

არაპალინოლოგიური ნაშთების სპექტრი აქ სულ სხვა ტიპისაა. დომინირებს მარცვლოვნების ფიტოლიტები. ბევრია მცენარეთა ეპიდერმისი და ხის მერქნის უჯრედი. აქაც არის სოკო ჰაეტომიუმისა და ბრაქისპორიუმის სპორები. მხოლოდ ამ ნიმუშშია ნაპოვნი სოკო გლომუსის (*Glomus*) სპორები. არის სელის ქსოვილის ბოჭკო, საკმაოდ ბევრია ტკიპებისა და მწერების ნაშთი. აქაცაა წყალმცენარე სპიროგირა (*Spirogyra*).

ნიმუში №5. სინჯი აღებულია კოლოფის სახურავის შიდა ნაწილიდან და მის პალინოლოგიურ სპექტრში დომინირებს ქოლგოსნების მტვერი. ხემცენარეთა ჯგუფში ჭარბობს ცაცხვი (*Tilia*). ბევრია აგრეთვე წაბლის (*Castanea sativa*) მტვრის მარცვლები. აღინიშნება ფიჭვის (*Pinus*), წიფლის (*Fagus*), რცხილის (*Carpinus betulus*), მუხის (*Quercus*), მურყნის (*Alnus*), თხილის (*Corylus*), ტირიფისა (*Salix*) და ჩვეულებრივი ვაზის (*Vitis vinifera*) მტვერი. ბალახოვნებში, გარდა ქოლგოსნებისა, სპექტრში საკმაოდ უხვადაა მათიტელა (*Polygonum aviculare*), ღიღილო (*Centaurea*), ბაია (*Ranunculus*) და ასტრა (*Aster*). მცირეა ნაცარქათამას (*Chenopodium album*), ხორბლის (*Triticum*), ქერის (*Hordeum*), ავშნის (*Artemisia*), ფარსმანდუკის (*Achillea*), ნარშავის (*Carduus*), ნემსიწვერას (*Geranium*), ჩვეულებრივი მათიტელას (*Polygonum aviculare*), ბოსტნის წალიკას (*Polygonum persicaria*), მრავალძარღვას (*Plantago*), ჭარხლისებრთა (*Brassicaceae*), სამყურას (*Trifolium*), გოქშოს (*Dipsacus*), ფოლიოს (*Scabiosa*), მარწყვის (*Fragaria*), კანაფის (*Cannabis*), ფურისულის (*Primula*) მტვრის მარცვლები.

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ჭარბობს სოკოს სპორები, მათ შორის, ნაკელის სოკო სორდარია და სპორორმიელა. მცირე რაოდენობითაა მცენარეთა ეპიდერმისი, მარცვლოვნე-

ბის ფიტოლიტები და ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები. აღინიშნება ფუტკრის ბუსუსები, ტესტატური ამება *Arcella*-ს, ასევე ტკიპებისა და მწერების ნაშთები.

ნიმუში №6. აღებულია კოლოფის შიდა ნაწილის უკანა კედლიდან. სპექტრში დომინირებს სამკურნალო მცენარეების მტვრის მარცვლები. მაგალითად, ავშანი (*Artemisia*). ხემცენარეთა შორის რაოდენობრივად პირველი ადგილი უკავია მურყნის (*Alnus*) მტვრის მარცვლებს, კარგადაა წარმოდგენილი ასევე ფიჭვი (*Pinus*), რცხილა (*Carpinus betulus*) და ცაცხვი (*Tilia*). შედარებით ნაკლებია წიფლის (*Fagus*), კაკლის (*Juglans regia*), მუხის (*Quercus*), წაბლის (*Castanea sativa*), თელის (*Ulmus*), თხილის (*Corylus*), ტირიფის (*Salix*), სუროს (*Hedera*) და ჩვეულებრივი ვაზის (*Vitis vinifera*) მტვრის მარცვლების რაოდენობა.

ბალახოვნების ჯგუფში, გარდა ავშნისა (*Artemisia*), ბევრია ქოლგოსნების (*Apiaceae*), მათიტელასა (*Polygonum*) და ასტრას (*Aster*) მტვერი. აღინიშნება ასევე ხორბლის (*Triticum*), ფარსმანდუკის (*Achillea*), ირმისმხალას (*Serratula*), დიყის (*Heracleum*), მრავალძარღვას (*Plantago*), ბაიას (*Ranunculus*), სამყურას (*Trifolium*), მზეყვავილას (*Helianthemum*), მაჩიტას (*Campanula*), ფურისულის (*Primula*), მჟაუნას (*Rumex*), კლდისდუმას (*Sedum*), წყლის მრავალძარღვას (*Alisma*) მტვრის მარცვლები. განხილულ ნიმუშში ნაპოვნია ასევე გვიმრა გველის ენის (*Ophioglossum vulgatum*), გვიმრუჭასა (*Asplenium*) და ეწრის გვიმრის (*Pteridium aquilinum*) სპორები.

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის დომინირებს ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები. უხვადაა ასევე მარცვლოვნების ღეროს ნაშთები და ფიტოლიტები, მცენარეთა ეპიდერმისი. დიდი რაოდენობითაა სოკოს სპორები და განსაკუთრებით სოკო ჰაეტომიუმი, რომელიც სელის ქსოვილზე სახლდება და ანადგურებს მას. ბევრია ზოოლოგიური მასალა და სელის ქსოვილის ბოჭკო. აღინიშნება სოკო სორდარიას, სპორორმიელას, ბრაქისპორიუმისა და ობის სოკოს სპორები. ნაპოვნია ფუტკრის ბუსუსე-

ბი, ჩრჩილის მატლის ბუსუსები და ტესტატური ამების ნაშთები. აქაც გვხვდება მტკნარი წყლის წყალმცენარე სპიროვირა.

მასალის პალინოლოგიური მონაცემები იძლევა იმის საფუძველს, რომ დავასკვნათ: კოლოფი, რომელიც მიცვალებულს ჩაატანეს, ნამდვილად იყო პირველადი დახმარების აფთიაქი და მასში უამრავი მცენარეული წამალი ინახებოდა (Kvavadze et al. 2013; 2015; Martkoplshvili 2017).

თეთრიწყაროს (ნადარბაზევი) №2 ყორღანი. 1950-იანი წლების ბოლოს შეისწავლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თეთრიწყაროს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით. აღნიშნული ყორღნის შესახებ სრული ინფორმაცია გერმანე გობეჯიშვილის მონოგრაფიაში არის გამოქვეყნებული (იხ.: გ. გობეჯიშვილი, „ბედენის გორა-სამარხების კულტურა“, თბილისი, 1980) და, ბუნებრივია, შეეცვლებით ამ ნაშრომის მიხედვით მოკლედ დავახასიათოთ ძეგლი და სამარხში აღმოჩენილი მასალის ერთი ჯგუფი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ნადარბაზევის №2 ყორღანს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა დ. ნარიმანიშვილმა (დ. ნარიმანიშვილი. ნადარბაზევის №2 ყორღანი, გორის მუზეუმის არქეოლოგიური მაცნე, №1, თბილისი, 2013, გვ. 26-51).

ყორღანული სამარხი მიეკუთვნება ბედენის კულტურას და დათარიღებულია ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით და ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნით (გ. გობეჯიშვილი, გვ. 133-134). ყორღანი მდებარეობდა თეთრიწყაროს დასავლეთით, სოფ. ივანოვკისკენ მიმავალი გზის მარცხნივ, უსახელო ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაპირის ზემოთ, ისტორიული ძეგლის - ნადარბაზევის ახლოს, ზღვის დონიდან 1350-1400 მ სიმაღლეზე. მიწაყრილისა და ქვის ჯავშნის ქვეშ გამართული იყო სამარხი კამერა - ანდეზიტ-ბაზალტის ქანში ჩატრილი კუთხეებმომრგვალებული სწორკუთხედის ფორმის ორმო (სიგრძე - 8,60 მ.; სიგანე - 5,40 მ.; სიღრმე - 2,20 მ.), რომლის იატაკზე აღმოჩნდა კლდოვან ქანში გამოკვეთილი ტურტლის დასადგმელი მცირე ზომის მოედ-

ნები (ბაქნები). იატაკზე დაფიქსირდა ჭილოფის ფრაგმენტები და ანახეტდები (სავარაუდოა, რომ მთელი იატაკი ჭილოფით იყო მოგებული).

სამარხის ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლების წინ არსებულ ვიწრო ზოლებთან დადასტურდა ორგანულ ნივთიერებათა ნაშთები. ჩვენს ყურადღება მიიქცია ორმა არტეფაქტმა: „ქვიშაქვის მოგრძო საგანმა“ და „ხის ფიცრის მოზრდილმა ნატეხმა“. გ. გობეჯიშვილი წერს: „...ამ უკანასკნელთა დანიშნულების შესახებ დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით. არც ფიცრის ნატეხს გააჩნია გამოსაცნობი ნიშანი; სავარაუდებელია, რომ ის იყოს სამარხის ჩრდილო კედელში გამართული თაროს ნაშთი, რომელიც ზედდაწყობილ იარაღ-სატურველთან ერთად ჩამოვარდებოდა კედლის მოსკდომის დროს. უფრო გასაოცარია ის, თუ რა სასწაულით გადარჩა, როგორც ეს, ისე ქვემოთ აღწერილი ხის კიდევ ერთი წვრილი ნივთი მაშინ, როცა ორმოს სახურავის მსხვილი მორებიდან აღარაფერი დარჩენილა, დანახშირებული წვრილი ნატეხების გარდა... ხოლო რა პირობებმა დაიცვა ხის ფიცრის ნატეხი, გამოცანად რჩება“ (გ. გობეჯიშვილი, გვ. 24, ტაბ. IV-5; V-1,2).

აღმოჩენის ადგილის მიხედვით, „ხის ფიცრის მოზრდილი ნატეხი“ კარგად ეწერება ზემოთ აღწერილი ნივთების რიგში - არ ჰგავს კედლიდან ჩამოვარდნილ და ჯგუფში შემთხვევით მოხვედრილ საგანს. ის დასრულებული ნივთის შთაბეჭდილებას ახდენს - აგურის ფორმა აქვს (წააგავს პლანოკონვექსური ტიპის ალიზის აგურს) და მისი ზომებია: სიგრძე - 16 სმ.; სიგანე - 8 სმ.; სისქე - 5 სმ. ნივთის ზედაპირი ამობურცულია და უსწორმასწორო, მაშინ როცა გვერდები და ძირი ბრტყელია, გლუვი და ქერქით დაფარული. ჩამონატეხში შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს მისი არა ხის ბოჭკოსებური, მაგრამ ამკარად ორგანული შემადგენლობა, რაც ფაქტურით ძალიან წააგავს უხეშად დაფქვეულ მარცვალს. გაგვიჩნდა ეჭვი, რომ ეს უნდა იყოს კარბონიზებული, ლუმელში, სპეციალურ ფორმაში გამომცხვარი პური.

პალინოლოგიურად შესწავლილია ნივთიდან საანალიზოდ აღებული ნიმუში. პარალელურად, პალინოლოგიური კვლევა ჩატარდა ნივთების

ამავე ჯგუფში არსებული მოთეთრო ფერის მართკუთხა ნივთზე, რომლის ზომებია: სიგრძე - 11 სმ.; სიგანე - 6 სმ.; სისქე - 1,8 სმ. (გ. გობეჯიშვილის მიხედვით - „ქვიშაქვის მოგრძო საგანი“ სურათზე. „პურის“ ნიმუში (სურ. 68) გადაეცა აგრეთვე მეღებურნის უნივერსიტეტის არქეოლოგ ანტონიო საგონას, რათა მას ჩაეტარებინა რადიოკარბონული გამოკვლევა ვაიკატოს უნივერსიტეტის რადიოკარბონული ასაკის ლაბორატორიაში. დადგინდა, რომ „პურის“ ასაკი ძვ.წ. 2474-2335 წლებია, რაც სავსებით ემთხვევა ბედენური კულტურის ხანას.

აღნიშნული ორი ნიმუშის პალინოლოგიური ანალიზი საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის პალინოლოგიურ ლაბორატორიაში ჩვეულებრივი სტანდარტული მეთოდით ჩატარდა (Moore et al. 1991).

პირველ ეტაპზე ნიმუშები მოიხარშა 10%-იან კალიუმის ტუტეს ხსნარში, მიღებული მასის მძიმე სითხეში (კადმიუმში) ცენტრიფუგირების შემდეგ, ბოლო ეტაპზე კი შესრულდა მასალის აცეტოლიზი, ანუ შეღებვა.

დეტალურად განვიხილოთ „პურის“ (ნიმუში №1) და პატარა ღია ფერის საგნის (ნიმუში №2) პალინოლოგიური სპექტრები.

ნიმუში №1. განამარხებული დიდი ზომის საგნის ცენტრალური ნაწილიდან აღებულია მცირე ზომის ნიმუში, რათა არ დაზიანებულიყო ეს არტეფაქტი. ნიმუშის წონა არ აღემატება 20 გრამს, ზომის სიმცირის გამო არ აღმოჩნდა მდიდარი პალინოლოგიური მასალით, მხედველობაში მცენარეთა მტვერი და სპორები გვაქვს. სპექტრში უამრავია არაპალინოლოგიური ხასიათის ნაშთები.

ზოგადად, პალინოლოგიურ სპექტრში ხორბლის და სხვა სათესი მარცვლოვნების მტვერი ჭარბობს. აღინიშნება აგრეთვე ველური მარცვლოვნებისა და სარეველა მცენარეების მტვერი. ნაპოვნია სვიის მტვრის მარცვლებიც (სურ. 69). აღსანიშნავია, რომ ანალიზის წინ ნიმუში ბინოკულარულ მიკროსკოპში იყო დათვალიერებული, სადაც მცირე ზომის თესლები გამოჩნდა.

ხემცენარეთაგან აღმოჩენილია ფიჭვის, თხილისა და კაკლის ერთეული მტვრის მარცვლები. არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ბევრია ხის მერქნის უჯრედები, მცენარეთა ეპიდერმისი და სახამებელი. ნაპოვნია მარცვლოვანი ფიტოლიტები, წყალმცენარეთა მიკროსკოპული ნაწილაკები, სელის ქსოვილის ბოჭკო და სოკო ტილეტიას სპორები. ეს სოკო პარაზიტებს დებს ხორბლის თავთავებზე და მის სხვა ორგანოებზე. საკმაოდ დიდი რაოდენობითაა სხვა სოკოს სპორები, რომლებიც კვლევის ამ ეტაპზე ჯერ არ არის განსაზღვრული.

ნიმუში №2. ეს საანალიზო ნიმუშიც მცირე ზომისაა, 15 გრამს შეადგენს. განამარხებულ საგანს მხოლოდ ერთ-ერთი უმნიშვნელო ფრაგმენტი ჩამოვაცალეთ, რათა არტეფაქტი არ დაზიანებულიყო. მიუხედავად ამისა, მეორე სინჯის პალინოლოგიური სპექტრი გაცილებით უფრო მდიდარი აღმოჩნდა, ვიდრე პირველი ნიმუშისა. განხილულ ნიმუშშიც დომინირებს ხორბლისა და ხორბლეულის კულტურული ფორმების მტვრის მარცვლები (სურ. 70). მეორეში დომინანტია ცაცხვისა და სხვა თაფლოვანი მცენარეების მტვრის რაოდენობა (სურ. 71). ესენია: ვარდკაჭაჭა, ფარსმანდუკი, ასტრა, ღორის ბირკა, მათიტელა, პიტნა. ხემცენარეთა შორის ნაპოვნია წიფლის, მუხის, რცხილი, თხილისა და ლეღვის მტვრის მარცვლები. აღინიშნება გვიმრა ტაბულასა და კილამურას სპორები, რომლებიც მხოლოდ ფართოფოთლოვან ტყეში იზრდება. უხვადაა წარმოდგენილი არაპალინოლოგიური ხასიათის ფოსილიები, მათ შორის ჭარბობს მარცვლოვნების სახამებელი და ხის მერქნის დამწვარი უჯრედები. ნაპოვნია მარცვლოვნების ფიტოლიტებიც. აღსანიშნავია, რომ განხილულ ნიმუშში ნაპოვნია ფუტკრის ბუსუსები და მისი ეპიდერმისი. არის აგრეთვე ჩრჩილის პეპლის ფრთის ეპიდერმისი და ჩრჩილის მატლის ბუსუსები. აღმოჩენილია მცენარეთა ეპიდერმისი და სელის ტექსტილის ბოჭკო.

მაშასადამე, პალინოლოგიური და არაპალინოლოგიური პალინომორფების სპექტრიდან გამომდინარე შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გამოტანა: აგურის ფორმის დიდი არტეფაქტი ნამდვილად პურია, რადგან მასში არის ხორბლის

მტვრის მარცვლები, ხორბლეულის სახამებელი და ფიტოლიტები, რომლებიც პურში ფქვილიდან გადავიდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პურში საფუვრის არსებობა დადასტურდა სვიის მტვრის მარცვლებით და მისი თესლებით, რომლებიც აღმოჩნდა პურის ნიმუშში. ისინი რომ ნამდვილად სვიის თესლებია, დაამტკიცა თანამედროვე სვიის ნაყოფებისა და თესლების შედარება-შესწავლამ.

მიღებული არგუმენტების გასამყარებლად გამოკვლეულია თანამედროვე გამომცხვარი პურისა და ფქვილის სინჯები, სადაც ხორბლის მტვრის მარცვლებისა და მისი სახამებლის არსებობა დაფიქსირდა. როგორც თანამედროვე პურში, ისე განამარხებულში ნაპოვნია ერთნაირი მცენარეთა ეპიდერმისი, რაც შეიძლება ხორბლის კანის იყოს. ის ფაქტი, რომ მიცვალებულს ნამდვილად პური ჩაატანეს და არა ცომი, დასტურდება ხის მერქნის ტრაქეალური დამწვარი უჯრედებით, რომლებიც ცხოვისას ღუმლიდან მოხვდა. ადრინდელმა კვლევამ აჩვენა, რომ ნებისმიერ სამზარეულო ჭურჭელსა და ნივთში ეს ხის მერქნის დამწვარი უჯრედები გადმოდის კვამლიდან, ჭვარტლიდან და ცეცხლის ნაცრიდანაც (Kvavadze and Martkoplshvili 2018).

რაც შეეხება მეორე, პატარა ზომის საგანს, იგი ტკბილი ორცობილა უნდა ყოფილიყო, ისიც ხორბლის ფქვილისგან არის ცეცხლზე გამომცხვარი. ფქვილს მოჰყვებოდა სახამებელი და ფიტოლიტები. სახამებლის მარცვლები მიწებებულია როგორც ცაცხვის მტვრის მარცვლებზე, ისე ფუტკრის ბუსუსებზე. ცაცხვისა და სხვა თაფლოვანი მცენარეების მტვერი და ფუტკრის ბუსუსები ორცობილაში მოხვდა თაფლიდან, რომელიც სიტკბოსთვის ცომში შეაზავეს. ხის მერქნის ტრაქეალური დამწვარი უჯრედები კი გამოცხობისას აქაც ღუმლიდან უნდა მოხვედრილიყო. რაც შეეხება ჩრჩილის პეპლის ქერცლსა და მის მატლის ბუსუსებს, ისინი ან ფქვილში უნდა ყოფილიყო, ან ჩრჩილი განამარხების შემდგომ ეტაპზე გაუჩნდა ორცობილას.

როგორც პურზე, ისე ორცობილაზე სელის ქსოვილის ბოჭკო, ჩვენი აზრით, ტილოდან მოხვდა, რომელშიც სავარაუდოდ გახვეული ჰქონდათ ეს

საკონდიტრო ნაწარმი; ანუ მიცვალებულის დაკრძალვის დროს დაცული იყო ჰიგიენის ყველა წესი.

საქართველოში და მთლიანად ამიერკავკასიაში განამარხებული პურისა და ორცობილის აღმოჩენა დიდ სიახლეს წარმოადგენს. აქამდე ცნობილი აღმოჩენებიდან არქეოლოგიური პური იპოვეს ეგვიპტეში და ძვ.წ. 2000-1200 წლებით დაათარიღეს (Samuel 1989; 2002), ანუ უფრო გვიანდელია, ვიდრე თეთრიწყაროს პური, რომლის ასაკიც, როგორც უკვე აღინიშნა, ძვ.წ. 2474-2335 წლებია და ეგვიპტურზე თითქმის ოთხი საუკუნით ადრინდელი გამოდის. შუა ბრინჯაოს ხანის განამარხებული პური აღმოჩენილია აგრეთვე უნგრეთში (Colter-Graham et al. 2014), უბეიდური პერიოდის ერაყში (Rosemary et al. 1978). გვიანი ბრინჯაოს ხანის პური აღმოჩენილია საბერძნეთის ჩრდილოეთ ნაწილშიც (Valamoti 2002) და ბერძულ-რომაული ხანის სამარხში (Rotteli and Castiglioni 2011).

უფრო გვიანდელია შვედეთში ნაპოვნი პური და თარიღდება ახ.წ. 400-900 წლებით (Hansson 1996; 2002). რაც შეეხება ორცობილას, იგი ჯერ კიდევ 1866 წელს აღმოაჩინეს შვეიცარიაში და დაადგინეს, რომ იგი 3000 წლის წინანდელია (Keller 1866). 1500 წლის წინ თაფლზე დამზადებული ორცობილა აღმოჩენილია აგრეთვე ინგლისში (Colter-Graham et al. 2014). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი არქეოლოგიური პური და ორცობილა განისაზღვრა არქეობოტანიკისა და ქიმიის დარგების მეშვეობით. პალინოლოგიური მეთოდი ამ საქმეში არასოდეს ყოფილა გამოყენებული. ისიც უნდა ითქვას, რომ თეთრიწყაროს პური განსხვავდება ფორმით. მანამდე აღმოჩენილი ყველა განამარხებული პური მომრგვალო ფორმის იყო და არც ერთ არქეოლოგიურ პურს არ ჰქონია აგურის ოთხკუთხა ფორმა.

ბერიკლდეების ნამოსახლარი. ბერიკლდეების ნამოსახლარი მდებარეობს შიდა ქართლში მდინარე ფრონესა და მტკვრის შესართავთან. არქეოლოგიური მასალით იგი თარიღდება ბედენური კულტურის პერიოდით (Javakhishvili 2017). პალინოლოგიური მეთოდით შესწავლილია სანაგვე ორმოს და შენობის იატაკის ორგანული ნაშთები.

ჩატარებულმა პალინოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ იმ დროს კლიმატური პირობები დღევანდელთან შედარებით უფრო ნოტიო და თბილი იყო. ამას, უპირველეს ყოვლისა, ადასტურებს სპექტრებში ნაპოვნი ჩვეულებრივი მურყნის (*Alnus barbata*) მტვრის მარცვლები. მურყნის ეს სახეობა დღეს იზრდება მხოლოდ კოლხეთსა და ალაზნის ველზე, სადაც კლიმატი ქართლთან შედარებით გაცილებით თბილი და ნოტიოა.

ჩვენი მოსაზრების განსამტკიცებლად მეორე არგუმენტია ის, რომ პალინოლოგიურ სპექტრებში, უხვადაა წარმოდგენილი ხავსის ნაშთები. როგორც სანაგვე ორმოში, ისე სახლის იატაკზე გვხვდება მტკნარი წყლის წყალმცენარეთა ნაშთები. ესენია: მწვანე წყალმცენარე სპიროგირა (*Spirogyra*) და ფსევდოშიზეა (*Pseudoschizaea*). ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ წყალმცენარე ფსევდოშიზეა (*Pseudoschizaea*) იზრდება მხოლოდ იმ რეგიონების წყალსაცავებში, სადაც კლიმატი სუბტროპიკულია და ამიტომ იგი კლიმატური ოპტიმუმების (დათბობის) კარგი ინდიკატორია (Stevenson et al. 2001; Estiarte et al. 2008). აღინიშნება აგრეთვე ობის სოკოს (Mucoraceae) სპორები. ამ სოკოს არსებობა ნესტიანმა ჰავამ განაპირობა.

სანაგვე ორმოში აღმოჩენილია უამრავი სამკურნალო მცენარის მტვერი. ჩვენი აზრით, წამლის ნახარშის დამზადების შემდეგ მცენარეთა ნაშთები სანაგვე ორმოში ჩაყარეს. სპექტრში ჭარბობს მათიტელას (*Polygonum*), ნარშავისა (*Carduus*) და ვარდკაჭაჭას (*Cichorium*) მტვრის მარცვლები. აღინიშნება ასევე ისეთი სამკურნალო მცენარეების მტვერი, როგორცაა ფარსმანდუკი (*Achillea*), მათიტელა და ჩვეულებრივი მათიტელა (*Polygonum aviculare*), დვალურა (*Polygonum bistorta*), ირმისმხალა (*Serratula*), ღიღილო (*Centaurea*). ყველა ჩამოთვლილი მცენარე სარეველაა, დღეს იზრდება ადამიანის საცხოვრებელ სახლთან ახლოს და ბერიკლდეების მოსახლეობას მათი მოპოვება არ გაუჭირდებოდა.

ტყის მაჩვენებლებიდან, გარდა მურყნისა და ფიჭვისა, პალინოლოგიურ სპექტრში დაფიქსირდა აგრეთვე ტყის გვიმრების (Polypodiaceae) არსებობა. ნაპოვნია ამ გვიმრების სპორები.

მცენარეთა ნაშთებიდან კარგადაა წარმოდგენილი მარცვლოვნების (Poaceae) ფიტოლიტები და სახამებელი. არის სათესი, ანუ კულტურული სახეობის ნაშთებიც. მიწათმოქმედების განვითარებაზე მოწმობს აგრეთვე სოკო გლომუსის (*Glo-mus*) სპორები. ეს სოკო იზრდება მხოლოდ მონულ, ფხვიერ ნიადაგებზე და მიწათმოქმედების კარგი ინდიკატორია. არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ნაპოვნია სელის ქსოვილის ნაშთები, მათ შორის – შეღებილიც.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში ინახება აღნიშნული ნამოსახლარის თვალით ხილული (მაკროსკოპული) ორგანული ნაშთები. ეს მასალა ნაწილობრივ გამოკვლეულია არქეობოტანიკური მეთოდით. მკვლევარმა ნანა რუსიშვილმა გასული საუკუნის 90-იან წლებში დაადგინა, რომ ბერიკლდეების მოსახლეობა თესავდა ხორბლეულის რამდენიმე სახეობას (Dzidziguri 2000), რბილ ხორბალსა (*Triticum aestivum*) და ექვსმწკრივა კილიანმარცვლოვან ქერს (*Hordeum vulgare*). ნ. რუსიშვილის მონაცემების მიხედვით (Dzidziguri 2000), აქ იზრდებოდა აგრეთვე სარეველა ჭვავი (*Secale segetale*), ჩვეულებრივი ბარდა (*Pisum sativum*), უგრეხელი (*Vicia ervillia*), ბრტყელკალა ბირკა (*Onopordum* sp.), მინდვრის ბარდა (*Pisum sativum*). 2019 წლის ივლისში საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში დაცული ბერიკლდეების ნამოსახლარის მაკროსკოპული ნაშთები გამოიკვლია აგრეთვე პოლონელმა ეთნობოტანიკოსმა ალდონა მიულერ-ბიენიკმა. არსებულ კოლექციაში მანაც აღმოაჩინა რბილი ხორბალი და კილიანმარცვლოვანი ქერი. გარდა ამისა, განისაზღვრა სპელტა (*Triticum* cf. *spelta*), ასლი (*Triticum* cf. *diccicum*), ყანის ჭლექი (*Fallopia convolvulus*), ღვარძლი (*Lolium*), ქვათესლა (*Lithospermum arvense*), წიწმატა-სელი (*Camelina sativa*), ენდრონიუკა (*Galium*), ნაცარქათამა (*Chenopodium album*), ოსპი (*Lens culinaris*), უგრეხელი (*Vicia ervillia*), მინდვრის ბარდა (*Pisum arvense*), სპარსული ღვარძლი (*Lolium persicum/ridigosum*), ბრტყელი ეკალა (*Onopordum acantium*), ნამდვილი ძურწა (*Setaria verticillata/viridis*), ბეგეონდარა (*Thymus* sp.), კაკბის საკენკელა (*Lithospermum*

dispermum), პატარძალა (*Anchusa officinalis*) და მუხის (*Quercus*) ნაშთები. ჩამოთვლილ მცენარეთაგან უმეტესობა ხორბლეული ნათესების სარეველებია (Kats et al. 1965). გარდა პალინოლოგიური და არქეობოტანიკური მონაცემებისა, მიწათმოქმედების განვითარებაზე მიუთითებს აგრეთვე ბერიკლდეების ნამოსახლარზე აღმოჩენილი ძვლის თოხები, ხელსაფეკვავები, კაჟის ნამგლის ჩასართები (Dzidziguri 2000).

ანანაურის № 3 ყორღანი. როგორც უკვე აღინიშნა, პალინოლოგიური მეთოდებით ადრე ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლების ორგანული ნაშთები ძირითადად შესწავლილია სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ესენია ქვემო ქართლიდან და ჯავახეთის ყორღნებიდან და სხვა ტიპის სამარხებიდან მოპოვებული ორგანული სახის მასალა (Kvavadze et al. 2004b; 2007 a,b; 2013; 2015; 2016; Kvavadze and Kakhiani 2010). რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აქ აღნიშნული პერიოდის ძეგლებზე ამგვარი კვლევა თითქმის არ ჩატარებულა. 2012 წელს ალაზნის ველზე (კახეთი) გაითხარა ანანაურის №3 ყორღანი, რომელიც არქეოლოგიური მასალის მიხედვით დათარიღდა ბედენური კულტურის პერიოდით (Makharadze and Murvanidze 2014). შემდგომმა რადიოკარბონულმა ანალიზმა ეს მოსაზრება დაამტკიცა იმით, რომ მიღებული იყო თარიღი ძვ.წ. 2370 წელი (Boaretto et al. 2016; Makharadze 2016).

ანანაურის №3 ყორღანი უნიკალურია იმიტომ, რომ თითქმის ყველა ორგანული ნაშთი შესანიშნავადაა დაცული, მათი მრავალფეროვნება კი საოცრად მდიდრულად წარმოდგენილი, მიუხედავად იმისა, რომ განამარხებულ მდგომარეობაში იყო თითქმის 4400 წელი. გათხრების დროს ყორღანში აღმოჩენილია კონსტრუქციის უამრავი ხის ძელი, რომლებსაც შენარჩუნებული ჰქონდათ როგორც სიმკრევე, წლიური რგოლები, ისე ფერი. დიდ ინტერესს წარმოადგენს ორი ეტლის კარგად დაცული ხის ნაშთები და ხის სავარძელი. უნდა აღინიშნოს, რომ ანანაურის ყორღანში უხვადაა წარმოდგენილი აგრეთვე ქსოვილის, თექის, ბაწრისა და ძაფების შესანიშნავად შენახული ნაშთები (Kvavadze 2019). უხვადაა ჭილობები,

წნულები და კალათები. მიცვალებულების ჩონჩხზე და მის არეში ასევე ნაპოვნია ტანსაცმლის ქსოვილი, მათი სხეულის ბალზამირების ნივთიერების მიკროსკოპული ნაშთები. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს სწორედ განამარხებული ორგანული ნაშთების მიკროსკოპული კვლევა, რომელიც პალინოლოგიური ანალიზის საშუალებით განხორციელდა (Kvavadze 2016).

უხვადაა აღმოჩენილი თხილისა და წაბლის ნაყოფები. აღინიშნება მუხის რკო და ცაცხვის თესლი. ნაპოვნია მცენარეთა ტოტები, სხვადასხვა ბალახის ღერო და ხავსები. განსაზღვრულია ონტკოფას (*Physalis alkekengi* L.), ცაცხვისა (*Tilia*) და კვრინჩხის (*Prunus spinosa* L.) ნაყოფები (Rusishvili 2016). გარდა იმისა, რომ ეს ორივე მცენარე კარგი საკვებია, მათ ასევე გააჩნიად სამკურნალო თვისებები. ონტკოფას გამმარი ნაყოფები გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, როგორც ანტისეპტიკური, შარდმდენი და ღვიძლის დაავადებების საწინააღმდეგო საშუალება. ონტკოფა ასევე კარგი დამამშვიდებელია (Bahmani et al. 2016). სამკურნალოა აგრეთვე ცაცხვი, კერძოდ - მისი ყვავილი, ფოთოლი და მერქანიც კი (Güler et al. 2015).

პალინოლოგიური მეთოდის კვლევისთვის ანანაურის №3 ყორღანიდან სულ აღებული და შესწავლილია 34 ნიმუში, რომლებიც დაჯგუფებულია 3 ნაწილად: 1) ეტლების ქვეშ და მათ ირგვლივ აღებული ნიმუშები; 2) დაკრძალულის სამი ინდივიდის ჩონჩხზე არსებული ორგანული ნაშთები; 3) ქსოვილებისა და ჭილოფების დაშლილი ნაშთები.

ანანაურის ყორღანის ორგანული ნაშთების პალინოლოგიურმა გამოკვლევამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა, თუ რა კლიმატური და სხვა გარემო პირობები იყო ბედენური კულტურის დროს ალაზნის ველზე, სადაც მდებარეობს ანანაურის ყორღანი. გაეცა პასუხი, თუ როგორი იყო ადამიანის სამეურნეო საქმიანობა ამ ველზე. საინტერესოა აგრეთვე ადრე ბრინჯაოს პერიოდში არსებული დაკრძალვის ცერემონიის წესების გამოვლენა.

საკმაოდ მდიდარი მასალის პალინოლოგიურმა კვლევამ (განსაზღვრულია 100-მდე მცენარე) აჩვენა, რომ 4400 წლის წინ ალაზნის ველზე კლი-

მატური პირობები, დღევანდელთან შედარებით, გაცილებით უფრო თბილი და ნესტიანი უნდა ყოფილიყო. სითბომოყვარული მცენარეების გარდა, ამ ფაქტს ადასტურებს აგრეთვე მიცვალებულის მენჯის ძვალზე აღმოჩენილი პარაზიტული ტიის - ტრიქურას კვერცხები (სურ. 72). ტრიქუროზს სხვაგვარად ტროპიკულ დაავადებასა უწოდებენ, რადგან იგი დღეს ძირითადად სამხრეთის თბილ ქვეყნებშია გავრცელებული. თბილი კლიმატური პირობების არსებობის კარგი მაჩვენებელია აგრეთვე მტკნარი წყლის სითბომოყვარული წყალმცენარე *Pseudoschizaea*, რომელიც ნაპოვნი ანანაურის ყორღნის მასალაში. ის ფაქტი, რომ განხილულ დროს ამიერკავკასიაში კლიმატური პირობები გაცილებით უფრო თბილი იყო, ადრინდელი კვლევებითაც დასტურდება. მაგალითად, ბედენის მაღალ პლატოზე, რომელიც მდებარეობს 1800-1900 მ. სიმაღლეზე და სადაც განლაგებულია გამოკვლეული ადრე ბრინჯაოს სამარხები, იქ იმ დროს წაბლი, ძელქვა და ცაცხვი ფართოდ იყო გავრცელებული (Kvavadze et al. 2013, 2015). მძლავრი იყო მიწათმოქმედება, ბაღებში ლეღვი და კაკალი იზრდებოდა, განვითარებული იყო მევენახეობაც. დღეს ბედენის პლატოზე ძირითადად სუბალპური მდელოს მცენარეულობაა. ალაგ-ალაგ აქ მხოლოდ არყის, ტირიფისა და წიფლის ტყის მონაკვეთები გვხვდება.

ანანაურის ყორღნის მასალის პალინოლოგიურმა კვლევამ აჩვენა აგრეთვე, რომ იმ დროს ამ რეგიონში კარგად იყო განვითარებული მიწათმოქმედება. ითესებოდა ხორბლის რამდენიმე ჯიში. მოჰყავდათ შვრია (*Avena*), ქერი (*Hordeum*), ჭვავი (*Secale*), ღომი (*Panicum*). მისდევდნენ მევენახეობასა და მებაღეობას. ყორღანში ნაპოვნი სელის ქსოვილის უამრავი ბოჭკო, ესე იგი, მოჰყავდათ სელიც (*Linum*). სათანადოდ იყო აწყობილი საფეიქრო საქმე. თითქმის ყველა ქსოვილი, როგორც სელის, ისე შალის, დაზგური წესითაა მოქსოვილი და არა ხელით. სელის ქსოვილი იღებებოდა უამრავ ფერად (Kvavadze 2016).

განვითარებული უნდა ყოფილიყო მეცხოველეობაც. ამის დასტურია ნიმუშებში ნაპოვნი მცოხნელთა ნაკელის სოკო, ცხვრის მატყლისგან დამზადებული შალის ქსოვილი და თექა. მე-

ფუტკრეობას საკმაოდ დიდი მასშტაბები ჰქონდა, რაც ტყეში მდიდარი თაფლოვანი მცენარეების არსებობით იყო განპირობებული (სურ. 73, 74).

პალინოლოგიური მეთოდით საქართველოს ტერიტორიაზე მეფუტკრეობის ყველაზე ადრინდელი კვალი დადგენილია ნეოლითური და ენეოლითური დროისთვის, და თარიღდება ძვ.წ. 6000-5000 წლით (Jalabadze et al. 2010; Kvavadze et al. 2014; Kvavadze and Licheli 2015). შულავერის გორის ჭურჭელში ნაპოვნი თაფლი დამზადებული იყო 8000 წლის წინ (Jalabadze et al. 2010; Kvavadze et al. 2014), ხოლო კვირაცხოვლის ენეოლითურ მიწურში, ხის კასრში აღმოჩენილი თაფლი კი 7000 წლისაა (Kvavadze and Licheli 2015).

პალინოლოგიური სპექტრებიდან გამომდინარე, პირველი ეტლის ქვეშ და მის ირგვლივ ალებული ყველა ნიმუში - მუქი ფერის ორგანიკა, არის თაფლი. ხის დიდი ჭურჭელი თაფლით უნდა ყოფილიყო სავსე. ჩვენი აზრით, ეს ჭურჭელი გადაყირავდა და წაიქცა დაკრძალვის შემდგომ მოკლე პერიოდში, ან შესაძლოა, თავად დაკრძალვის მომენტში. ჭურჭლიდან გადმოღვრილი თაფლი მიეწება ეტლის ქვეშ მდებარე ყველა ნივთს. ეს არის ეტლის ბორბლები, სავარძელი, ქსოვილი, წნული, საიდანაც ალებულია საკვლევი ნიმუშები.

ის ფაქტი, რომ სამივე მიცვალებულის ჩონჩხზე ნაპოვნი თაფლისა და სელის ქსოვილის ნაშთები, ცხადყოფს, რომ მათი სხეულები გარდაცვალების შემდეგ გაახვიეს თაფლით გაჟღენთილ სელის ტილოში, რაც დასტურდება ჩონჩხზე აღმოჩენილი თაფლოვანი მცენარეების მტვრითა და ფუტკრის მიკროსკოპული ნაშთებით. მიცვალებულის თაფლით ბალზამირების ანალოგიური ფაქტები აღნიშნულია ძველი ეგვიპტისა და მესოპოტამიის სამარხების შესწავლისას. ანანაურის ყორღნის მასალა, სადაც სამივე მიცვალებულის ჩონჩხზე აღმოჩენილი თაფლის ნაშთები დასტურდება, ამტკიცებს, რომ თაფლით ბალზამირების ტრადიცია საქართველოს ტერიტორიაზე უძველესია. იგი დაიწყო ადრე ბრინჯაოს პირველ ეტაპებზე, გრძელდებოდა ბედენური კულტურის დროს და ეს მეთოდი მოვიდა ადრეულ შუა საუკუნეებამდე (Bitadze et al. 2011).

თავი მესამე

საქართველოს ადრე ბრინჯაოს პერიოდის პალეოეკოლოგიური პირობები

ჩვენ მიერ განხილული ოცი არქეოლოგიური ძეგლის ორგანული ნაშთების პალინოლოგიური სპექტრები საშუალებას იძლევა, უპირველეს ყოვლისა, აღვადგინოთ ადრე ბრინჯაოს ხანის ველური და კულტურული ლანდშაფტების მცენარეული საფარი. მცენარეების ეკოლოგია კი მიანიშნებს გარემო პირობების უამრავი კომპონენტის თავისებურებაზე. მაგალითად, ეს არის კლიმატი, ჰიდროგრაფიული ქსელი, ნიადაგის ტიპი და სხვ. ამასთანავე, რადგან არქეოლოგიური ძეგლები მდებარეობს საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა რეგიონსა და განსხვავებულ ჰიპსომეტრიულ სიმაღლეებზე, ანუ მთის სხვადასხვა სარტყელში, შესაძლებელი ხდება გაირკვეს არა მარტო მთისა და ბარის კლიმატური პირობები, არამედ დადგინდეს ადრე ბრინჯაოს ხანის ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ხასიათი მთასა თუ ბარში, მათი ტრადიციები, კომუნიკაცია, პალეოდიეტა, სამკურნალო საშუალებები თუ პალეოდაავადებები.

როგორც უკვე აღინიშნა, სამხრეთ საქართველოს მაღალმთის ადრე ბრინჯაოს ხანის ძეგლებს მიეკუთვნება კოდიანის, ფარავნისა და თოფიოლას ყორღნები. ამათგან კოდიანის ყორღანი ყველაზე მაღალ სიმაღლეზეა განლაგებული (H: 2289 მ.). ფარავნის ყორღანი მდებარეობს 2100 მეტრზე, თოფიოლასი კი - 2000 მეტრზე.

აღნიშნული ყორღნების მასალის უპირატესობა და მნიშვნელობა იმითაც აიხსნება, რომ აქ არტეფაქტების ორგანული ნაშთების გარდა შემონახული და გამოკვლეულია იმდროინდელი განამარხებული ნიადაგი, რომლის პალინოლოგიური სპექტრი უფრო ზუსტად ასახავს ადგილობრივ მცენარეულობას. მაგალითად, კოდიანის ყორღნის (ძვ.წ. 27-25 სს.) შემთხვევაში, ჭურჭლის თაფლის სპექტრებს ბევრი საერთო აქვს განამარხებული ნიადაგის პალინოლოგიურ სპექტრთან, რაც იმას ნიშნავს,

რომ ეს თაფლიც ადგილობრივია და არა მოტანილი სხვა რეგიონიდან. ცაცხვის (*Tilia*) მტვრის მარცვლები ნაპოვნია როგორც თაფლის სპექტრში, ისე კოდიანის ადრე ბრინჯაოს ნიადაგის პალინოლოგიურ სპექტრში. სითბომოყვარულ (თერმოფილური) ფართოფოთლოვან ხემცენარეთაგან, როგორც ჭურჭელში, სადაც თაფლი იყო, ისე იმდროინდელ ნიადაგში, ცაცხვის გარდა აღმოჩენილია რცხილის, მუხისა და წიფლის მტვერი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ჯიშები კოდიანის ყორღნის ირგვლივ იზრდებოდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყორღნის კონსტრუქციაში უამრავი ხის მასალა იყო გამოყენებული. დასაკრძალავი კამერა გადახურულია ხეების საკმაოდ დიდი ზომის ტოტებით, რომლებიც იმდენად კარგად შემორჩა, რომ ხის ფერიც კი არ იყო დაკარგული (Kvavadze et al. 2004a; 2007a). ბევრია ასევე ხის მერქნის მიკროსკოპული პარენქიმის უჯრედები.

ფოთლოვანი ტყის არსებობა თითქმის 2300 მეტრზე დასტურდება იმ ბალახოვნებითაც, რომლებიც მხოლოდ ამგვარი ტყის ეკოსისტემისთვისაა დამახასიათებელი. ესენია: ტყის მარწყვი (*Fragaria*), კატაბალახა (*Valeriana*), ლაშქარა (*Symphytum*) და სხვ. მხოლოდ ფართოფოთლოვან ტყეში იზრდება აგრეთვე ტყის გვიმრა კილამურა (*Polypodium vulgare*) და გველის ენა (*Ophioglossum vulgatum*), რომელთა სპორები მრავლადაა პალინოლოგიურ სპექტრში. კოდიანის მთის უფრო მაღალ კალთებზე ფიჭვის, ნაძვისა და სოჭის ტყე უნდა ყოფილიყო, რაც, გარდა წიწვოვნების მტვრის დიდი რაოდენობისა, დასტურდება გვიმრა მარგალიტას (*Botrychium lunaria*)-ი უამრავი სპორის არსებობით. ამიერკავკასიაში ეს გვიმრა დამახასიათებელია სწორედ წიწვოვანი ტყეებისთვის და თანამედროვე ნიადაგის პალინოლოგიურ სპექტრებში მარგალიტას სპორები ყოველთვის ბევრია (Stuchlik, Kvavadze 1987; Kvavadze, Stuchlik 1990). გარდა ამისა, როგორც თაფლში,

ისე განამარხებულ ნიადაგში მრავლადაა ფიჭვის ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები. რაც შეეხება წიწვოვნების ტყის სარტყელს, თრიალეთის ქედზე, სადაც აღმოჩენილია კოდიანის ყორღანი, დღეს იგი ვრცელდება 1000-2000 მ. სიმაღლის არეალში (Maruashvili 1970; 1973). უფრო ზემოთ კი სუბალპური და ალპური მდელოებია. განხილულ რეგიონში მთის მაქსიმალური სიმაღლეა 2850 მ. (მთა შავიკლდე). კოდიანის ირგვლივ არსებობდა დაჭაობებული ადგილები, რადგან ნიმუშებში ნაპოვნია ტესტატური ამება არცელა (*Arcella*), რომელიც მხოლოდ წყლიან ხავსებში ვრცელდება. უნდა აღინიშნოს, რომ ჭაობები მხოლოდ ნესტიან კლიმატურ პირობებში არსებობს.

ტყის არსებობის მაჩვენებელი ბევრია აგრეთვე ფარავნის ყორღანში (ძვ.წ. 27-26 სს.), რომელიც მდებარეობს ჯავახეთის პლატოზე (კოდიანის ყორღნის სამხრეთით და უფრო დაბალ ადგილას). ფარავნის ყორღნის პალინოლოგიურსპექტრებში კოდიანასთან შედარებით უფრო მეტია სითბომოყვარულ მცენარეთა მტვერი. ესენია: ძელქვა (*Zelkova carpinifolia*), კაკალი (*Juglans regia*) მუხა (*Quercus*), წიფელი (*Fagus orientalis*), თელა (*Ulmus*), ცაცხვი (*Tilia*), რცხილა (*Carpinus betulus*), ჯავრცხილა *Carpinus orientalis*), ტირიფი (*Salix*), მურყანი (*Alnus*) (სურ. 1,2). ქვეტყის ელემენტებისგან აღინიშნება თხილი (*Corylus*) და ბზაც (*Buxus*). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ჩატანებული ეტლისა და სხვა ხის კონსტრუქციის დაშლილ ორგანულ ნაშთებში განისაზღვრა მუხის, ფიჭვისა და ღვიის ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები (Kvavadze et al. 2007b; Kvavadze, Kakhiani 2010). ფოთლოვანი ტყის არსებობას ამტკიცებს ასევე ტყის გვიმრების სპორების აღმოჩენა, განსაკუთრებით კი გვიმრა გველის ენა (*Ophyoglossum vulgatum*), რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, დღეს მხოლოდ მთის ქვედა ნაწილში იზრდება - მაღალმთაში ცივი კლიმატური პირობების გამო ვერ ხარობს (Grossgeim 1949; Fisher et al.2018). ადრე ბრინჯაოს ეპოქაში აქ არსებულ თბილ კლიმატურ პირობებზე მეტყველებს აგრეთვე ხელსაფქვაზე კულტურული ვაზის მტვრის აღმოჩენა, რომელიც ფარავნის ტბასთან მევენახეობის არსებობის კვალია. განხილულ

რეგიონში მოგვიანებით ჩატარდა ფარავნის ტბის ფსკერის გაბურღვა. ტბის დანალექების პალინოლოგიურმა კვლევამ აგრეთვე აჩვენა, რომ ადრე ბრინჯაოს პერიოდში ფარავნის ტბის ნაპირები მუხისა და სხვა ფოთლოვნების ტყით იყო დაფარული (Messenger et al. 2013).

თუ როგორი იყო ძვ.წ. 27-26 საუკუნეებში ფარავნის ტბის მიდამოებში ნალექების რაოდენობა, ამაზეც არსებობს პასუხი. ისლიანების მტვრის მონაწილეობა პალინოლოგიურ სპექტრში, ისეთი სოკოს საკმაოდ დიდი რაოდენობა, როგორიცაა ხავსებში არსებული სოკო გეოგლოსუმი (*Geoglossum sphagnophilum*), თავად ხავსების ნაშთები, ტესტატური ამება არცელას (*Arcella*) ნაშთების არსებობა, რომელიც აგრეთვე სველ ხავსებში ბინადრობს, მიუთითებს (Begens and Meisterfeld 2001), რომ ფარავნის ყორღნის მიდამოებში ჭაობებიც უნდა ყოფილიყო. კვლევამ აგრეთვე აჩვენა, რომ ხავსით დაფარული იყო აგრეთვე ყორღნის ქვაყრილის ყველა დიდი ზომის ქვა (Kakhiani et al.2018). ეს კი იმას ნიშნავს, რომ განხილულ რეგიონში იმ დროს უფრო მეტი ნალექები მოდიოდა, ვიდრე დღეს, ანუ კლიმატი უფრო ნოტიო იყო.

ანალოგიური მონაცემები მიღებულია თოფიოლას ყორღნის მასალის პალინოლოგიური კვლევისას. როგორც უკვე აღინიშნა, თოფიოლას ყორღანი მდებარეობს 2000 მ. სიმაღლეზე და მისი მიდამოები სრულიად უტყეოა. როგორც კვლევამ აჩვენა, ტაბაწყურის ირგვლივ ადრე ბრინჯაოს ეპოქაში ფოთლოვანი და წიწვოვნების შერეული ტყე იზრდებოდა. გარდა აღნიშნულ მცენარეთა მტვრისა, ამას მოწმობს იმ გვიმრების სპორების დიდი რაოდენობა, რომლებიც იზრდება ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყის სარტყელში. ტაბაწყურის ნაპირები შესაძლოა დაჭაობებული ყოფილიყო ნოტიო კლიმატის გამო, რაც დასტურდება მტკნარი წყლის წყალმცენარეთა ნაშთებით.

თუ რა გარემო პირობები არსებობდა ამ დროს მესხეთის მთებში, ამაზე მეტყველებს ნამოსახლარების - თისელის სერისა და ჭობარეთის ორგანული ნაშთების პალინოლოგიური მონაცემები. ეს ორი ნამოსახლარი ყორღნებთან შედა-

რებით უფრო დაბალ სიმაღლეებზეა. თისელის სერის ნამოსახლარის სიმაღლეა 1800-1890 მ. უფრო დაბალია ჭობარეთის ნამოსახლარის მდებარეობა, რომელიც არ აღემატება 1600-1640 მეტრს.

თისელის სერი მდებარეობს დღევანდელ ნაძვანარში, სადაც, როგორც მინარევი, იზრდება ფიჭვი და სოჭი. ამ ტიპის ტყე კარგადაა ასახული თანამედროვე ნიადაგის პალინოლოგიურ სპექტრში. რაც შეეხება ადრე ბრინჯაოს ხანის ფენების სპექტრებს, რომლებიც მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელია, მათ სულ სხვა სახე აქვთ. თითქმის ყველა 32 გამოკვლეულ პალინოლოგიურ სპექტრში კარგადაა წარმოდგენილი ფოთლოვან მცენარეთა მტვერი. აქაც დომინანტებია რცხილა, მუხა, წიფელი, მურყანი. უხვადაა ტყის გვიმრები კილამურა (*Polypodium vulgare*) და გველის ენა (*Ophioglossum vulgatum*), ეწრის გვიმრა (*Pteridium tauricum*), გვიმრუტა (*Asplenium*), რომლებიც დამახასიათებელია ფართოფოთლოვანი ტყისთვის. წიწვოვან ტყეში იზრდება გვიმრა მარგალიტა, რომლის სპორები აღმოჩენილია მხოლოდ ცულის ტარის ხვრელში. ჩვენი აზრით, ეს იმით აიხსნება, რომ ცულს ძირითადად წიწვოვნების მოსაჭრელად ხმარობდნენ. ცნობილია, რომ მათი მერქანი უფრო რბილია და ადვილად იჭრება, ვიდრე ფოთლოვნების მერქანი (Ilvessalo-Pfaffli 1995; Fichter et al. 2004).

თბილი კლიმატური პირობების გამო ადრე ბრინჯაოს ეპოქაში თისელის სერი კარგად იყო ათვისებული. მოსახლეობის სიმჭიდროვე საკმაოდ მაღალი უნდა ყოფილიყო, რაზედაც მეტყველებს როგორც არქეოლოგიური მასალა, ისე პალინოლოგიური სპექტრები. აქ მიწათმოქმედება საკმაოდ მძლავრი იყო. გარდა მეხორბლეობისა, განვითარებული იყო მებაღეობა და მევენახეობა. ბაღებში ხარობდა კაკალი და თხილი.

ჭობარეთის ნამოსახლარის (ძვ.წ. 33-27 სს.) ორგანული ნაშთები ყველაზე დეტალურადაა შესწავლილი. პალინოლოგიურად გამოკვლეულია კულტურული ფენები, შენობების იატაკიდან აღებული ნიმუშები, სამეურნეო ორმოებისა და სათავსოების მასალა, სამარხების ორგანული ნაშთები და უამრავი ჭურჭლის შიგთავსი და

ხელსაფეკვავების მასალა (Kakhiani et al. 2013; Sagona 2014, 2018; Messenger et al. 2015). როგორც უკვე აღინიშნა, ჭობარეთის ნამოსახლარი მდებარეობს 1600-1640 მეტრის სიმაღლეზე, იგი განლაგებულია მთის სამხრეთ ფერდობის ხელოვნურ ტერასებზე და დღეს მისი ლანდშაფტი უტყეოა. შემორჩენილი ტყის მასივები იზრდება მთის ჩრდილო ექსპოზიციებსა და უფრო მაღალ ადგილებზე. ტყეში წიწვოვნები დომინირებს, თუმცა ადრე ბრინჯაოს ეპოქის მასალა გვიჩვენებს, რომ განხილულ რეგიონში სულ სხვა ტიპის მცენარეულობა უნდა ყოფილიყო. დღევანდელი წიწვოვნების ადგილზე იზრდებოდა ფართოფოთლოვანი ტყე, რომელშიც გავრცელებული იყო ჭქონდა რცხილა, წიფელი, თელა, მურყანი, კაკალი, თხილი, ცაცხვი, ჯაგრცხილა, უხრავი და სხვა ფოთლოვანი ხემცენარეები. პალინოლოგიურ სპექტრებში გვხვდება ისეთი სითბომოცვარული ხემცენარე, როგორცაა ძელქვა. იგი განისაზღვრა აგრეთვე მის ნახშირშიც (Messenger et al. 2013). უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ძელქვა საქართველოში 500-600 მეტრზე ზემოთ არ იზრდება (Kvavadze and Connor 2005; Fisher et al. 2018). გარდა მტვრის მარცვლებისა, ფოთლოვანი ტყის არსებობას ადასტურებს ტყის გვიმრების სპორების დიდი რაოდენობა. ძირითადად ესენია გველის ენა და კილამურა. მასალაში უხვადაა წარმოდგენილი ასევე ხემცენარეთა მერქნის ტრაქეალური უჯრედები. აღმოჩენილია ბზის მაკრონაშთებიც. როგორც ხელსაფეკვავების ორგანული ნაშთების სპექტრებმა აჩვენა, ჭობარეთში კარგად იყო განვითარებული მევენახეობაც.

თბილი და ნოტიო კლიმატური პირობები ხელს უწყობდა ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარებას, ითესებოდა ხორბლეული, რაზეც, გარდა პალინოლოგიური მონაცემებისა, მეტყველებს ნამოსახლარზე აღმოჩენილი უამრავი სამეურნეო ორმო. თითქმის ყველა სამეურნეო ორმოში ინახებოდა ხორბლეული, მხოლოდ რამდენიმეში არის აღმოჩენილი სილოსის ნაშთები, რაც შინაურ ცხოველებს ესაჭიროებოდა (Messenger et al. 2015).

ტყემლარას ველი (ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარი) უფრო დაბალ აბსოლუტურ სი-

მალევე მდებარეობს და ნაჭივჭავები (როგორც უკვე აღინიშნა, მისი აბსოლუტური სიმაღლეა 1450-1500 მ. და განლაგებულია ქვემო ქართლში, თეთრი წყაროს ჩრდილო-დასავლეთით). აქ აღმოჩენილი და შესწავლილი სამი ყორღნის (ყორღანი №1,2,16), სხვა ტიპის სამარხებისა და სამეურნეო ორმოების პალეოეკოლოგიური მასალის მიხედვით (ყორღანი №1,2,16) დგინდება: ადრე ბრინჯაოს პერიოდში დღევანდელი წიფლისა და რცხილის ტყის ადგილას იზრდებოდა ფართოფოთლოვანი ტყე, სადაც დომინირებდა ძელქვა და წაბლი. არცთუ ისე მცირე ფართობები ეკავა ცაცხვს და ლაფანს, რომლებიც დღეს განხილულ რეგიონში საერთოდ არ იზრდება. დიდ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ №2 ყორღნის დასაკრძალავი კამერის გადახურვაში გამოყენებული იყო ძელქვის აყვავებული ტოტები, რომელთა მტვრის მარცვლები კარგად არის დაფიქსირებული ყორღნის მასალაში (Kvavadze at al. 2004b). ყორღნებში ჩატანებულ ჭურჭელში ხორბლეულის გარდა აღმოჩენილია ასევე წაბლის ნაყოფის ნაშთები. აღსანიშნავია, რომ განხილული რეგიონის ადრე ბრინჯაოს პერიოდის თეთრიწყაროს ნამოსახლარის ფენებში ნაპოვნია ვიზუალურად ხილული შერჩენილი წაბლის ნაყოფის დიდი რაოდენობა (Gobejishvili 1978). ფართოფოთლოვანი ტყის არსებობა აქაც დასტურდება ტყის გვიმრების სპორების სიმრავლით, განსაკუთრებით ბევრია გვიმრა გველის ენის სპორები.

ის ფაქტი, რომ რეგიონში თბილი კლიმატის გამო კარგად იყო გავრცელებული მევენახეობა, ადასტურებს აგრეთვე ნაჭივჭავების ბავშვის სამარხში ჭურჭლით ჩატანებული ღვინო (Kvavadze 2011). ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, მტკვარ-არაქსის პერიოდისთვის ეს რიტუალი პირველადაა გამოვლენილი. ცხადია, რომ ბავშვისთვის ჩატანებულ ღვინოს ჰქონდა სამედიცინო დანიშნულება, რადგან ღვინოს და ძმარს დღესაც იყენებენ ეთნოფარმაკოლოგიაში, როგორც სიცხის დამწვევ საშუალებას.

ქვემო ქართლში დიდ ინტერესს იწვევს აქ გამოკვლეული ნამოსახლარი ძეძვების სამარხი №1. იგი უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ როგორც კოდიანის ყორღანში, აქაც, მიცვალებულს

ბულს დიდი ჭურჭლით თაფლი ჩაატანეს. თაფლის პალეოეკოლოგიური სპექტრი კი უაღრესად მდიდარია, მცენარეთა ტაქსონების დიდი სია კი დეტალური პალეოეკოლოგიური საკითხების გამოვლენის საშუალებას იძლევა. საყდრისის ირგვლივ იზრდებოდა ფართოფოთლოვანი ტყე, სადაც დომინირებდა ცაცხვი. ცაცხვის (*Tilia*) გარდა იზრდებოდა ფიჭვი (*Pinus*), კაკალი (*Juglans*), ლაფანი (*Pterocarya pterocarpa*), მუხა (*Quercus*), თხილი (*Corylus*) და ცხრატყავა (*Lonicera*), აგრეთვე გვიმრა გველის ენა (*Ophioglossum vulgatum*). ჩამოთვლილ მცენარეთა მიხედვით, ადრე ბრინჯაოს პერიოდში, საყდრისის ირგვლივ კლიმატური პირობები დღევანდელთან შედარებით უფრო თბილი და ნოტიო უნდა ყოფილიყო. თაფლის ნაშთები აღმოჩენილია მიცვალებულის ჩონჩხის თითქმის ყველა ძვალზე, რაც თაფლით ბალზამირებას ადასტურებს.

შიდა ქართლში არსებული ნამოსახლარების - გუდაბერტყას, ნაცარგორას, დედოფლის გორას (არადეთის ორგორა), ქვაცხელების, გრაკლიანი გორას, ბერიკლდეებისა და დოღლაურის სამარხების პალეოეკოლოგიური კვლევა ასევე აჩვენებს, რომ მტკვარ-არაქსის პერიოდში კლიმატური პირობები უფრო თბილი და ნოტიო იყო. აქაც არსებობდა წაბლის, ძელქვისა და ლაფნის ტყეები. ამ პერიოდში გავრცელებული იყო აგრეთვე ჭალის ტყეები, სადაც მურყანი და ლაფანი იზრდებოდა. უფრო შემალლებულ ადგილებზე ვრცელდებოდა ფართოფოთლოვანი ტყე, რომელშიც წაბლს, რცხილას, თელას, წიფელს, ძელქვას, ცაცხვს არცთუ ისე მცირე ადგილი ეკავა. სწორედ ამ ტყეებში იზრდებოდა გვიმრა გველის ენა და კილამურა. ახლომდებარე მთის უფრო მაღალ ქედებზე უკვე ფიჭვის ტყეები იყო, ხოლო მაღალმთაში - სოჭი და ნაძვი. ამ პერიოდში შიდა ქართლში კარგად იყო განვითარებული მევენახეობა-მეღვინეობა. არადეთის ორგორას არქეოლოგიური მასალით დასტურდება, რომ ღვინოს საკულტო დანიშნულება ჰქონდა - ღვინით სავსე ორი რიტონი მოთავსებული იყო საკურთხეველზე. მათთან ერთად საკურთხეველზე იდო ხორბლით სავსე თიხის ჭურჭელიც (Kvavadze at al 2019). აღსანიშნავია, რომ კვლავ გრძელდებოდა მიც-

ვალეზისთვის ჭურჭლით ღვინის ჩატანების რიტუალი, რაც დოღლაურის სამარხის მასალამ აჩვენა. მევენახეობის ასეთ მძლავრ განვითარებას კი ხელი შეუწყო იმდროინდელმა თბილმა და ნოტიო კლიმატურმა პირობებმა.

ადრე ბრინჯაოს ხანაში დათბობა გაგრძელდა მის მეორე ნახევარშიც, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე აღმოცენდა ახალი კულტურა, სახელად ბედენური კულტურა. იგი აღმოჩენილია ბედენის პლატოზე, სადაც გაითხარა ამ პერიოდის რამდენიმე ყორღანი (Gobejishvili 1981). არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ეს ყორღნები თარიღდება ძვ.წ. 25-22 საუკუნეებით. დღეს ბედენის პლატოზე, რომელიც მდებარეობს 1650-1800 მეტრ სიმაღლეზე, ვრცელდება მდელიოებისთვის დამახასიათებელი ბალახოვნები, პლატოს ირგვლივ კი იზრდება წიფლის ტყე (Kvavadze et al. 2015). ხევებში ასევე აღინიშნება სუბალპური მაღალმთის ელემენტები. ესენია: არყის ხე, მაღალმთის მუხა, მაღალმთის ნეკერჩხალი, იელი. აქ მკაცრი კლიმატური პირობებია, მაგრამ ბედენური კულტურის დროს ეს რეგიონი სულ სხვა მცენარეულობით იყო დაფარული - ჭარბობდა ფართოფოთლოვანი ტყე, სადაც იზრდებოდა ცაცხვი, რცხილა, ძელქვა, თელა, მუხა, წაბლი. აქ ლეღვიც იზრდებოდა, რომელიც დღეს, როგორც ძელქვა, მაღალ მთაში ვერ ხარობს.

ბედენური კულტურის დროის ყორღნები ხასიათდება უფრო მეტი ინვენტარით, რომელსაც მიცვალებულს ატანდნენ. გარდა ჭურჭლისა, რომელშიც საჭმელი იყო, ყორღანში აღმოჩენილია სელისა და შალის ქსოვილის თოფები, ხის ყუთები, ურმები, სავარძელი, უამრავი კალათა, რომლებშიც საჭმლის გარდა სამკურნალო მცენარეებიც იყო მოთავსებული. ირკვევა აგრეთვე, რომ ამ დროს ბედენის პლატოზე განვითარებული იყო მძლავრი მიწათმოქმედება. გარდა მეხობლეობისა, იმდროინდელი ადგილობრივი მოსახლეობა მისდევდა მებაღეობა-მევენახეობას.

ბედენური კულტურის ეპოქას, როგორც უკვე აღინიშნა, მიეკუთვნება თეთრიწყაროს (ნადარბაზევი) ყორღანი №2. მისი ორგანული ნაშთების პალეოკოლოგიურ სპექტრებში ბევრია ხემცენარეთა

მტვერი. ესენია: წიფელი, მუხა, რცხილა, ლეღვი, თხილი. კარგადაა წარმოდგენილი გვიმრა კილა-მურასა და ტაბულას სპორები. ეს მცენარეები დამახასიათებელია ფართოფოთლოვანი ტყისთვის.

ანანაურის ყორღანი, რომელიც მდებარეობს ალაზნის ველზე, არქეოლოგიური მასალის საფუძველზე თარიღდება ბედენური კულტურის პერიოდით (Makharadze and Murvanidze 2014). რადიოკარბონულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ყორღანი აგებულია ძვ.წ. 2370 წელს (Makharadze 2016). პალეოკოლოგიური მეთოდით შესწავლილია 32 ნიმუში, რომლებზეც აღმოჩნდა უამრავი მცენარის მტვერი. ტაქსონომიური სია ძალზე დიდია (100-ზე მეტი მცენარისა), რომლის მიხედვითაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ალაზნის ველზე კლიმატი გაცილებით უფრო თბილი და ნოტიო იყო, ვიდრე დღეს არის. სითბომოყვარული მცენარეების გარდა, ამ ვარაუდს ადასტურებს აგრეთვე მიცვალებულის მუცლის არეში აღმოჩენილი პარაზიტული ჭიის ტრიქურას (*Trichuris trichiura*) კვერცხები. ტრიქურას, როგორც აღვნიშნეთ, სხვაგვარად ტროპიკულ დაავადებასაც უწოდებენ, რადგან იგი დღეს ძირითადად სამხრეთის თბილ ქვეყნებშია გავრცელებული. თბილი კლიმატური პირობების არსებობის კარგი მაჩვენებელია აგრეთვე მტკნარი წყლის სითბომოყვარული წყალმცენარე *Pseudoschizaea*, რომელიც ნაპოვნია ანანაურის ყორღნის მასალაში.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ანანაურის ყორღანში აღმოჩენილია სელისა და შალის, ან მათი ნარევით მოქსოვილი ტექსტილი. გარდა ამისა, პირველადაა ნაპოვნი და განსაზღვრული თექის ნაშთები. ერთ-ერთი ეტლის ქვეშ მოთავსებული იყო თაფლით სავსე დიდი ზომის ხის ჭურჭელი. თაფლის ნაშთები აღმოჩენილია აგრეთვე ყველა მიცვალებულის ჩონჩხზე, რაც თაფლით ბალბამირებას ადასტურებს.

მამასადაძე, მასალის ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე დგინდება, რომ ადრე ბრინჯაოს პერიოდში თითქმის მთელი სამცხე-ჯავახეთი, შიდა და ქვემო ქართლის ტერიტორია ტყით იყო დაფარული. ამასთან, სამცხე-ჯავახეთის მთებში ტყის გავრცელების ზედა საზღვარი მდებარეობ-

და დაახლოებით 2600-2700 მეტრზე. დღეს კი სუბალპური წიფლის ტანბრეცი ტყის რელიქტური ნაშთები შემორჩენილია მხოლოდ 2300 მეტრზე (Arabuli et al. 2008). ამიტომ, შესაძლებელი ხდება იმისი ვარაუდი, რომ ადრე ბრინჯაოს პერიოდში ტყის ზედა ზოლი დღევანდელთან შედარებით ზოგადად 300-400 მეტრით ზემოთ უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება წიწვოვანი ტყეების სარტყელს, თრიალეთისა და ჯავახეთის სხვა ქედებზე იგი განლაგებული იყო 2300-2400 მ ფარგლებში. სა-

ვარაუდოდ, იმ დროს წიწვოვნების გავრცელების ფართობი გაცილებით უფრო მცირე იყო, ვიდრე ფოთლოვნებისა, მაგრამ უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სითბომოყვარულ ფართო-ფოთლოვნებს. ის ფაქტი, რომ ძელქვა, კაკალი, ლელვი, ლაფანი და ვაზი იზრდებოდა 1800-1900 მ სიმაღლემდე, იმაზე მეტყველებს, რომ სამხრეთ საქართველოში ადრე ბრინჯაოს ხანაში კლიმატი გაცილებით უფრო თბილი უნდა ყოფილიყო, ვიდრე საქართველოს სხვა ადგილებში.

თავი მეოთხე

ადამიანის სამეურნეო საქმიანობა ადრე ბრინჯაოს ეპოქაში

ჩვენ მიერ განხილულ პერიოდში (ძვ.წ. 33-22 სს.), რომელიც თბილი და ნოტიო კლიმატური პირობებით ხასიათდებოდა, ადამიანი სახლდება და ითვისებს მაღალი მთის ადგილებს. ეს პროცესი მიმდინარეობს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მთელ ამიერკავკასიაში, კავკასიის ჩრდილო ნაწილსა და ახლო აღმოსავლეთში (Connor, Kvavadze 2008, 2014; Connor 2011; Sagona 2014, 2018), რადგან აღნიშნულ დათბობას გლობალური ხასიათი ჰქონდა. გარდა შიდა ქართლისა, არქეოლოგიური მასალის პალინოლოგიური კვლევა აჩვენებს მიწათმოქმედების მძლავრ განვითარებას სამხრეთ საქართველოს მთის მაღალ ზონაში. როგორც აღინიშნა, იმ დროს ბუნებრივი მთის ლანდშაფტი თითქმის ყველგან ტყიანი იყო. თუ როგორ ახერხებდა ადამიანი სამიწათმოქმედო ადგილების ტყისგან გამოთავისუფლებას, ამის რამდენიმე ხერხი არსებობდა. უწინარესად ეს იყო ტყის მასივების გადაწვა. ამიერკავკასიის ტბებისა და სხვა გეოლოგიური ჭრილების პალინოლოგიურ მასალაში ხანძარი ფიქსირდება ნახშირის მიკროსკოპული ნაშთების არსებობით (Connor 2011; Joannin et al. 2014). საქართველოს ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით, სამიწათმოქმედო ადგილის მოსუფთავება ხდებოდა და დღესაც ხდება შემდეგი მეთოდით: იჭრებოდა ერთი დიდი ზომის ხე. შემდგომ ამ ხეს უკიდებდნენ ცეცხლს და ამ გზით აჩენდნენ ხანძარს. მოსუფთავებულ სახნავ ადგილს უწოდებდნენ „ახოს“, რომელიც როგორც ტოპონიმი და ასევე გეოგრაფიული ტერმინი დღესაც არსებობს (Ukleba 1967; Chubinishvili 1984). ამასთანავე, ტყის გაჩეხვას ადრე ბრინჯაოს ხანაში მეტალურგიის განვითარებამაც შეუწყო ხელი. ამის კარგი მაგალითია თისელის სერის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ლითონის ცული (Gogochuri and Ordjonikidze 2010). მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი ცულები აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოში (ძეგლები - ქულბაქები, იალბუზი, მეჯვრისხევი, ბრდაძო-

რი). ანალოგიური ცულები ნაპოვნია სომხეთშიც (Gogochuri and Ordjonikidze 2010). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ანანაურის ყორღნის უზარმაზარ სწორად მოჭრილ მორებსა და იატაკის ფიცრებზე აშკარად ჩანს ხერხის კვალი, რომლითაც დიდი მორები დაიხერხა (Makharadze et al. 2016; ზ. მახარაძე, ზეპირი გადმოცემა). თავად ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია ასევე ბრინჯაოსგან დამზადებულმა შრომის იარაღებმა, როგორცაა: თოხი, ნამგალი, ცელი და სხვ.

სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე მიწათმოქმედების განვითარებას ხელი ვერ შეუშალა რთულმა ოროგრაფიულმა პირობებმა და ვულკანური წარმოშობის კლდოვანმა ფერდობებმა. იმდროინდელმა ადამიანმა უკვე 5300-5000 წლის წინ ისწავლა ტერასების გაშენება, სადაც თესავდა ხორბლეულს, აშენებდა ბალებსა და ვენახებს. უძველესი ტერასები დღესაცაა შემორჩენილი ჭობარეთსა და სამხრეთ საქართველოს სხვა ადგილებში. ადამიანის ამგვარი აქტივობა გამართლებული იყო, რადგან რბილი კლიმატური პირობების გამო მოსავალი მთელი ადრე ბრინჯაოს პერიოდში კარგი უნდა ყოფილიყო. ამის დასტურია უამრავი სამეურნეო ორმო, დიდი ზომის დერგები და სხვა დიდი ჭურჭელი, რომლებშიც ხორბლეულისა და მათი ნათესების სარეველების მტვრის მარცვლები, ხორბლის ფიტოლიტები და სახამებელი არის აღმოჩენილი. გარდა ამისა, ობის სოკო მუკორისის სპორები დიდი რაოდენობა აღინიშნება იმ ჭურჭელში ან სამეურნეო ორმოში, სადაც ხორბლეულობა ინახება. ეს სოკო ობის სახით უჩნდება ხორბალს და მის ხარისხს აუარესებს. უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს მხოლოდ ნესტიან კლიმატურ პირობებში. ამრიგად, სოკო მუკორისის სპორების დიდი რაოდენობა ნოტიო კლიმატის არსებობის კიდევ ერთი კარგი არგუმენტია.

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის მიწათ-მოქმედების არსებობის კარგი მარკერია აგრეთვე სოკო გლომუსის (*Glomus*) სპორა, რომელიც მხოლოდ დამუშავებულ, მოხნულ ნიადაგზე ვრცელდება. ჭობარეთის ნამოსახლარზე ოთახების გათხრებისას იატაკზე ვიზუალურად ჩანდა გაფანტული ხორბლის მარცვლების საკმაოდ დიდი რაოდენობა. ეთნოპალეობოტანიკურმა კვლევამ დაადგინა ხორბლის ჯიშებიც (Messager et al. 2015). ძირითადად, ესენია რბილი ხორბალი *Triticum aestivum* (naked wheat) and *Triticum dicoccum* (emmer). მცირე რაოდენობითაა *Triticum monococcum*. განსაზღვრულია აგრეთვე ქერი (*Hordeum*). მეხორბლეობის ინტენსივობას ადასტურებს აგრეთვე ხელსაფქვაკვების დიდი რაოდენობა და, მათ შორის, დიდი ზომისა. სათესი მარცვლოვნებისა და მათი სარეველების მაკროსკოპული ნაშთები შესწავლილია აგრეთვე ბერიკლდეების ნამოსახლარზე. ნანა რუსიშვილის მიერ აქ განისაზღვრა რბილი ხორბალი (*Triticum aestivum*), ექვსმწკრივა კილიანმარცვლოვანი ქერი (*Hordeum vulgare*), სარეველა ჭვავი (*Secale segetale*), ჩვეულებრივი ბარდა (*Pisum sativum*), უგრეხელი (*Vicia evrillia*), ბრტყელკალა ბირკა (*Onopordon* sp.).

ის ფაქტი, რომ ნამოსახლარების მასალაში, ისევე როგორც ყორღნებსა და სამარხებში ბევრია სელის ქსოვილის ბოჭკო, ადასტურებს სელის ნათესების ფართოდ გავრცელებას. ფარავნის ყორღანში, როგორც უკვე აღინიშნა, იატაკზე სელის ხალიჩა იყო დაფენილი. სელის ქსოვილს აფენდნენ აგრეთვე სამეურნეო ორმოს ძირში. ადამიანის სამოსი, გარდა შალის ქსოვილისა, ძირითადად სელის უნდა ყოფილიყო. ბედენისა და ანანაურის ყორღნების ქსოვილის გამოკვლევამ აჩვენა, რომ ფეიქრობა კარგად იყო განვითარებული. შალის ქსოვილის ძაფს სიმაგრისთვის ხშირად სელის ძაფს უმატებდნენ (Kvavadze et al. 2015; 2016). ანანაურის №3 ყორღნის ქსოვილის ფრაგმენტების კვლევისას დადგინდა, რომ ქსოვილების დამზადებისას გამოყენებული იყო ე.წ. რთვის ტექნიკა. ქსოვა შესრულებულია საწაფებით დაჭიმულ ქსელიან დაზგაზე, რომელზეც საშუალოდ 40 გრ. სიმძიმის საწაფები ეკიდა (Kalandadze and Sakhvadze

2016). ამ დროს ცნობილი იყო თექის დამზადების ტექნოლოგია, რომელიც პირველად სწორედ ანანაურის №3 ყორღანშია აღმოჩენილი და დაფიქსირებული (Kvavadze 2016).

ადრე ბრინჯაოს პერიოდში კარგად იყო განვითარებული მებაღეობა და მევენახეობა. თითქმის ყველა გამოკვლეული ძეგლის მასალაში აღინიშნება კაკლის, თხილისა და ჩვეულებრივი ვამის მტვერი, აგრეთვე ვენახების სარეველათა მტვრის მარცვლები. ამიტომაც ღვინოს მტკვარ-არაქსულ პერიოდში უკვე ჰქონდა საკულტო დანიშნულება. ღვინით სავსე ორი რიტონი აღმოჩენილია არადეთის ორგორას ნამოსახლარის შენობაში არსებულ საკურთხეველზე (Kvavadze et al. 2019). ღვინოს ამ დროს მიცვალებულსაც ატანდნენ. ბედენური კულტურის დროინდელ ყორღნებში გარდაცვლილს დიდი რაოდენობით თხილსა და წაბლს ულაგებდნენ. ატანდნენ აგრეთვე ლევსა და ყურძენს (Kvavadze et al. 2013; Kvavadze 2016; Rusishvili 2016).

განხილულ არქეოლოგიურ პერიოდში მესაქონლეობაც კარგად იყო განვითარებული, რისი არგუმენტებიც პალინოლოგიურმა მეთოდმა გამოავლინა. პირველი და მთავარი ის არის, რომ სანაგვეების ორმოებსა და სხვა სახის კონსტრუქციებში ნაპოვნია ნაკელის სოკოების სპორები, რომლებიც მხოლოდ მცონხელთა ნაკელზე იზრდება. ესენია: სოკო სორდარია (*Sordaria*), სპორორმიელა (*Sporormiella*), ჰაეტომიუმი (*Chaetomium*) და სხვ. მძლავრი არგუმენტია ისიც, რომ თითქმის ყველა განხილული ძეგლების ფენებსა და არტეფაქტებზე აღმოჩენილია შალის ქსოვილის ბოჭკო, რომელიც მეცხვარეობის განვითარების დასტურია. მეღორეობის არსებობის კარგი არგუმენტია იმ პარაზიტული ჭიის კვერცხების აღმოჩენა, რომლებიც ღორს უჩნდება და მერე ადამიანზეც გადადის. ასეთია ღორის სოლიტერი (*Taenia solium*), რომლის კვერცხები ნაპოვნია ადრე ბრინჯაოს ხანის მასალაში. ღვიძლის ორპირას (*Fasciola hepatica*) და ტრიქურას (*Trichuris trichiura*) ჭიების შუამავალი მასპინძელი ასევე შინაური ცხოველები არიან და მათი კვერცხები აღმოჩენილია ანანაურის ყორღნის მიცვალებულის ქალის გავის ძვალთან (Kvavadze 2016).

პალინოლოგიურმა კვლევამ აჩვენა ადრე ბრინჯაოს პერიოდის მეფუტკრეობის ინტენსიური განვითარება. გამოყოფილია ჭურჭელში და სხვა არტეფაქტებზე თაფლის იდენტიფიკაციის ახალი კრიტერიუმები. ესენია: ფუტკრის ბუსუსები, მისი კლანჭისებური ტერფები და ეპიდერმული უჯრედები (სურ. 74,75). თაფლში აგრეთვე ყოველთვის არის თაფლოვან მცენარეთა მტვრის მარცვლების გუნდები, რომლებსაც ფუტკარი მის ყვავილზე აგროვებს. საქართველოს ტერიტორიაზე მეფუტკრეობის არსებობა პალინოლოგიური მეთოდით დადგინდა ადრესამიწათმქმედო კულტურის დროის ძეგლის, შულავერის გორის ჭურჭლის მასალაზე. ამ არტეფაქტის ასაკია ძვ.წ. VI ათასწლეული (Jalabadze et al. 2010; Kvavadze et al. 2014). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანმა, როგორც კი დაჯდა მიწაზე, დაიწყო ველური მცენარეებისა და ცხოველების მოშინაურება, იმავე დროს მან ფუტკარიც მოაშინაურა და მასზე ზრუნავდა. როგორც უკვე აღინიშნა, ადრე ბრინჯაოს პერიოდის თბილმა და ნოტიო კლიმატურმა პირობებმა მცენარეული საფარი გაამდიდრა ფართოფოთლოვანი ტყით და ტყის მდელოებით, სადაც უამრავი თაფლოვანი მცენარე იზრდებოდა. სწორედ ამ ფაქტმა ხელი შეუწყო მეფუტკრეობის განვითარებას მაღალ მთაშიც. ამის კარგი მაგალითია კოდიანის ყორღანი, სადაც მიცვალებულს სამივე ჭურჭელში სხვადასხვა საუკეთესო თაფლი ჩაატანეს. გარდა მცენარეულობისა, მეფუტკრეობის მძლავრი განვითარება იმიტაც აიხსნება, რომ ადრე ბრინჯაოს დროის ახალი დარგის, მეტალურგიისთვის საჭირო იყო ცვილის დიდი რაოდენობა - როგორც ცნობილია, ყალიბს ცვილისგან ამზადებდნენ. სხვაგვარად რომ ითქვას, ცვილზე დიდი მოთხოვნა უნდა ყოფილიყო და ამიტომაც მეფუტკრეობა პრიორიტეტულ დარგად იქცა. ამასთან დაკავშირებით სავარაუდოა, რომ ძეძვების ნამოსახლარზე მეფუტკრეობის განსაკუთრებული მნიშვნელობა დაკავშირებულია საყდრისის საბადოსთან, სადაც ოქრო და სხვა ძვირფასი ლითონები მოიპოვებოდა. იქ არსებულ მეტალურგიას (Gambashidze et al. 2016; Stöllner and Gambashidze 2018) ცვილის საჭიროება უთუოდ ექნებოდა. ძეძვების მოსახლეობა ცვილს მეტალურგიას ახმარდა, თაფლის

დიდი რაოდენობას კი მიცვალებულის ბალზამირებისთვის იყენებდა. მათ ეგვიპტელებზე ადრე, ანუ დაახლოებით 5000 წლის წინ უკვე იცოდნენ თაფლისა და ცვილის ანტიმიკრობული და ანტი-სეპტიკური თვისებები და ზაფხულის ცხელ კლიმატურ პირობებში მიმართავდნენ თაფლით დაბალზამების მეთოდს.

მოგვიანებით, ალაზნის ველზე ადრე ბრინჯაოს კულტურის ხანაში ცხელი ზაფხული იყო, ამიტომაც იქაური მოსახლეობა ყველა მიცვალებულს თაფლით აბალზამებდა და ისე კრძალავდა ანანაურის ყორღანში (Kvavadze 2016). ეს მეთოდი გრძელდებოდა ადრე შუა საუკუნეების დათბობის დროსაც. ჩაილურის სამარხში (კახეთი) მამაკაცის ჩონჩხის ძვლებსა და თავის ქალაზე პალინოლოგიური მეთოდით აღმოჩენილია თაფლის ნაშთები (Kvavadze 2011).

თავი მესამე

ადამიანის ყოფის ზოგიერთი თავისებურებაანი

პალეოდიეტა. განხილული ძეგლებიდან მოპოვებული სამხარეულო ჭურჭლის შიგთავსი ადრე ბრინჯაოს ხანის ადამიანის დიეტის აღდგენის საშუალებას იძლევა, რადგან შიგთავსის პალინოლოგიური სპექტრი შეიცავს საკვებ მცენარეთა მტვერს და სხვა სახის საჭმლის ნაშთებს. პალეოდიეტის ინფორმაციას შეიცავს აგრეთვე სამეურნეო ორმოები, ხელსაფქვავეები და მიცვალებულის სარიტუალო ჭურჭლის შიგთავსი. განხილული საკითხის საინტერესო მონაცემები ფიქსირდება აგრეთვე მიცვალებულის ჩონჩხის მუცლის არეში, სადაც დარჩენილია ბოლო სადილის ნაშთები.

მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლების, განსაკუთრებით კი თისელის სერისა და ჭობარეთის ნამოსახლარების უმეტეს ჭურჭელში ნაპოვნი ხორბლის, ხორბლეულის ფქვილისა ან ხორბლეულის ფაფეულის მიკროსკოპული ნაშთები, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის ძირითადი საკვები ხორბლეული უნდა ყოფილიყო. ჭობარეთის №8 სამარხის მიცვალებულს თხის ქოთნით ხორბლის ფაფაც კი ჩაატანეს. ტყემლარას ველის №16 ყორღნის ჭურჭელში ასევე დაფიქსირდა ხორბლის (*Triticum*) არსებობა. ხორბლით სავსე ჭურჭელი მოთავსებულია არადეთის ორგორას საკურთხეველზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ხორბალს საკულტო დანიშნულება ჰქონდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროის თითქმის ყველა სამარხის მიცვალებულის მუცლის არეში აღმოჩენილია ხორბლის მტვერის, მისი სახამებლისა და ფიტოლიტების ნაშთები, რომლებიც ყოველთვის მიჰყვება პურს, ფქვილისა და ხორბლეულის სხვა ნაწარმს. აღსანიშნავია, რომ პალინოლოგიური კვლევის შედეგები დადასტურდა მასალის პალეობოტანიკური კვლევიტაც. აღმოჩენილია რამდენიმე ხორბლის ჯიმის (*Triticum monoccocum*, *Triticum diccocum*, *Triticum aestivum*), ფეტვისა (*Panicum miliaceum*) და ქერის (*Hordeum vulgare/distichum*) მარცვლების, მისი თავთავებისა და სხვა ნაწილების განამარხებული ნაშთები (Messenger et al. 2015).

გარდა ხორბლეულისა, ჭობარეთის №4 სამარხის მიცვალებულის მუცლის არეში ნაპოვნია ნაცარქათამას (*Chenopodium*) მტვერის საკმაოდ დიდი რაოდენობა. ამ მცენარის ფოთლები და მისი მარცვლებიც ნეოლითური დროიდან უკვე იყო ერთ-ერთი ძირითადი საკვები როგორც ამიერკავკასიაში, ისე ევროპაში (Kvavadze et al. 2014; Muller-Bieniek et al. 2019). დოღლაურის №7 სამარხის მიცვალებულის მუცლის არეში კი ბევრია წიწიბურასა (*Fagopyrum*) და ხორბლეულის (*Cereal*) მტვერის მარცვლები. სხვა სამარხების მიცვალებულის მუცელთან აღმოჩენილია ჭინჭრის (*Urtica*), ბოსტნის წალიკას (*Polygonum persicaria*), კაკლის (*Juglans regia*), თხილის (*Corylus*), ბალბის (*Malva*), ჭვავისა (*Secale*) და სხვა საკვებ მცენარეთა მტვერის მარცვლები, მათი სახამებელი და ფიტოლიტები. უმეტესი ჩამოთვლილი მცენარის მტვერის მარცვლები ნაპოვნია აგრეთვე ხელსაფქვავეებზე. დიდი ზომის ხელსაფქვავეებზე კაკლის მტვერის სიჭარბე იმ ფაქტით შეიძლება აიხსნას, რომ ხელსაფქვავის ქვაზე ყოველთვის კაკალს ამტვრევდნენ. სახლის პირობებში ეს მოხერხებული იქნებოდა. ხელსაფქვავეებზე აღმოჩენილია აგრეთვე სხვა საკვებ მცენარეთა მტვერი. ესენია კენკროვანი მცენარეები: ხეტრელი (*Rhamnus*) და კვიდო კენკრა (*Ligustrum*). აღინიშნება ქერი (*Hordeum*), შვრია (*Avena*), წიწიბურა (*Fagopyrum*), მუაუნა (*Rumex*), ნაცარქათამა (*Chenopodium album*), ყაყაჩო (*Papaver*), ნიახური (*Apium*), ჩვეულებრივი ვაზი (*Vitis vinifera*), პარკოსნები (Fabaceae).

ნაჭივჭავების №3 სამარხის ჭურჭელში, დოღლაურის №12 სამარხის სამივე ჭურჭელში ჩვეულებრივი ვაზის (*Vitis vinifera*) მტვერის აღმოჩენა (რაც იქ არსებული ღვინის კვალს წარმოადგენს), ადასტურებს ღვინის საკულტო და სარიტუალო დანიშნულებას. ღვინის საკრამენტულ მნიშვნელობაზე მიგვითითებს არადეთის ორგორას საკურთხეველზე აღმოჩენილი ღვინით სავსე ორი

რიტონი (Kvavadze et al. 2019). ამიტომ, ჩვენი ვარაუდით, ყურძენსა და მის პროდუქტს ადამიანის დიეტაში დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ჩატარებული პალინოლოგიური კვლევა ადასტურებს აგრეთვე თავლის დიდ როლს განხილული დროის დიეტაში. თავლს, ისევე როგორც ღვინოს და ხორბალს, სარიტუალო დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა, რაც დასტურდება კოდიანის ყორღნის კვლევით, სადაც მიცვალებულს სამივე ჭურჭლით სხვადასხვა სახეობის საუკეთესო თავლი ჩაატანეს. თავლით სავსე დიდი ჭურჭელი გაატანეს საიქიო ცხოვრებისთვის ძეძვების ნამოსახლარზე შესწავლილ სამარხსა და ანანაურის №3 ყორღანში დაკრძალულ მიცვალებულებს. ჭურჭელში თავლის ნაშთი აღმოჩენილია გუდაბერტყას ნამოსახლარის ჭურჭელშიც. აღსანიშნავია, რომ უძველესი თავლის განსაზღვრაშიც დიდი უპირატესობა ენიჭება არაპალინოლოგიურ ნაშთებს. ესენია: ფუტკრის ბუსუსები, მათი კლანჭისებური ტერფები და ეპიდერმისი. დადგენილია აგრეთვე, რომ თავლში, გარდა თავლოვანი მტვრის დიდი რაოდენობისა, ყოველთვის არსებობს მათი მტვრის მარცვლების გუნდები, რასაც ფუტკარი მცენარეების ყვავილებზე აგროვებს.

რაც შეეხება ადრე ბრინჯაოს ხანის ადამიანის დიეტას, საინტერესო მონაცემები მიღებულია იზოტოპური ანალიზის შედეგად. აღნიშნული მეთოდით გამოკვლეულია ჭობარეთის ნამოსახლარის მიცვალებულების ძვლები. იზოტოპურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მცენარეულ საკვებს ადრე ბრინჯაოს მოსახლეობისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა (Messenger et al. 2015). ამ კვლევით გაირკვა აგრეთვე, რომ ადამიანის დიეტაში ცხოველური საკვები (ხორცი, თევზი და რძის ნაწარმი) არცთუ ისე ცოტა იყო. პალინოლოგიური კვლევა ადასტურებს ამ შედეგებს, რადგან თისელის სერის №8 სამარხის მიცვალებულის მუცლის არეში აღმოჩენილია პარაზიტული ჭიის, ღორის სოლიტერის (*Taenia solium*) კვერცხი, რაც იმას ნიშნავს, რომ ადრე ბრინჯაოს ხანაში ადამიანი ჭამდა ღორის ხორცს. ცნობილია, რომ აღნიშნული ჭელმინთით ინფიცირება შეიძლება მხოლოდ ღორის ხორციით (Pawlowski and Prabhakar 2002; Garcia et al. 2014). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ

ჩვენი კვლევის ფარგლებში რძის არსებობა დაფიქსირდა გუდაბერტყას ნამოსახლარის (შენიშვნა №1, ჭურჭელი №2) ხელადაში. ანადუღარი რძის იდენტიფიკაციის ხელი შეუწყო მასში არსებულმა ცხიმმა, დამწვარი ხის მერქნის უჯრედებმა და ნაკელის სოკოს არსებობამ, რითაც კარგად იკვეთება არაპალინოლოგიური ნაშთების მნიშვნელობა არქეოლოგიური კვლევის საკითხებში. მტკვარ-არაქსის პერიოდში თევზი ადამიანის რაციონში რომ უნდა ყოფილიყო, ამას ადასტურებს დოღლაურის სამაროვნის №12 სამარხის მიცვალებულის მუცლის არეში ნაპოვნი თევზის პარაზიტული ჭიის კვერცხები (*Diphyllobothrium*), რომლებიც თევზის ჭამისას შეჰყვა ადამიანს.

როგორც უკვე აღინიშნა, ბედენური კულტურის ხანის ყორღნების მასალა აღმოჩნდა ყველაზე მდიდარი და ინფორმაციული, რადგან მრავალ არტეფაქტს განამარხების პირველი ეტაპებიდანვე შეექმნა კონსერვაციის იდეალური პირობები. აღნიშნულ ყორღნებში ბევრია წაბლის, კაკლის, თხილის, მარცვლეულისა და კენკროვანი მცენარეების ნაყოფებიც კი. აღმოჩენილია გამომცხვარი პური და ტკბილი, თავლითა და თხილით დამზადებული ორცხობილა (Kvavadze et al. 2016). როგორც ანანაურის №3 ყორღნის მასალამ აჩვენა, მიცვალებულს დიდი ჭურჭლით ატანდნენ თავლს (Kvavadze 2016), რაც მისი დიეტის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა ყოფილიყო.

სამკურნალო საშუალებები. მტკვარ-არაქსის პერიოდის სამარხების მასალაში დაფიქსირებულია იმ სამკურნალო მცენარეთა მტვერი, რომლებითაც მიცვალებული მკურნალობდა სიცოცხლის ბოლო დღეებში. მაგალითად, თისელის სერის №8 სამარხში ჩონჩხის მუცლის არეში ერთადაა ნაპოვნი პარაზიტული ჭიის კვერცხები და ისეთი გვიმრების სპორების დიდი რაოდენობა, რომელთა ნაყენით დღესაც იკურნება ჭელმინთოზები. ესენია: გვიმრა გველის ენა (*Ohnioglossum vulgatum*), გვიმრუჭა (*Asplenium*), კილამურა (*Polypodium vulgare*), სამეფო გვიმრა (*Osmunda regalis*). ჭობარეთის სამარხებში გარდაცვლილის მუცლის არეში აღმოჩენილია ისეთი ბალახოვანი სამკურნალო მცენარეების მტვერი, როგორცაა: ფარსმანდუკი (*Achillea*), ღიღილო

(*Centaurea*), მრავალძარღვა (*Plantago*), გვიმრა გველის ენა (*Opioglossum vulgatum*). გვიმრა გველის ენას სპორები ნაპოვნია აგრეთვე ძეძვების სამარხის მიცვალებულის მუცლის არეში. ჭობარეთის ნამოსახლარის №1 სამარხში კი, მხოლოდ მუცლის არეში, ნაპოვნია სამედიცინო დანიშნულების ხემცენარეები: არყი (*Betula*), ღვია (*Juniperus*), ეფედრა (*Ephedra procera*), ძელქვა (*Zelkova carpinifolia*), ნეკერჩხალი (*Acer*). უნდა აღინიშნოს, რომ ფარსმანდუკი, ღიღილო და მრავალძარღვა თითქმის ყველა სამარხის მიცვალებულის მუცლის არეშია დაფიქსირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სამი მცენარე ფართო ხმარებაში უნდა ყოფილიყო იმდროინდელ ეთნოფარმაკოლოგიაში. საინტერესოა ისიც, რომ ზედა პალეოლითური ხანის ადამიანმა უკვე იცოდა ჩამოთვლილი სამი მცენარის იმ სამკურნალო თვისებების შესახებ, რომლებიც მოყვანილია მე-4 ცხრილში (Martkoplishvili and Kvavadze 2015; Martkoplishvili 2017).

უხვადაა სამკურნალო მცენარეთა მტვერი აგრეთვე მტკვარ-არაქსულ ხელსაფქვავეებზე. სავარაუდოდ, მასზე იხეხებოდა ან იფქვებოდა ამ მცენარეთა გამხმარი ნაყოფები, თესლები, ფესვები. აღმოჩენილია მურყნის, ღვიის, არყის, ძელქვის, ეფედრის, ვაზის, ბაბუაწვერას, ფარსმანდუკის, ღორის ბირკის, სამყურას, ჭინჭრის, ყაყაჩოს, კატაბალახას, მრავალძარღვას, ღიღილოს, ბაიას, ნიახურის, ნემსიწვერასა და ლაშქარას მტვერის მარცვლები. ჩამოთვლილი ყველა მცენარე სამკურნალოა (ცხრილი 4). მტკვარ-არაქსის პერიოდის მასალაში პალინოლოგიური მეთოდით აღმოჩენილია 50-მდე სამკურნალო მცენარე.

ჩვენ მიერ განხილული ბედენის კულტურის სამივე ყორღანში არსებული ხის ყუთები და კალათები, რომლებშიც მხოლოდ სამკურნალო მცენარეები ელაგა, მიუთითებებს ამ დროში გაჩენილი დაკრძალვის ახალი ტრადიციის არსებობაზე, რომლის მიხედვითაც, მიცვალებულს აუცილებლად ატანდნენ პირველადი დახმარების აფთიაქებს.

ცხრილი 4. ბრინჯაოს ხანის სამკურნალო მცენარეები და მათი ფარმაკოლოგიური თვისებები

მცენარე	ოჯახი	გამოსაყენებელი ნაწილი	ფარმაკოლოგიური თვისებები	ლიტერატურა
<i>Abies nordmanniana</i> (კავკასიური სოჭი)	Pinaceae	წიწვი, გირჩა, მერქანი	რევმატიზმი, სასუნთქი გზების დაავადებები, ასთმა, ტუბერკულოზი, კატარაქტა, ყივანახველა.	Khare 2007; Busmann et al. 2016
<i>Acer</i> (ნეკერჩხალი)	Aceraceae	ქერქი	დიბენტერია, მუცლის ტკივილი, ხველა.	Duke et al. 2002; Quattrocchi 2012
<i>Achillea millefolium</i> (ფარსმანდუკი)	Asteraceae	ფოთლო, ღერო, ყვავილი	კუჭ-ნაწლავის დაავადებები; ანემია, დიაბეტი, გაციება, თვალის დაავადებები, ანტიჰემინთური, დიარეა.	Alarcón et al. 2015; Fortini et al. 2016
<i>Alisma</i> (წყლის მრავალბარღვა)	Alismataceae	ფოთლო, ყვავილი	სისხლდენა, ასთმა, ყელის ტკივილი, შარდმენი, კრუნჩხვა, ეპილეფსია, ნიკრისის ქარი.	Allen, Hatfield 2004; Wiersema, León 2013
<i>Alnus</i> (მურყანი)	Betulaceae	ქერქი	ანტიჰემინთური, დიარეა, დიბენტერია, გასტრიტი, სისხლდენა.	Quattrocchi 2012; Menale, Mouio 2014
<i>Anchusa</i> (ბატარბლა)	Boraginaceae	ფოთლო	ჭრილობები, დამწვრობა, გაციება, მუცლის ტკივილი, ჰემოროიდული კვანძი, უშვილობა.	Mükemre et al. 2015; Fortini et al. 2016
<i>Apium graveolens</i> (ნახური)	Apiaceae	ფოთლო, ღერო, ნაყოფი	ანტისპაზმური, შარდმენი, რევმატიზმი, ნიკრისის ქარი, ტკივილგამაყუჩებელი, დიარეა, დიბენტერია.	Leto et al. 2013; Alarcón et al. 2015

